

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ილია აბულაძე

უ რ მ ე ბ ი

I

ილია აბულაძის „შრომების“ I ტომში შესულია გამოკვლევები, რომლებიც განსვენებულ მეცნიერს გაერთიანებული ჰქონდა საერთო სათაურით „ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები“. ეს გამოკვლევები შეეხებიან ქართული „მრავალთავეების“ უძველესი რელაქციების შესწავლას, კერძოდ, მათი სომხური წყაროების გამოვლენას.

## რედაქციისაგან

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ილია აბულაძეს დარჩა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა ხელი მოჰკიდა ამ მემკვიდრეობის გამოცემას. უკვე დაიბეჭდა „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომლის გამოცემა თვით ავტორს არ დასცალდა. გამოვიდა „ქართული პალეოგრაფიული ალბომის“ მეორე გამოცემაც. ილია აბულაძის „შრომების“ I ტომში შევიდა განსვენებული მეცნიერის ის გამოკვლევები, რომლებიც შეეხებიან ქართული „მრავალთავეების“ უძველესი რედაქციების შესწავლას, კერძოდ, მათი ძველი სომხური წყაროების გამოვლენას. ავტორის მიერ ისინი გაერთიანებულია საერთო სათაურით „ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები“. ამ საკითხებზე განსვენებული მეცნიერი მუშაობდა თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე. ბუნებრივია, რომ ცალკეული წერილი მოთავსებულია სხვადასხვა დროის სხვადასხვა გამოცემაში, რაც მკითხველისათვის მათ ძნელად ხელმისაწვდომად ხდის.

წინამდებარე ტომში ტექსტები იბეჭდება ფოტოტიპური წესით. სარჩევში ნაჩვენებია რომელი გამოცემიდან არის ამობეჭდილი ცალკეული სტატია. სტატიებს შერჩენილი აქვთ პირველი გამოცემის პაგინაცია. ამასთან ტომს გაკეთებული აქვს საერთო პაგინაციაც. ამგვარად, მკითხველს დამოწმებისას შეუძლია მიუთითოს როგორც პირველი გამოცემა, ისე წინამდებარეც.



## ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები

•მრავალთავის• ზომიერით თავის წაარო \*

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, კერძოდ აგიოგრაფიისა და ჰომილეტიკის სფეროდან, რომლებიც მაშინდელ სიტყვა-კაზმულ მწერლობას შეადგენდა, დაცულია ისეთ კრებულებში, რომელთაც მრავალთავი ეწოდება. მრავალთავს, როგორც ეს პროფ. კ. კეკელიძის შრომებიდან არის ცნობილი<sup>1</sup>, ძველად ისეთ კრებულს უწოდებდნენ, რომელშიაც მოთავსებული იყო „წმიდათა“ არა ერთი მარტილობა ცხორება და შესხმა. ეს კრებულები იმითაა საყურადღებო, რომ იქ მოთავსებული ტექსტი კიმენურია, ე. ი. გარდაუკაზმ გადაუმეტაფრასტებელი ანუ ხელშეუხებელი რედაქციისა.

ბოლო დრომდის მრავალთავის უქველეს ხელნაწერად სინას მთის მონასტრისათვის ქ. იერუსალემში გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, მაკარის მიერ 864 წ. გადაწერილი ხელნაწერი ითვლებოდა. მაგრამ ამაზე აღრინდელიც აღმოჩნდა ხანშეტი პალიმფსესტების გამოთხეურების დროს. მხედველობაში მაქვს პროფ. ა. შანიძის მიერ 1926 წ. გამოცემული „ხანშეტი მრავალთავი“<sup>2</sup>, რომლის მხოლოდ მკირეოდენი ნაწყვეტია გადაარჩენილი. მართალია, მას თარიღი არ ახის, მაგრამ გამომკემლისა არ იყოს, იგი VIII ს-ზე გვიანდელი არა ჩანს.

ქართული „კიმენ-მრავალთავის“ საბოლოო ჩამოყალიბების ხანად X ს. ითვლება<sup>3</sup>. ამ კრებულებში შესული უცხო მასალის უდიდესი ნაწილის მომდინარეობა, ე. ი. დედანი, საიდანაც იგი ითარგმნა, დრო, როდესაც თარგმნეს, და მთარგმნელნი ცნობილი არ არიან. დედნის გამოსარკვევად, რომლიდანაც თარგმანი უნდა მომდინარეობდეს, ასეთ შემთხვევაში ერთადერთი საშუალებაა, — შეუდაროთ შემონახული ძველი ანალოგიურ ტექსტს იმ ენაზე, რომელსაც იგი მოეპოება. მხოლოდ ასეთი დაპირისპირებული შესწავლით ოდენ შესაძლოა თუ

\* წაკითხულია მოხსენებად თბ. სახ. უნივერსიტეტის სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრის საჯარო სხდომაზე 1936 წლ. 4 თებერვალს.

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, Monumenta Hagiographica Georgica, ნაწ. I. Kelmena ტ. I, გვ. VII-XII, ტფ. 1918 წ.; ნ. აგრეთვე მისივე ქარ. ლიტ. ისტორია I, გვ. 547-551, ტფ. 1923 წ.

<sup>2</sup> პროფ. ა. შანიძე, ხანშეტი მრავალთავი (ტფ. უნივერსიტეტის მოამბე VII, გვ. 98-159).

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძე, Mon. Hag. Georgica, ნაწ. I. Kelmena, ტ. I, გვ. XII, ტფ. 1918 წ.

სრული უმცდარობით არა, დაახლოებით მაინც ზედმიწევნით გამოვამქლავნოთ ნამდვილი სურათი.

რამდენიმე ძველი ძველი ქართული მრავალთავისა (X-XI საუკუნემდელის) როგორც საკუთარი, ისე უცხო წარმოშობისა, გამოცემულია. უცხო მასალისათვის ზოგჯერ წყაროც, საიდანაც ისინი უნდა მომდინარეობდნენ, დასახელებულია ანდა ნაფურცელდებულია ასეთი. მაგრამ მრავლის უმრავლესისათვის, გამოცემულთა თუ გამოუცემელთათვის (უფრო უკანასკნელთათვის) ასეთი ჯერ კიდევ მიკვლეული არაა. ჩვენი მიზანია, ძველი ქართული ლტერატურის ამ მნიშვნელოვანი ძეგლებისათვის (გამოცემულთა და გამოუცემელთათვის) დავძებნოთ წყარო; კერძოდ აღვუხსნოთ ის ძეგლები, რომლებიც სომხურიდანაა მომდინარე ქართულში და პირუტყუ—ქართულიდან სომხურში, ისე როგორც შევამოწმოთ მომდინარედ თუ მიმდინარედ ნაფურცელდებულნიც. საშუაო მეტად დიდი და ხანგრძლივ დროსაც მოითხოვს. ამიტომ ამთავით მხოლოდ თანდათანობით არის შესაძლო დაკვირვებათა შედეგების გამოშვებება.

ქვემოთ ორი ასეთი ძველი გვექნება განხილული: ერთი გამოცემული — „წამება ფილექტიმონის“ (Keimena 133-160) და მეორე გამოუცემელი — „სასენებელი სერგისის“ (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი № 95, ე.წ. პარხალის მრავალთავი XI ს-ისა, გვ. 1217-1222). სომხურად ერთიცა და მეორეც გამოცემულია, პირველი — *Վկայաբանութիւն սրբոյն Փիլիქտիւնի Վարդ և վկայաբանութիւն սրբոյն*“<sup>1</sup> (հათორ R, გვ. 438-475, *Վնեստիկ 1874*) და მეორე — *Միշատակ սրբոյն Սարգսի, Նახեքիոս Կեսարացի-ის Պատմութիւն եկեղեցւոյ*“<sup>2</sup> (გვ. გვ. 637-639, 646-648, 642-643, *Վնեստիկ 1877* წ). უკანასკნელი ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ მეჩვე წიგნის სხვადასხვა ნაწილებად არის წარმოდგენილი.<sup>3</sup>

სომხური ტექსტები აღებულია ხელნაწერებიდან. მათი შემცველი ხელნაწერებიც ძველს მრავალთავებშია დაცული. „მრავალთავის“ შესატყვის ძეგლს სომხურად *Ճառընտիր* (რჩეულ-სიტყვანი) ეწოდება. ეს სახელი იმიტომ უნდა დარქმეოდა ამ კრებულს, რომ მასში ყველა მარტიულ-მოღვაწეთა შესახებ კი არ არის მასალა, არამედ „რჩეულთათვის“. ქართულ „მრავალთავშიაც“ ხომ შერჩევასთან გვაქვს საქმე! ამგვარად „მრავალთავი“ „რჩეულ-სიტყვანიცაა“ და პირუტყუ — „რჩეულ-სიტყვანი“ „მრავალთავიცაა“. ქართულში ერთი თვისებისაგან მომდინარეობს ამ კრებულის სახელწოდება: მრავალთავიანობისაგან — „მრავალთავი“, ხოლო სომხურში: რჩეულსიტყვაობისაგან — *Ճառընտիր*-ი („რჩეულ-სიტყვანი“).

<sup>1</sup> მემის მოციქულთა ეკლესიის ერთ-ერთი იშვიათი „*Ճառընտիր*“-იდან (რომელიც ამაჰად ერევნის მუზეუმში ინახება, № 78, და რომლიდანაც ჩვენ ვიცნობთ „სერგისის სასენებელს“ მხოლოდ) გადანაწერი პირის აღწერისა (მოიპოვება ეს პირი ვენეტკის მხითარაანთ ხელნაწერების კოლექციაში № 635) აღმწერულს, ბარსელს ა რ გ ს ი ა ნ ს, ის აზრი აქვს გამოთქმული, თითქოს „სასენებელი სერგისის“, რომელიც სომხური „მრავალთავითაც“ ევსების საეკლესიო ისტორიიდან აღებულად იხსენიება, არ მოიპოვებოდა „საეკლესიო ისტორიის“ სომხ. თარგანში („*Նახեքիայ եկ. Պատմութեան մէջ Սարգսի զօրավարին վրայ ոչ խօսք կայ և ոչ ալ կրնար ըլալ. Կեսարացի՞ հոս յիլօւած Նახեքիոս կամ տարբեր ըլալու է Կեսարացեն, և կամ փոխանակ Սամուէլի նրբու գրօւած է; որ չազօւած է զՆახեքի*“ — R. *Սարգսեան Մայր ցուցակ հայերեն քննադրաբ. մատենագ. մխիթარ. Ի Վնեստիկ, II, გვ. 435* Վ. 1924).

მაიონატირ-ებში შესულია არა მარტო სომხური ორიგინალური მარტი-ლობა-ცხორებანი და შესხმა, არამედ უცხოც, უმთავრესად ბერძნულიდან ანდა სირიულიდან ნათარგმნი. ზოგიერთი მასალა ქართულიდანაც არის ნათარგმნი. ერთი მათგანის ქართულიდან ნათარგმნობა ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა P. Peeters-მა დაამტკიცა, წინააღმდეგ ვენელი მბითარიანელისა, ცნობილი მკვლევრის ნ. აკინიანისა, რომელსაც იგი სირიულიდან ნათარგმნად მიაჩნდა. ეს ძეგლი „დიონისე არეოპაგელის ცხოვება“, რომლის ტექსტი სომხურად. აკინიანმა გამოაკვეთა ვენის ორი ხელნაწერის მიხედვით (ჯანუკსა შამაიხას, ვენა, 1913 წ., გვ. 641-660 და 1914 წ., გვ. 205—218), ხოლო ქართულად. ათონის მრავალთავის მიხედვით, P. Peeters-მა (Analecta Bollandiana XXXIX, გვ. 277-315)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იმ მაგალითებს, რომელთა მიხედვით სომხური ტექსტის ქართულზე დამოკიდებულება მტკიცდება და რომლებიც მართებულად აქვს შენიშნული P. Peeters-ს, უნდა დამატოს შემდეგი:

1. ირ აინანს დასათათანს ს ნათიხ (209-210 მ<sub>11</sub>)—რომელნი ბჭობდენ და მჭიდენ.
2. ირატე ს გიქიდე კირახანს ანბანე მხრე (215-216 მ<sub>15</sub>)—მბითარული და მ.ო.კადელნი წარწყმედასა ზედა თავისა თქუენისასა.
3. ჩას ს ხაქიამანს კანანანს ნოსსეყ სრანსქი საგახიკონს ს შამარქი ს ჩის ქი ს ოქმანსეყ ს ნამანს (217-218 მ<sub>17</sub>)—ბ მე მერე ეამითან შეუდგე ნეტარსა მოციქულსა და მართის ცოლი ჩემი და არა განვეშორებით მას.

ოგორც ხაზგასმული სიტყვებიდან ჩანს, პირველ შემთხვევაში მთარგმნელს სრულიად უმართებულოდ „მჭიდენ“ აურევია „ჩიდენ“-ში (←ჯდ-ომა) და უთარგმნია კიდევაც „ნათიხ“-ად; მეორეში — „მოქადულნი“ — „მაქებლნი“-ში (გიქიდე), ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში „და“ კავშირი, რომელიც დიონისეს ცოლის სახელის წინ ზის (ბ მე. შეუდგე... და მართის ცოლი ჩემი...), აღბათ ერთად დაწერილობის გამო (ასეა სწორედ ათონის მრავალთავში) შემაღდგენელ ნაწილად მიუჩნევია მთარგმნელს ხსენებული სახელისა. ეს ვითარება ზოგიერთ ხელნაწერში გასწორებულია. ასე მაგ., ემიაძინის ხელნაწერებში № 941 (1689 წლისა) და № 589 (1227 წლ.) ეს აღბული ასე იკითხება: ხა... ს შარქამ ს ჩის ქი (№ 589); ხა... ს შარქა ს ჩის ქი (№ 941).

გამოცემული სომხური ტექსტი ბევრგან შესასწორებელია თანახმად ქართული ტექსტისა, რომელსაც მხარს უჭერს ხშირად ზემოთ დასახელებული ემიაძინის ხელნაწერებიც.

გ ა მ ო ე ე მ ა შ ი ა :  
205-206; ქამათიქხანს აჩიოე

უ ნ დ ა გ ა ს წ ო რ დ ე ს :  
ქამათიქხანს აჩიოე (№ 589, № 941) სიბრძნის ძოყუარენა.

- „ „ ექსალორქი ს ქამალორქი ექსალორქი ს ქამალორქი (№ 589) მთავარი და დიდებული.
- „ „ ორ აყაჯტის ექსანს ექსანს ორ აყაჯტის ექსანს ასათლახი (№ 589, ქამათლახი № 941) რომელნი მსახურებდეს მთავარსა. ლმერთათასა.
- „ „ ნიქრხაქ ს ბნიყყ ნიქრხაქ ხიქ ს ბნიყყ (№ 589, № 941) ალთქმულ ვიყყ მზობელთაგან
- „ „ მანს ებნიყანს ქამ. ზამ- მანს ებნიყანს ქამ ზამქრისქხამქ № (589, № 941) ჭქის მზობელთა ჩემთა ვ ე დ რ ე ბ ი თ ა (ანის მიხედვით სომხურში მოსალოდნელი იყო: \*ქხრისქხამქ ან \*აყაჯტისქ თუ აყაჯტისქხამქ).
- „ „ ნანიქ ს ასათლახი ს ქ- ნანიქ ს ასათლახი (ქამათლახი № 941) ს ქ- ქანანს ზიყყ (589, 941) სათნა უნის ლთთა და მთა- ვარსა მათსა.

„ფილექტიმონის წამება“ გამომკვეყნებულია ვენეციის ბელნაწერი შაოღნ-საჩრ-ის მიხედვით, როგორც ეს გამომკვეყნების შენიშვნიდან ჩანს (ნ. გვ. 438); „სერგისის საკსენებელი“ კი ვიპოვეთ ერეენის მუზეუმის ერთ-ერთ შაოღნ-საჩრ-ში (ე.წ. მუშის მოციქულთა ეკლესიის შაოღნსაჩრ-ში), № 78, რომელიც

205-206 <sup>11</sup>: გასაღი წყაროს ღანსაჲს დასაღი (589, 941) უფროსს ვიდრე დაკლვისა მისისა.

207-208 <sup>12</sup>: ხსენს იქ თონის ქუჩასაჲს სსენს იქ (abs-№ 589) თონის ქუჩასაჲს სასთილახის (ე.წ. № 941) (589, 941) მოიწია დღესასწაული ლთთა მთავრისაჲს

„ - „ <sup>13</sup>: მკ არღისაჲს და მანოსსაჲს იქ იარღისა (უნდა იყოს მკ იარღის) და (იხე 589) მანოსს იქ და მანოსს (№ 589, № 941) ვისი ძმ ბარკაჯუთ ანუ ვინაჲ?

„ - „ <sup>14</sup>: იარღისაჲს მკ იარღისა (589, 941) ძმ ვარი მე სოკრატისი.

„ - „ <sup>15</sup>: ნოსტრესაჲს ქსენს ნოსტრესაჲს ქსენს და მანოსსაჲს (abs-041) სასთილახის დასაღი (589, 941) შევიწირე... ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა.

„ - „ <sup>16</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს მანოსსაჲს და მანოსსაჲს (№ 589) ცლსა მეღნიერებისა და სიბრძნისა.

„ - „ <sup>17</sup>: სასთილახის სასთილახის და მანოსსაჲს (№ 589, № 941) ვარსკულავთა და ბჰს ნათლისა და განწულავთა ეამთა და საუნჯენი კოთაი.

„ - „ <sup>18</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს მანოსსაჲს (abs. № 589) № 589, № 941 მხესა და მთავარესა შეემთხუევის სიბნელს იგი ვნებისა.

„ - „ <sup>19</sup>: სასთილახის სასთილახის (ერქმანს № 589) 589, 941 ვარსკულავთა მოქცევისა.

„ - „ <sup>20</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) მცირეჲსა ეამისა შემდგომად.

„ - „ <sup>21</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს მანოსსაჲს (№ 589) გამომკვეყნებდა და ფილასოფოსთა მათ ბრძენთა მეღნიერებაჲს.

„ <sup>22</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (თან № 941, უნდა იყოს \*მანოსს) მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) და უფორდეს სახელი სახელად მთავრისა მათისა არიოპაგეს.

209-210 <sup>23</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) გიბრძენებს თქვენ მთავარი სოფლისა და მკვერთელი ეღმწიფებისა.

„ - „ <sup>24</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) და იქნა შეფოთი დიდი ქალაქსა მის შინა.

211-212 <sup>25</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) და ისმენდა.

„ - „ <sup>26</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) და მევედრებოჲს.

„ - „ <sup>27</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) და შევედ მე შინა კერძოთა მათ სარბიელთა.

211-213 <sup>28</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (941) და ფონსა მის მზისასა.

211-213 <sup>29</sup>: მანოსსაჲს მანოსსაჲს (589, 941) და ურემ-კარნი არა და მოვიბოძე იყენეს უღლისაგან.



სათაური გვამცნობს, რომ ეს თავი ევსები კესარიელის საეკლესიო უწყებ-  
 ბისაგან, ანუ ისტორიისაგან, არისო. მაგრამ სინამდვილეში ამ თავის ბოლო  
 ნაწილი (გვ. 1221, სვეტი 1<sub>30</sub>—ბოლომდის, ე.ი. 1222 გვ., სვ. II 9-მდის),  
 როგორც მის დასაწყისშივე მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, საეკლესიო უწყე-  
 ბიდან კი არ არის აღებული, არამედ „სხუათაგან უწყებათა“. აქ წერია: „სხუა-  
 თაგან უწყებათა ვიწყეთ ამიერთგანო“. შეიძლება ეს სხვა უწყება იმავე ევსე-  
 ბისა იყოს, შესაძლოა ისიც, რომ სულ სხვა ავტორისა. და სწორედ ეს ნაწილი  
 არც პოულობს პარალელს არც „საეკლესიო უწყების“ სომხურ თარგმანში და  
 არც ამავე უწყებიდან ძველადვე „მრავალთავისათვის“ გაკეთებულს ან უკეთ  
 მონტაჟირებულ თავში. სომხურად, როგორც ჩანს, ევსები კესარიელის როგორც  
 მთლიანი ნაშრომის—„საეკლესიო ისტორიის“—თარგმანი, ისე მისგან ცალკე ამო-  
 ლებული ნაწილიც მოიპოება. ქართულად კი მთლიანი ძველი ჯერ-ჯერობით  
 არსადა ჩანს; ხოლო რომ არსებულა, ამას ექვთიმე ათონელის პასუხი მოწმობს  
 გიორგი ქყონდიდელის შეკითხვაზე: „მაუწყე, თუ რომელნი წიგნი არიან, რომე-  
 ლთა იგი წმიდა კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს-ო“. ექვთიმე უპასუხებს:

„და კულად ევსევი პამფილეისა  
 წიგნი არს. მრავალთა რათამე საქმეთა  
 და თხრობათა წარმოიტყვს თვთოსახეთა, რო-  
 მელ მრავლეთა ფილოსოფოსობითა დაწერილ  
 არს იგი, არამედ წვალებანი მრავალი ჩაურ-  
 თავნ მასვე და ამისთვის არა შეიწყნარებს ეკ-  
 ლესიამ; იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და  
 უწინარეს მრავლისა ეამისა, სიცოცხლესა  
 ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესსა, მოეწერა  
 ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა კყონდიდი-  
 სასა და ეკითხა, ვითარმედ შესაწყნარებულ  
 არსა კითხვამ წიგნისა ამის ანუ თუ არა?  
 ხოლო ჩუენ მიუწერეთ მას, ვითარმედ არა  
 შესაწყნარებულ არს, მაგრა კარგნიცა საქმენი  
 მრავალნი სწერიან, გარან ლუარძლიცა წვა-  
 ლებისა თანა შთაუთესან და მით უკმარ არს  
 იგი“ (ს ა ბ ი ნ ი თ)“.

„ევსები პამფილელი წიგნი არის და  
 მრავალთა საქმეთა წარმოიტყვს და თხრო-  
 ბათა თვთოსახეთა, ფილოსოფოსობითა დაწე-  
 რილი, გარან წვალებანი ჩაურთავნ; ამისთვის  
 არა შეიწყნარებს ეკლესიამ. იგი ქართულად  
 უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ეამისა,  
 სიცოცხლესავე მამისა ჩემისა, მოეწერა მუნით  
 სტეფანე ეპისკოპოსსა და ეკითხა, თუ შესა  
 წყნარებულ არს; კარგნიცა მრავალი წერია,  
 გარან ლუარძლიცა მრავალი ჩაურთავნ და  
 მით უკმარ არს“ (ბ ა კ რ ა ძ ე თ რ დ ა ნ ი ა-  
 თ ი)“.

სტეფანე ქყონდიდელის შეკითხვიდან არა ჩანს, თუ ევსების რომელი ნა-  
 შრომი იგულისხმება, რომელიც იოანესა და ექვთიმეს წვალეებლობის ლუარძლთა  
 შემეცველად აქვთ დახასიათებული. შესაძლოა, იგი ზემოხსენებული „უწყებაჲ“  
 იყოს, მაშინ მრავალთავის „საკსენებელი სერგისისი“ ქართულად არსებული ევ-  
 სები კესარიელის საეკლესიო ისტორიის თარგმანიდან იქნებოდა აღებული, რო-

29 <sub>2</sub> :	იგი ბრძანებს ,,	გიბრძანებს	310 <sub>6</sub>	ვახარებ	გახარებ
29 <sub>9</sub> :	მღელთა გან ,,	მღელთაგანი.	311 <sub>2</sub> :	თათა	რათა
301 <sub>15</sub> :	კაცთაგან ,,	კაცთაგანი	311 <sub>14</sub> :	ხ მიერ	ხ მე მიერ
301 <sub>14</sub> :	მძორწოდეს ,,	ძრწოდეს	312 <sub>11</sub> :	გამოირვეის	გამოიძვეის
302 <sub>8</sub> :	მე ვიდარებოდეს	მევედარებოდეს	313 <sub>8</sub> :	ცხოვერისა	ცხოვრების.
304 <sub>2</sub> :	ბუნებილი ,,	ბუნებითი			

1 პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 467.

გორც ეს სომხურშია, თუმცა შესაძლოა, რომ უცხო მრავალთავიდანაც, კერძოდ სომხურიდან, მომდინარეობდეს უშუალოდ.

მაგრამ მაინც რა ნიშნების მიხედვით ვგვონია, რომ ზემოთ დასახელებული თავები ქართული ძველი მრავალთავებისა სომხურიდან მომდინარეობენ?

### I. საკენნებელი სერბისისი.

როდესაც სომხურსა და ქართულ ძველს შორის რაიმე კავშირი შეინიშნება, მათი ურთიერთისაგან თუ საერთო წყაროსაგან მომდინარეობის საკითხის გადასაწყვეტად პირველ ყოვლისა ენობრივი ანალიზია დასაყრდენი: თარგმანს, რაც უნდა დახელოვნებული პირის მიერ უნდა იყოს იგი შესრულებული, არ შეიძლება, ნებსით თუ უნებლიეთ, არ ეტყობოდეს რაიმე მხრით დედნის გავლენა. ეს გავლენა კი თავს იჩენს ხოლმე არა იმდენად მორფოლოგიაში რამდენადაც სინტაქსს, სტილსა და ლექსიკაში. ამას გარდა ზოგჯერ მთარგმნელი დედნის ამათუიმ ადგილს სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს და ისიც ხშირად არა იმ მნიშვნელობით, რაც კონტექსტით არის საჭირო, არამედ სულ სხვა, უფერით. ზღბა ისიც, რომ ესათუის სიტყვა არეულია მეორეში, რამელსაც შესაძლოა ფონემური რაიმე მსგავსება ჰქონდეს პირველთან.

ჩამოთვლილ „მომენტთაგან, ჩვენი ძველი აღნიშნავს როგორც ამათუიმ ადგილის ყალბად გაგების შემთხვევას, ისე ლექსიკურისა და, ცხადია, დედნის სტილებრივი გავლენის კვლასაც.

გაუგებრობის თუ აღრვეის თვალსაჩინო ნიშნულად შესაძლოა დავასახელოთ შემდეგი:

სომხურში იკითხება:

ქართულში გვაქვს.

**ბ. ჯაფხვან ჯი კირილქხნჯ ან-  
თი არხანჯნ<sup>2</sup>...**

და განძლეს და აღივსნეს კაცთა  
მათ მართალთათა...

აქ სომხური *კირილქხნჯ ანთი არხანჯნ* გაგებულია არა თავისი ნიშნელობით („სიუხვითა მათ სისხლთათა“), არამედ აღრვეით: *კირილიქხნჯ ანთი არხანჯნ* („კაცთა მათ მართალთათა“). ამას თხრობის შემდგომი მიმდინარეობაც მოწმობს, სადაც სისხლისა და არა „კაცთა მართალთათა-ს“ შესახებ არის გარკვევით ლაპარაკი.

შეიძლებოდა კიდევ ცალკე სიტყვების მიმართ ასეთი მაგალითების მოყვანა, როგორც მაგ., *აილქხნილქხნ-ის* („სათნობა“) წაკითხვა *აილქხნილქხნ-ად* („მოციქულება“), მაგრამ აქ ეგების ეს მცდარობა უფრო დედნის ვარიანტობისაგან თუ რედაქციულობისაგან მომდინარეობდეს, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

ლექსიკის მხრითაც ქართული ტექსტი სომხურის გავლენას განიცდის. აქ, რასაკვირველია, გადამწყვეტი არაა ისეთი ძველად ფართოდ გავრცელებული ხმარება სომხურთან საერთო სიტყვებისა (რომელთაც ვხვდებით არა მარტო ნათარგმნ ძეგლებში, არამედ ორიგინალურშიც), როგორიცაა ჩვენი ძველით:

1. კათალიკოზობა—*კატილიქილიქხნ*; „რ<sup>3</sup> ი იწოდების... და კათალიკოზობა“ (№ 95, გვ. 1221 სვეტი I 20) *იორ ანილანხალ კიჯ<sup>3</sup>...*  
**ღ. კატილიქილიქხნ<sup>4</sup>;**

<sup>1</sup> ქ არ მოიპოება ნაბეკდში. <sup>2</sup> დაბეჯილშია: *არხანჯნ*. <sup>3</sup> ნაბეკდში: *კიჯქნ*.

2. მანქანა—*მხნეხნაქი*, „და მანქანითა დაიცემოდეს ასონი“ (№ 95, გვ. 1218 სვ. II 21) „*მხნეხნაქიდ ჰმნ ყრქხალ ქნტქნ ანჟამდ ზიგა*“<sup>1</sup>.
3. ოხქანი—*ქახანანი*, „*ოხქანი აღსრულებისა*“ (№ 95, გვ. 1219, სვეტი I 30) „*ისქ ქახანანი<sup>1</sup> კათარაბტი*“<sup>1</sup>.
4. პატივი—*ყათილი*, „და პატივად აქუნდა მას“ (№ 95, გვ. 1221, სვეტი I<sub>12</sub>) „*ღ იღტერ ვაქნ ყათილი*...“; და ცხონდა იგი ყლითა წესითა პატივისადათა “(№ 95, გვ. 1221, სვ. I<sub>16</sub>) „*ხღ (ნაბეჭდში: ირ) ქარხვალ (ხელნაწ.: ქერავალ) ზა ამხნაქნ აა-თიანანი (ხელნაწ. ასთიანანი) ყათილი*“ (ხელნაწ.: *ღ ყათილი*);
5. პატივი—*ყათილი*, „და აწ დაჰქსნდინ პატივნი ესე“ (№ 95, გვ. 1219, სვეტი II 31) „*სკჟ<sup>2</sup> იღტერ<sup>3</sup> აქა<sup>4</sup> ყათილდე*“; „და აღსრულებაჲ პატივთაჲ ზა ქრისტეანეთა“ (№ 95, გვ. 1220, სვ. I<sub>6</sub>) „*ღ ყათილდე ქიქსდე. ირ ქ ქერაქ მერ*“<sup>5</sup>.
6. სატანჯველი—*თანჯანდი*, „და ყლთა მათ სატანჯველთა“ (№ 95, გვ. 1218, სვ. I 18) „*ღ ამხნაქნ... ზნარტე თანჯანანუნ*“<sup>6</sup> რხილვაჲ იგი სატანჯველთაჲ (№ 95, გვ. 1218, სვ. II 14) „*ღქ თხხილ თანჯანანუნ*“<sup>7</sup>.
7. სპარაზენი—*სყაიარღენი*, „რლსა შესძინებდეს მათ ზა სპარაზენნი იგი“ (№ 95, გვ. 1218, სვ. I<sub>24</sub>) „*ღიორ კანაქტქნ ქ ქერაქ ზიგა აყა-იარღენ*“; „რ გარე შეიცვეს სპარაზენთა ძალთა“ (№ 95, გვ. 1220, სვ. II 31) „*ღყათხვტნ ყაჯარხტნ სყაიარღენტნ ვაღრაენ*“ (ვირავ ნაბეჭდში).
8. ქალაქი—*ქაღაღე*, „შევაგინენით ქალაქნი ჩუენნი“ (№ 95, გვ. 1219, სვ. II 12) „*ღყობხვილდე (ხელნაწ.: ყობხი) ვეჟაღაღა მერ*“; „და იყო ქალაქი ერთი“ (№ 95, გვ. 1220, სვ. II<sub>24</sub>) „*ღქ არა (abs. ხელში) ვაღაღე მქ*“<sup>8</sup>.
- ქეშმარიტი—*ჯემარტითი*, „და სახესა აჩუენებდეს ფარულად ძალისა საღმრთოჲსა ქეშმარიტად“ (№ 95, გვ. 1220 სვ. II<sub>8</sub>) „*ღ ვაღარქნასკვიღვანსქ ქ ბაბილქ ვაღრიქხანან ზიგა ქ ჯემარტიქტან*“ (ნაბეჭდში: *ღ ვორქნასკ ბაბილქ ვორიქხანან სათილბი ვიღვანსქ ქ ჯემარტი...*);
10. დიკტოსი—*ღქლითი*, „და პატივად აქუნდა მას დიკტოსობაჲ“ (№ 95, გვ. 1221, სვ. I<sub>22</sub>) „*ღ (abs. ნაბეჭდში) იღტერ ვაქნ ყათილი, ვქანიღს ჟე ზორა ვქლითი*“ (ნაბეჭდში *ღქლითი*)<sup>9</sup> იფიითი).
- ამათი ხმარებაჲ ყველგან იქ, სადაც კი სომხურს მოვბოგება, ცხადია, ერთგვარ დამოკიდებულებაზე მივითვითებ. ქართულ ტექსტში ასეთ შემხვედრ სიტყვათაგან სომხური აფიქსი გააჩნია, რაც უშეკველია სომხურზე დამოკიდებულებას გულისხმობს. ეს სიტყვაჲ: მ ა გ ი ს ტ რ ა უ თ ვ ნ ი, რომელშიაც -უთვნ-ი სომხური სუფიქსია: -ილქტან, მაწარმოებელი აბსტრაქციული სახელისა. ადგილი, სადაც იგი იხმარება, შემდეგნაირად იკითხება:

<sup>1</sup> ხელნაწ.: *ქ ქახანანი*; <sup>2</sup> ნაბეჭდში: *ღ abs.*; <sup>3</sup> ნაბეჭდში: *სკჟ*; <sup>4</sup> ხელნაწურში: *იღტერ*; <sup>5</sup> ხელნაწურში: *ზიგა ღ*

სომხურად:

იქ ანოლანხალ კიჯი<sup>1</sup> ჩ ნიყანს<sup>2</sup>  
 მადჟასარიძეს<sup>3</sup> & კაქიქილიძე-  
 ქიან:

ქართულად:

რომელი იწოდების მაგისტრუტენი და  
 კათალიკოზობაჲ.

ქართ. ძველის სომხ-დან ნათარგმნობის დამადასტურებელ დანარჩენ ნიშნებს, სინტაქსსა და სტილს, აღარ ვეხებით. აქ ისეთი რამ ხელშესახები არც შეგვინიშნავს. და ეს შესაძლოა იმიტომ, რომ ძველ ქართულსა და ძველ სომხურს ამ მხრივ ბევრი რამ საერთო აქვთ. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ტექსტი სომხურთან, კერძოდ დაბეჭდილთან, ახლოს მდგომია. მას რამდენადმე თავისებურებაც ახასიათებს: ზოგიერთი ადგილი შემოკლებით არის გადმოცემული, ისე როგორც ერთგან ერთი წინადადება მეტიც მოეპოება. ეს შემთხვევები კი იმაზე მიგვითითებს, რომ ქართული ტექსტი სომხურის თავისებური ვარიანტისაგან მომდინარეობს.

დასასრულ, ცალკე უნდა შევნიშნოთ ერთი სიტყვის შესახებ, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული სომხური მასალის მიხედვით ვერ იხსნება. ეს არის გაზაკი. იქ კერძოთა პონტოასათა ლერწამნი განმახუნიან და მწუერგალსა თითთა მათთასა ფრცხილთა მათთა განაკუმიდეს და გაზაკთა ბრპენი დადნობილი მღულარე სასტიკად გარდაასხიან ბეჟთა მათთა და ზურგთა.

რა უნდა იყოს გაზაკი? შესატყვისი სომხურში არაფერია. იქ ბრპენს (კაყარ) წინ უძღვის კიხი (ზოგთა), რასაც გაზაკთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს., სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც ეს სიტყვა, როგორც დამოწმებიდან ჩანს ჩვენი ტექსტიდან აქვს აღებული,<sup>12</sup> შემდეგს ამბობს მის განსამარტაეად: „გაზაკი გაზავე ნაკუთლისა („გაზაკთა ბრპენი განდნობილი გარდაასხიან ბეჟთა და ზურგთა მისთა“ სერგისის მეტაფრ. C)“. გაზაკი განმარტებული აქვს როგორც „ნაკუთლის დასასრული“. დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა განმარტებული აქვს როგორც „წვივით ნაკუთლის მსხვილი ძარღვი დასასრული ქუსლთანა“<sup>14</sup>. სულხან-საბა რომ ამას ასე გულისხმობდეს, დამოწმებულ ადგილს ასეთი ციტატის სახით არ მოიყვანდა, აქიდან ხომ „გაზაკთა“ მსაზღვრელად ჩანს ბრპენისა! თუ იგი მართლაც მსაზღვრელია, მაშინ იგი ნაკუთლის დასასრულს არ უნდა აღნიშნავდეს. ერთი სიტყვით, აქ ბუნდოვანობაა. ეგების მას სომხური მრავალთავის სხვა ნუსხამ ანდა წყარომ მოაფინოს ნათელი...

<sup>1</sup> დაბეჭდილმა: კიჯი; <sup>2</sup> იქვეა: ნიყანს; <sup>3</sup> იქვეა აგრეთვე მადჟასარიძის; <sup>4</sup> იქ & abs. ნაბეჭდში. <sup>5</sup> ნაბეჭდშია: კიჯიანს; <sup>6</sup> წინადადება იქ—ნაბეჭდში. <sup>7</sup> იქვეა: არხარ. <sup>8</sup> ნაბეჭდშია: ხიჯავე; <sup>9</sup> იქვეა: ქარქი; <sup>10</sup> ხიჯავესაყ სასთილსაყრ ხიჯი ჩ რიათი ანჯ (ნაბეჭდში); <sup>11</sup> ქიქანს & გამაკქი მარშიე (ხელნაწერში) <sup>12</sup> ნაბეჭდშია: არქანსქი.

<sup>13</sup> სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყუშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით გამოცემული, ტფ. 1923 წ.

<sup>14</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ, 1887 წ.

## II ფილექტიმონის წამება.

ფილექტიმონის წამების ერთად-ერთი ხელნაწერია ქართულად. იგი ათონის მრავალთავს დაუცავს. სომხურად იგი მრავალი ხელნაწერის სახითაა დაცული; გამოცემული კი ვენეტიკის ერთ-ერთი თუ ერთად-ერთი ხელნაწერის მიხედვითაა<sup>1</sup>. ქართული ტექსტის გამომცემელს, პროფ. კ. კეკელიძეს, იგი სამართლიანად აპოკრიფულ ნაწარმოებად მიაჩნია შოგ მოთხრობილი მრავალი დაუჯერებელი ამბის გამო, მსგავსად „აგათანაგველ დამასკელის წამებისა“, რომლის ქართულ ვერსიასთან მას, გამომცემლისავე მტკიცებით, ენითაც სიახლოვე ახასიათებს. ორივეს ერთი ავტორის კუთვნილებად მიიჩნევს პატივცემულეგარი.<sup>2</sup>

როგორც ქართულ ტექსტს, რომელიც ერთად-ერთი ხელნაწერი ნუსხის მიხედვით არის გამოცემული, ისე სომხურსაც, რომელიც ერთად-ერთივე ხელნაწერის მიხედვით ჩანს გამოცემული, ცხადია, ზოგან გაუმართაობა ემჩნევთ, რაც პირველ ყოვლისა იქიდან მომდინარეობს, რომ გადამწერთა შეცოდებანი ხშირად ასეთ პირობებში შეუცნობელი ხდება. ამიტომ მიზანშეწონილია, თუ კი რომელიმე სხვა ენაზე არსებობს მიმყოლი ტექსტი, და მით უმეტეს ერთმანეთზე დამოკიდებულების ნიშნების მატარებელი, გამოვიყენოთ იგი ტექსტის გასამართავად და, მაშასადამე, გადამწერთა შეცდომების წყაროს მისაკვლევად. ამ მხრივ კი უთუოდ ერთმანეთს შევლის ეს ძეგლები. ასე მაგალითად—

ა. ქართული ტექსტის მიხედვით ხომხურში უნდა შესწორდეს:

1. *სიღრე վկայն ասէ. Թւր են լուծք եղանց. և կամ թէ գրաստս վարիցէ Թւր են էջ դորա...* (440<sub>17</sub>).

წმიდამან ფილექტიმონ პრქუა: *სიღრენ վկայն ասէ. \* [ხթէ ხრկრა-  
„უკუეთუ მენველი ვემე არს, სადა  
არიან უღლვილნი კარნი. და თუ  
მეკაპარაულე არს, სადა არიან ვირ-  
ნი მაგისნი (134<sub>22</sub>).*

2. *Միթէ ոչ կարեմ առ Գրիստոս Տէրն իմ (450<sub>27</sub>).*

ნუ თუ ვერ შემძლებელ ვარ ხადად *Մ\*իթէ ոչ կարեմ \* [კარդა] առ  
ო՛րლსა ჩემსა ո՛չ ქესა (142<sub>10</sub>)* *Գրիստოս Տէրն իմ...*

3. *Եւ ուրեხցէ գհնրս նորա և կացցէ կախեսալ մինչ և ցხրեկոյ (455<sub>26</sub>);*

და წარუწმანნეთ თმანი მაგისნი *և ուრეხցէ գհნრս նორა, \* [և կა-  
და ზე დამოკიდეთ და ეგრცთ უტე-  
ვეთ ზედამოკიდებულსა ვე მწუ-  
ხრადმდე (146<sub>9</sub>).*

4. *Այլ դիտեմ ხթէ յօ գհն և აյս (440<sub>22</sub>).*

ბ მე უწყი რ თქუა ვ՛ლ შე მწე *այլ დიტემ ხթէ յօ գհն և აյս, է,  
არს (134<sub>26</sub>).* *այს...*

<sup>1</sup> გამომცემაში არაა ნაჩვენები, თუ რომელი ხელნაწერები თუ ხელნაწერია გამოყენებული.

<sup>2</sup> პროფ. კ. კეკელიძე, Keimena, გვ. XLIV.

5. *მანძამ ზამარბასხვანს' ირ ჯიღრჳს ლაკჳს ზანღერბ ამნსაჳს ჟაღა-  
ჟაღან (444<sub>22</sub>).*

ნას ჟამსა აღუღავენს რ'ნი იგი ვა-  
რემოს დგეს ყ'ლით მოქალა-  
ქით ურთ (137<sub>27</sub>).

*კანძამ ზამარბასხვანს' ირ ჯიღრჳს  
ლაკჳს ზანღერბ ამნსაჳს ჟაღა-  
ჟაღანს.*

6. *მადესაჲ ხმდ ლხსიდე, ქასან ვჩ თხსად ვბნოჳს ჩ ბნუიოჳს ლრხანსჳ  
საყანხსაჲ, ლ ვაჲსა მადგაღორაღიანს (455<sub>3</sub>).*

მძღარ ვართ ამით ცხოვრებითა,  
რ' ვინიღენით მშობელნი ნაშობ-  
თავან მოკლულნი და კაცნი  
ნათესავით შარავანდელთანი (145<sub>26</sub>).

*კადესაჲ ხმდ ლხსიდე. ქასან ვჩ თხ-  
სად ვბნოჳს ჩ ბნუიოჳს ლრხანსჳ  
საყანხსაჲ ლ ვაჲსა მადგაღორა-*

7. *შარქანნიო სას ვსკიოიოჳს. ირჯაჲს აჯასათხმდ მხეიჳს ჩსკ ქასან იღჯილ-  
ქხანს მხერიო (470<sub>31</sub>).*

მარიანოს მრქუა აპოლონს რაოდენ  
დაეშურებით რ'ნ თავისა შენისა  
სიცოცხლისათვის (157<sub>7</sub>):

*შარქანნიო სას ვსკიოიოჳს. ირჯაჲს  
აჯასათხმდ მხეიჳს ჩსკ ქასან იღჯილ-  
ქხანს დიო (ან ჰერიო):*

8. *მ' რადმჯარ, ი ჟაღან ლირათხანს, ი ქათ... (450<sub>31</sub>)*

მ ძვრ-ძვრად ბოროტო ვეშმაკო.  
მ ქარო წარწყმედელისაო. მუმე-  
დგარესო... (142<sub>13</sub>):

*მ' რადმჯარ [სათათნაჲ], ი  
ჟიღან ლირათხანს, ი ქათ...*

9. *ბრლი ირჯის ილქჩ ბრლიორხაჲ' ირ ქარბქჩს ჩნბ ირ ლათ ირქ ვჯაგჩქჩს  
ჩამ; ბრხკ ბრხკილუნს ჩ ამ მარჩანს ზნუხვიღვჩ ვნიოჳს, ქასან ვჩ აჲრჩ  
ხმ ლ თათაჲხაჲ (457<sub>12</sub>).*

ორ ძე მესხნეს მე მარჩბივნი, რ'ნი  
მირეწვიდეს მე დღისა როქიკსა,  
რ' ქურივ ვარ და გლაბაკ. გუშინ  
მწუხრი ორნივე ერთსა ცხედარ-  
სა ზ'ა დაეწვივნენ... (147<sub>12</sub>).

*ბრლი ირჯის ილქჩ ბრლიორხაჲ' ირ  
ქარბქჩს ჩნბ ირ ლათ ირქ ვჯაგჩქჩს  
ჩამ. ქასან ვჩ აჲრჩ ხმ ლ თათაჲხაჲ,  
ბრხკ ბრხკილუნს ჩ ამ მარჩანს ზნუხ-  
ვიღვჩ ვნიოჳს...*

ეს არის თითქმის ყველა ის მთავარი ადგილი, რომლებიც ქართული ტექ-  
სტის ჩვენების თანახმად უნდა გასწორდეს სომხურში. ამ მხრივ უდაოდ  
მართალია აკად. ნ. მარი, როდესაც ძველი სომხური ტექსტების გამოცე-  
მისა და გამოყენებისათვის შენიშნავს: „Позднейшими списками древних

памятников армянской литературы нельзя пользоваться без тек-  
стуальной критики ни для каких научных построений, причём  
в деле восстановления древних армянских чтений древне-гру-  
зинские переводы с армянского представляют лучшее подспорье“<sup>1</sup>.

თავის მხრივ სომხური ტექსტიც ასწორებს ქართულის ზოგიერთ ადგილს.  
ჩვენ მათგან კვლავ მთავარს აღვნიშნავთ.

ბ. სომხური ტექსტის მიხედვით ქართულში უნდა შეხწორდეს:

1. რაჲსა მიეც მიცემით დიდი იგი ლმერთი აპოლონი ფილეტიმონს, რ'ლ  
იგი ვ'დ ქ'ნანე ვარ 136<sub>20</sub>).

<sup>1</sup> Н. Марр. ТР., книга VI: Физиолог, предисловие гл. VIII.

- ჟასან ჳ'რ მათსხვხერ დმხბ სა-  
თილაზნ საყოიღიწ' ფიქსქსტიმინხ,  
ასაფხციონ ჳინფხნჯ ხბქ ჳრქ-  
სთინსაქ ხმ (442<sub>2</sub>).*
2. და ესე უჟუეთუ აქუნდეს შემწედ ქ'შ ვ'ა ქსელი დედაზარდლისაჲ არს მიმო-  
ტაცებული ქართაგან (140<sub>3</sub>).  
*ს აქა ხბქ იღხეჩ ქინფხან  
დჭრქსათიუ. ხსქ ხბქ იღ იღხეჩ  
ქინფხან დჭრქსათიუ, სარდარქინ  
ჯ შიღფხსაქ ქ იიღმიქ (447<sub>3</sub>).*
3. ხოლო მეფე საკვრველი შვილი ვშევ... (158<sub>1</sub>).  
*სქს ხს, იღ შაფაღორ, დარმანს-  
ქი ირღქ ბნაქ (472<sub>9</sub>).*
4. და ესრტო განძლიერდა მას ჳ'ა, ვ'ა ერთი მამათაგანი, რ'ნმცა დადვა ნეზი თვისი მკლავსა ჳ'ა დაჟყლემად მისა (139<sub>1</sub>).  
*ს აქნაქს დორაფაქ ქ ქსრქაქ ჳორს,  
ირაქს იფ ქარანფ, ირიქ ხფხსაქ დაქ  
ქარ ქ ქსრქაქ მარაქიქ ს დმქხეჯ  
ფნა (446<sub>3</sub>).*
5. უბრძანა მოღებად ევანთაჲ და გარდაცუა კელსა აპოლონისსა (135<sub>7</sub>).  
*ზრანაქსაფ რხრქს აქარან ს  
არქსაქ დ აქ არან იფა ს  
საყოიღიწხ (441<sub>9</sub>).*
6. მოვედ ჩუენ თანა და გატევე ბრწყინვალეზასა მას მზის-თუალისასა (144<sub>30</sub>).  
*ხქ ხქ რნღ მხდ ს ჳხიქრ ქ  
ზიიღქფ არეფასან (453<sub>39</sub>).*
7. ნეტარ არს რ'ი იხარებდეს მაგას ნათესავსა შინა და სასმენელთა ნავათ სიტყუათა შენტა (152<sub>11</sub>).  
*ხრანქ ირიფ ქსაქსხვხნს აჯიფ  
ქ ქიქს დი ს აქანჯიფ ქ  
რანაღ (463<sub>39</sub>).*
8. შეჰგარძნენ შენ ლომნი ეგე და განსდრიკე ერთი ესე (153<sub>14</sub>).  
*შიფხფხერ დარქბაღ ს ქითორ-  
ვიფხერ დ შიიღიქიღორღორ  
დაკოთსიქ (465<sub>16</sub>).*
9. ვ'ა ესე ყო, ჰრქუა მეფესა მას (154<sub>29</sub>).  
*ხს ქრრს დაქა არარ, სასქ  
ფაორენ (467<sub>12</sub>).*
10. აღესრულა წ'ა იგი ფილეკტიმონ ათხუთმეტსა მარტისა თთვსასა, რ'ლ არს მარიალი, ღლესა შაბათსა (160<sub>19</sub>).  
*ქათორეფა სიღრენ ფიქსქსტიმინ  
ირ ირ ხიბინ ჳრ მასქსაქ სამ-*
- რაჲსა მიეც მიცემით დიდი იგი ღმე-  
რთი აპოლონი ფილეკტიმონს, რ'ლ  
იგი \*იტიყოლა ვ'დ ქ'ენე ვარ.
- და ესე უჟუეთუ აქუნდეს შემწედ ქ'შ,  
\*[ხ' უჟუეთუ არა აქუნდეს შემწედ  
ქ'შ] ვ'ა ქსელი დედაზარდლისაჲ არს  
მიმოტაცებული ქართაგან.
- ხოლო, \*[შ] მეფე, საკვრველი შვილი  
ვშევ.
- და ესრტო განძლიერდა მას ჳ'ა, ვ'ა  
ერთი მამათაგანი. რ'ნმცა დადვა ნე-  
ზი თვისი მკალსა ჳ'ა დაჟყლემად  
მისა.
- უბრძანა მოღებად ევანთაჲ და გარ-  
დაცუა ყელსა აპოლონისსა.
- მოვედ ჩუენ თანა და გატევე ბრწყინ-  
ვალეზასა მას მზის-თუალისასა.
- ნეტარ არს რ'ი იხარებდეს მაგას.  
ნათელსა შინა და სასმენელთა ნა-  
ვათ სიტყუათა შენტა.
- შეჰგარძნენ შენ ლომნი ეგე და გან-  
სდრიკე ერთი ესე.
- ვ'ა ესე ყო, ჰრქუა წ'დასა მას.
- აღესრულა წ'ა იგი ფილეკტიმონ.  
შვდსა მაისისა თთვსასა, რ'ლ არს.

ათქ. ირ ზ შარხრც, კასორ ჯა- მარიალი, დღესა შაბათსა.  
 რაქილ (475<sub>13</sub>).

ჩამოთვლილ შეუსაბამობათაგან ნათელია ის, თუ საიდან უნდა მომდინარეობდეს ისეთი მოვლენები, როგორცაა „ყელსა“ს ნაცვლად „კელსა“ (ბ5), „გატეთ“ის წილ „გატევ“ (ბ6), „ერი“ს მაგიერ „ერთი“ (ბ ა)—ერთი მხრით და „ყაქა“ის ნაცვლად „ყაყა“ (ბ6), „ბერიკ“ს წილ „მერიკ“ (ბ7), ან „ჟილს“ის მაგიერ „ჟაილს“ (ბ8)—მეორე მხრით. ეს ასოთა აღრევითა თუ გაურჩევლობით არის ჩადენილი, რაც იმას მოწმობს, რომ როგორც ქართული, ისე სომხური ხელნაწერები, რომელთა მიხედვით არიან შესრულებული განოცემები, ძვეის მხრით გადმოწერილი არიან, ე.ი. ნუსხებს წარმოადგენენ.<sup>1</sup> ხოლო აღნიშნული მცდარობა გადმომწერლისაა, თუმცა შესაძლოა ნაწილობრივი ბრალი გამოჰყვე-მელთაც მიუძღოდეს. რაც შეეხება დანარჩენებს, კერძოდ სიტყვათა დამახინჯებას, როგორცაა მაგ., „მკალსა“ს ნაცვლად „მკალესა“ (ბ4), „ნათელსა-ს“ წილ „ნათესავსა“ (ბ7), ან „მისისა“ს მაგიერ „მარტისა“ (ბ10)—ერთი მხრით და „ქიფ-სასკანის“ ნაცვლად „ქიფასას“ (ბ4) და „ჟაყაჟაჟასას“ ის წილ „ჟაყაჟასას“ (ბ5)—მეორე მხრით, ისე როგორც ფრაზის თუ სიტყვის დაკლებას (ბ1, ბ2, ბ3; ბ1, ბ2, ბ3) და წინადადების ნაწილთა გადასვას (ბ9); ესენიც უმეტესად გადამწერის სუსტი გულმოდგინებითა აიხსნება, ვინემ რაიმე თავისებური წყაროს არსებობით.

გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც განსხვავებულობაა, მაგრამ რით აიხსნება იგი—გადამწერლის თუ დედნის თავისებური ნუსხით—ძნელია გადაჭრით თქმა, ალბათ, ერთითაცა და მეორითაც. ესენია:

1. და ეპიითი ეჟმად შევემციონენ *ს აო სასკალ-სასკალ ზ რაყ სისა*  
 მკცენი ეგე თქუენნი (142<sub>6</sub>). ი *ყ ა ჯ ა ბ ხ რ (450<sub>21</sub>).*
2. მოვალს მე უფ ც სოფლისაჲ (144<sub>23</sub>) *შ ა ზ დაქმასკილიქან აჯარარჩ*  
 (453<sub>23</sub>).
3. ერთჯერამცა და შეგეწია შენ: ზ *ზინსა მქარაჟამაქნ იფინსაქ ზ რისი,*  
 არვე არარაჲ (149<sub>19</sub>). *ა ქ ლ ქ ასან აქნორჩქ სქიქ*  
*ქ ღ ხ ჟ ს ს ს ს საყასკანს ს*  
 (460<sub>9</sub>).
4. დაკვრებულ ვარ და ვერ შემძღებელ ვარ თბრობად შენდა ტანჯვათა მათ რლ დამარხულ<sup>2</sup> არიან შენთვის (152<sub>34</sub>). *ვარამავხაქ ხმ ვქარჩე აყათმსეჩე*  
*ვქქრანს ირ აყათანხლიე სნ ღხე*  
 (464<sub>30</sub>).
5. რაჲ წოდებულ არს სახელი შენი დედაკაცო. და მან პრქუა: მარინა წოდებულ არს სახელი ჩემი (159<sub>1</sub>). *მქნჯ კიჯჩ ჭანოს მასკანსქქი.*  
*ს ს ასქ წარქანნიი კიჯჩამ (471<sub>28</sub>).*

1 ამასვე მოწმობს საკეთარი სახელის „სხელიქიოს“, „სტელიქიოს-ის“ ნაცვლად. რაც „ბ“ და „ტ“ დაწერილობის აღრევის გამოა ჩადენილი: *ქ, ლ. სტელიქიოსს მხარს უქერს სომ ხურიც—სოსიქქიოს.*

<sup>2</sup> *ყ ა ჯ ა < ჟ ა ქ ა ს (7). 2 მთარგმნელმა აყათანსიე აყანსიე-ში ხომ არ. არიან...*

6. მიიცვალა წა გრიგორი... და ანატოლია ცოლი მისი ათხუთმეტსა იანერისასა რ'ლ არს [პნისი] დღესა შაბათსა (160<sub>13</sub>).

ერთმანეთთან შედარებისას როგორც ქართული, ისე სომხური ტექსტი აჩვენებს აგრეთვე ზედმეტს სიტყვებსა და ფრაზებსაც, რომლებიც უმეტესად ან ჩართული ანდა განმარტებითი სიტყვები და ფრაზებია. მათი აღრიცხვა აქ შორს წავეცივანს.

ამის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა—ქართული ტექსტია სომხურზე დამოკიდებული, თუ პირიქით: სომხური ქართულზე? გვაქვს თუ არა რაიმე ისეთი ადგილი, რომელიც ამას ამჟღავნებს? ასეთი გვაქვს. იგია ის ადგილი, რომელიც ქართველ მთარგმნელს მართებულად ვერ გაუგია:

*ჩხე ასხმ, ბსრე, ზაქა ჟან ვაან-  
ქსიქ ჯმ ვაარაქნე დო, ჩაანხაგ ლ  
კარეა ვსაიიიქს ასოსაბა, ირ მქნ-  
ქს ვხრხქ. ასათიხაქ ჯე ქ ქქს*  
(451<sub>29</sub>).

*Φοιτხვალ სილენ ზრეჭორიო... ლ  
სწათიქა ჭქს ზორა, ირ ირ ჩნგხ-  
ათაან ჯე კიანოლარ ამაიქ ირ ჯ  
სრაგ, კალირ ილერაქნი (475<sub>2</sub>)*

შენ გეტყვ, მოხუცებულსა მაგას, ვ'ე ტანჯვადმდე უწყალოდ კორცთა შენ-  
თა, დაემორჩილე და ჰხადოდე აპო-  
ლონს ღმერთსა, რ'ლ იგი გუშინ-  
დელად დღედმდე დიდებულ იყო  
შენგან (143<sub>4</sub>).

სომხურში *ხრქ* „გუშინ“სა ნიშნავს, ხოლო *ხერქ* „საღამო“ს; *გ* წინ-  
დებულია, რომელიც ქართულ „-მდის,-მდე“ან „მომართ-ის“ უღრის. „დღედმდე“  
ან „დღენდელად დღედმდე“ სომხურად ითქმოდა: *გაჯაორ* (ე. ი. *გ-აჯა-ორ*  
—ამ დღე-მდე), ანდა *გხრქ* (ე. ი. *გ-ხრქ*, უღრის „დღე-მდე“ ან სიტყვა-სიტყვით:  
„საღამომდე, მწუხრამდე-ს“). მთარგმნელს ამ უკანასკნელს (*გხრქ*) *სრქ* აურე-  
ვია *სრქ*-ში (გუშინ), რის გამო ვადმოსცემს კიდევ „გუშინდელად დღედ-  
მდე“-ო. ეს არ ემართება მას სხვაგან, სადაც კი ამ ცნების საპირისპირო ცნება  
გამოხატულია კონტექსტში, მაგ.:

*ხლ ღრქ'რ ჯ ხნმ გარხეასათიქს  
ქმარექანს ვხერხქ, ლ ვრაქმიქს  
ასათიღაგ აო ქ ჩაქს ქნმ ქ ვქქ-*  
*რქ* (451<sub>7</sub>).

რაგასა-მე არს ჩემ თანა პატიოსნებდა  
ესე კაცთაგან დღისი და სიმრავლესა  
ეარსკულაეთასა მოხედვია ჩემი ღამც  
(142<sub>26</sub>).

ამრიგად, ზემოაღნიშნული „lapsus“ ი უკვე მაჩვენებელია იმისა, რომ ქარ-  
თული ტექსტი მომდინარეა სომხურიდან. ამასვე უნდა ადასტურებდეს მეორე  
შემთხვევა:

*ჩაქალორს სხერასთიქანის ასქ, დოლ  
ხა სილ'რ საყაქანსიქ ირ მილხერეაქ-  
ქსაქილქს ქ ვაქაქა მხრ* (465<sub>26</sub>).

სებასტიანე პრქუა: „შენ ხარ წ'დაა  
იგი განმრყუნელი, რ'ნ შემოავლინე  
საქთური ქალაქსა ამას“ (153<sub>21</sub>).

აქ კი, ცხადია, მთარგმნელმა არაა ერთმანეთში დაწერილობის ნიადაგზე  
*სილენ*-ში *სილენ*, და ნაცვლად „მახვლ“ისა მიიღო „წმიდაა“. პირუკუ ვარა-  
უდს, ვითომც სომხური *სილენ* (წმიდაა იგი) იყო, კონტექსტი არ ამართლებს.

ქართული ტექსტის სომხურზე დამოკიდებულებას უნდა მოწმობდეს აგრე-  
თვე ლექსიკაც. ამ ტექსტშიაც უხვია ხმარება სომხურთან საერთო სიტყვებისა.  
აქ პირველ რიგში ისეთებია აღვუხსნავთ, რომლებიც ორივე ძველით ურთიერთს

ხვდება. მათი შეხვედრა კი ჩვენ ერთის მეორეზე დამოკიდებულების ერთ-ერთ, მაგრამ არა პირველი რიგის, ნიშნად მიგვაჩნია, ეს სიტყუებია:

1. ამბოხი—*ამრიხა*: „შენ ხარ რ'ლი აღადგინებ ამბოხსა მაგას“ (136<sub>21</sub>) „*იკლ ხა ირ კარცუანსა დამრიხა*“ (443<sub>8</sub>).
2. ბევრი: (ბევრწილად) — *მხრ(აყხლ)*: „ბევრწილად ეშმაკთ-საყუარელო (139<sub>18</sub>) „*ქრცაყხლ სათანაქასტრ*“ (446).
3. გელი: გელყოფა—*ყაქლ არქანსლ*: „მას ეამსა უბრძანა სებასტიანე გელყოფად პირსა მისსა, რ'ამცა დააყენნეს სიტყუანი ჭეშმარიტებისანი“ (140<sub>9</sub>) „*მხანქათამ სხრასთრანიი ზრამაქიხაყ არქანსლ ყაქლ ქ რხრანს ზორა, ჟს არყხლყ ჟრანსა ნჟმართიქხანს*“ (448<sub>1</sub>).

„გელ“ის სომხური შესატყვისი *ყაქლ* ან და *ჟქლ* მოყვანილ კონტექსტში „აღვირსა“ ნიშნავს. ძირითადი მისი მნიშვნელობა კი „მგელია“. ასეთი ორმაგი მნიშვნელობა, როგორც პროფ. პრ. აქარიანი აღნიშნავს თავის კაპიტალურ ნაშრომში *Հայերէն Ար-մատական Բառարան*-ში (II, გვ. 51)—ბერძნულის მიზადვით არის გამომუშავებული სომხურში. ბერძნულშიაც *λῆαις* „მგელს-აქა“ და *αἰ-ღειρ-საქ* „ნიშნავსო. *ყაქლ*ის „აღვირად“ გადმოცემას ძველი ქართულის სხვა ძველშიაც ვხვდებით. ესაა „მესუკავეთა წამება“, რომელიც უქველად სომხურიდან ნათარგმნ ძეგლს წარმოადგენს. აქ *ყაქლ არქანსლ* „აღვირ სხმად“ არის მოცემული (ნ. А. Х а х а н о в, М а т е р и а л ы по грузинской агриологии, Москва 1910, გვ. 20<sub>2</sub>).

ჩვენივე ტექსტის „გელ-ყოფას“ სატყვისად სომხ. *კათაიქოქ*-საც ვხვდებით. მაგ.: „*ეა გნებავს, გამოგოქსნე გელყოფაჲ ესე შენგან და გელყოფა მძასა მაგას შენსა* (140<sub>13</sub>)—*მჟუჯ ზანიქ ჟსჟ. ათნიმ ქ ჟს ჟკათაიქოქ ჟს ჟსან სჟიორს ჟილ* (448<sub>1</sub>). *კათაიქოქ* ძველ სალიტ. სომხურში ხშირი ხმარებისა არაა (ჩვენს ტექსტში იხმარება მხოლოდ) და არც იმისი ეტიმოლოგიაა დღესდღეობით ცნობილი (ნ. ჯრ. Ա ճ ա ռ ի ս ի, Հայերէն արմատական բառարան, III გვ. 1001).

4. გეპენია—*ღხსიანს*: „ეგე არს სარქც გეპენისა“ (144<sub>28</sub>) „*ოა ჭ თხსანსაჲ ჟს-სსსს*“ (453<sub>36</sub>); „*ჟ ნაშობო გეპენიასსო*“ (146<sub>1</sub>) „*ი ირყი ჟსსსს*“ (445<sub>30</sub>). გუნდი—*ღილჟ*: „გამოჩნდეს გუნდნი ანგელოზთანი“ (159<sub>2</sub>) „*ნრსხყანს იღილჟ ზრხჟსაჲყ*“ (473<sub>11</sub>).
6. გურკნეა—*ჟჟილსლ* (უნდა ყოფილიყო: *ჟჟქსლ*): „*არა რეცა გუშინ გიგურკნევილ შენ მკართა ზა ჩემთა*“ (142<sub>13</sub>) „*ო ჟ ხრქქ ჟჟილქს ჟჟჟ ჟ ქქქქს ქქქ*“ (450<sub>23</sub>).

ქართული შესატყვისი *ჟჟილსლ*-ისა „გურკნეა“ სომხურში *ჟჟქქსლ*-ის არსებობას გვაგარაულებინებს („*ჟჟქქსლ*“). შესაძლოა, რომელსაზე ნუსხაში ასეც იყოს ეს...

ღრაჰკანი—*ღაანსიანს*: „*ას და ცამეტი მივეც ღრაჰკანი*“ (150<sub>24</sub>) „*ღაქქქქსლ ლს ზრქჟათანს ჟაანსიანს ხითლ*“ (462<sub>2</sub>).

8. ზარი—*აან* (ყანს): „*ზარ-ჰხდიდა მსახურთა თვსთა*“ (145<sub>21</sub>) „*ეიღყანს ჟან მლბ საყათაიღყაჲ ქქქქ*“ (455<sub>23</sub>).

9. ზარლი:—(ქსელი) დედაზარდლისაჲ —*სარყ(აროქ)*: „ქსელი დედაზარდლისაჲ არს მიმოტაცებული ქართვან“ (140<sub>3</sub>). „*სარყარიჳნ ჳ ქიოიყხოჳ ჳ ზიჳიჳიჳ*“ (447<sub>33</sub>); „ქსელ დედაზარდლის განხეთქილ და განლეულ ცხოვრებისგან“ (140<sub>6</sub>) „*სარყარიჳნ ოჳათათხსჳ ჳ ჳსნაჳ*“ (447<sub>37</sub>).
10. ზორვა—*ღიზსჳ*: „უზორე აპოლონსა“ (153<sub>23</sub>) „*ღიზსჳ ოჳიჳიჳიჳ*“ (465<sub>30</sub>). ნაზორევი—*ღიზ*: „მეურაცხეო... აპოლონი ყლითურთ სულმყარლობითა მით ნაზორევათაჲ“ (136<sub>17</sub>) „*სარყსჳგ... ოჳიჳიჳიჳ ჳარსჳ*“ (442<sub>33</sub>).  
*ღიზსჳ*-ის შესატყვისად აქა იქ ვხვდებით „გებასა“ ზ „წსახურება-საც“: „მივედ და უვეღთა“ (139<sub>30</sub>) „*სარყ ჳ ღიზსჳ ოჳათათხიჳ*“ (447<sub>17</sub>); „თუ არა ჰმსახურო აპოლონსა“... (141<sub>1</sub>) „*სარყ ოჳ ღიზსჳ ოჳიჳიჳიჳ*“ (449<sub>3</sub>).
11. თარგმანება—*ქარიჳმანსჳ*: „მარიანოს წოდებულ ვარ, რი გამოითარგმანების ნაწილი კეთილი“ (156<sub>37</sub>)—*ქარიჳმანის ჳიჳიჳ, ირ ქარიჳმანის მანს რარს* (470<sub>13</sub>).
12. იარაკი—*კათასჳ*: „დაამეუა იგი ზა იატაკსა მას“ (135<sub>8</sub>) „*ღიზსჳგ ოჳნა ჳ ქირჳჳ კათასჳ*“ (441<sub>10</sub>).  
*კათასჳ*-ის სატყვისად „ქუეყანასაც“ ვხვდებით: „დავრო-მილი იღვა ქუეყანასა ზა“ (149<sub>13</sub>) „*სარყ ოჳსჳგ ჳ ქირჳჳ კათასჳ*“ (459<sub>33</sub>).
13. მარტვი—*ქარიჳრიჳ*: „განეწესე მარტვრთა თანა“ (156<sub>23</sub>) „*კათასჳ ჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (47<sub>33</sub>).
14. მგელი—*კაჳ*: „მგელ განმრყენელი“ (142<sub>33</sub>)—*კაჳ ოჳსჳგ* (451<sub>33</sub>).
15. მიპრაცი—*მისსჳგ*: „ფებრვალსა თთუესა, რლ არს მიპრაცი“ (160<sub>13</sub>) „*ქირჳჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (47<sub>33</sub>).
16. მოგვ—*მიჳ*: „და წიგნებიცა მოილო: მოგვსა მის ფილეტიმონისგან“ (158<sub>8</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (472<sub>3</sub>).
17. პატივი—*კათასჳ*: „და სცხომღე ქალაქსა ამას ჩნსა შინა დილითა პატივითა“ (156<sub>11</sub>)—*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ* (473<sub>11</sub>) და სხვაგანაც...
18. პილენძი—*კაჳ*: „ჩას, რ პილენძი არს“ (144<sub>22</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (453<sub>28</sub>); ზა პილენძი არს და შინაგან მოცალე არს მუცელი მაგისი“ (155<sub>13</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (368<sub>7</sub>).
19. უამი—*ქამ, ქამანსჳ*: „უამი არს ელომისაჲ“ (136<sub>8</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (442<sub>20</sub>); „უამთა მათ დევნულებისათა“ (133<sub>3</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (438<sub>14</sub>).  
*უეამო*—*სარყ*: „უეამოსა სამეცეა წარმწყვიდეს მე“ (142<sub>31</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (451<sub>13</sub>).
20. —*ათი*: „და ესრტთ ვა რუჲ სისხლისაჲ დამოადინა მისგან“ (139<sub>23</sub>) „*სარყ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ ოჳნა ოჳიჳიჳიჳ*“ (447<sub>7</sub>). ამავე ტექსტში ზოგჯერ *ათი*-ს „ნაკადულიც“ ესატყვისება.
21. სასტიკება—*სას*: „და უპყრიეს დამყარებული ბრძანებითა სასტიკებისა“

- მისისათაჲ“ (134<sub>7</sub>) *„ს ილხი ზე კარცი ლელიჲ ზრამას სასატი გ ლელი“* (439<sub>31</sub>).
22. ტანჯვა—*თანჯღი*: „და განარინე მეფე ესე ურვათავან, რთავან იტანჯების“ (141<sub>20</sub>) *„ს ლსიი გქსიდალირა ზე ქთანყტა, კირი თანჯღი“* (450<sub>3</sub>) და სხვაგანაც.
23. ტაძარი—*თანარ*: „და ვა მიიწია მეფე იგი ტაძარსა მას კერპთასა“ (133<sub>26</sub>) *„ს ლ სასაღ ქაღალირს ზე თანარ ლიიგ“* (439<sub>16</sub>) და სხვაგანაც...  
„ტაძრის“ სატყვისად ვხვდებით აგრეთვე *საყარანგ*-საც: „ვე მიიწია მეფე იგი ტაძართა მათ“ (135<sub>13</sub>) *„სირს სსაი კაყარანან“* (441<sub>16</sub>).
24. ურაკპარაკი. საურაკპარაკე—*რყარყარლი*: „ყლი ურაკპარაკნი წარმართთანი“ 134<sub>16</sub>) *„სამსან რყარყარს სსქსანიოთგ“* (440<sub>8</sub>) „და შთანთქა საკერპო იგი და გარემო საურაკპარაკე იგი“ (157<sub>21</sub>) *„ს სლიღ ღმსსხანს რყარყარსან ირ ღიღღ ღქსრსა“* (471<sub>8</sub>).  
„ურაკპარაკის“ სატყვისად ვხვდებით აგრეთვე *სოსან*-საც: „შთაუქდა გულსა ეშმაკი მის მეფისასა დაჯდომად ურაკპარაკსა“ (144<sub>2</sub>) *„სიღსაგ სათანაჲ ზე სირთ ქაღალირს“* *სათღ კათსღ* (453<sub>3</sub>) და სხვაგანაც...
25. ქალაქი—*ყაყაღ*: „და მოიწია შს ქალაქსა“ (143<sub>13</sub>) *„ს სასაღ ზე მღღაღაღს“* (452<sub>3</sub>) და სხვაგანაც...  
მზის-ქალაქი—*სრეღ-ღაღაღ*: „დ ყლნივე ღთნი მზის-ქალაქისანი ანის წარეწემიდნე“ (141<sub>20</sub>) *„საჲ ს ღამსანს სათილახს ოსრიღ-ღაღაღს ლილიანსმ“* (449<sub>27</sub>).
26. შაბათი—*ჯარაღ*: „აღესრულა... დღესა შაბათსა“ (160<sub>19</sub>) *„სათარხეო... კალიღ ჯარაღი“* (475<sub>13</sub>).
27. შირიმი—*ღქრქმ*: „აღაღეს შირიმსა ერთსა“ (160<sub>4</sub>) *„რყარს ოქრქმ მ“* (474<sub>29</sub>).
28. წინწილა—*ბიბღაჲ*: „ჩას რ ჰილენძი არს და უკმო (?) წინწილა“ (144<sub>23</sub>) *„სრსი სსღ სღღს ლ ოღანღიღ ბიბღაჲ“* (453<sub>28</sub>).
29. კეშმარიტი—*ჯმარქსი*: „მხოლოდ კეშმარიტი ღნი“ (141<sub>11</sub>) *„სქსან ღმარქსი სათილად“* (449<sub>16</sub>).  
კეშმარიტება—*ჯმართილქსი*: „შეტომილ არს კეშმარიტებისაგან ქსისა“ (144<sub>28</sub>) *„სილირს ღმართილქსს ზ“* (453<sub>27</sub>) და სხვაგან მრავალგზის...
30. კლემა: შეკლემა—*ბმსციღანსი*: „რაჲსა იქმ მაგას და შემკლემ გულსა ჩემსა“ (137<sub>23</sub>) *„ღღღღ რ არსსა ღაჲღ ს მსციღანსა ოქრთ ზმ“* (444<sub>20</sub>).
31. კულემა: დეკულემა—*ბმქი*: „რომელმანცა დაღდა ნები თვისი მკლესა ზა დაკულემად მისა“ (139<sub>14</sub>) *„იღი ზეღსა ოაღ ზე ზეღსა მარაღი ს მსქღღ ოსა“* (446<sub>23</sub>).
32. ჰასაკი—*სასაღ*: „დაკულ არს ჰასაკიცა მაგისი“ (150<sub>31</sub>) *„სიღღღღღი. ლ სსაღს“* (461<sub>28</sub>).
- ჯასაღ-ის შესატყვისად ვაწყვდებით აგრეთვე „ნაქმნეესაც“: „და

ნაქმნევი სიბერემან გარდააქციის კაცისაჲ“ (140)<sub>3</sub> „ჩქსკ ფრასაკ ბერიქსანს ღარქსამხეიღანს“ (447<sub>33</sub>). ვხვდებით ხრქარ-საც: „რახსამე აღორძინდა ჰასაკი“ (142<sub>27</sub>) „ღწღწ“<sup>2</sup> *ანხაყ ხრქარა ხმს*“ (251<sub>10</sub>).

**33. ჯოჯოხეთი—*ჯიქსკ*** „ღ თანამკვდრო ჯოჯოხეთისაო“ (146<sub>6</sub>) „*ჩ ძაიანჯ ჯიქსყ*“ (455<sub>31</sub>).

აღნუსხულ სიტყვათაგან ყველა. რასაკვირველია, სომხური (ან ქართული) არც არის. დიდი უმეტესობა ირანული სამყაროს კუთვნილებათ, შემდეგ სემურისაა, სომხურისა და ბერძნულის. წილი კიდევ უტყნობია, თუ ვისია იგი<sup>1</sup>. მრავალი ჩამოთვლილ სიტყვათაგანი ძე. ქართულ ორიგინალურსა თუ თარგმნილ ლიტერატურაში გვხვდება. ისინი ფეხმოკიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ ქართულ ენობრივ საღაროში ლიტერატურის ამ ძეგლების გაჩენანდისაც კი. მათი თანაბარი ხმარება სომხურში სრულიად არ მოწმობს იმას, რომ ისინი უთუოდ ყველა სომხურიდან ან სომხურით შემოვიდნენ ჩვენში. მაგრამ, როდესაც მათგან მრავლისათვის თანამხედომ ტექსტობრივ შეხვედრას ვაწყდებით ქართულ-სომხურ ძეგლებში, ხშირად რომელიმე მათგანის იერით, მაშინ უთუოდ ერთის მეორისაგან დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ისე მაგ.: „მარტკლი“ ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული, მაგრამ ზემოთ აღნიშნული სახით „მარტკრი“ და ისიც დამოკიდებულების სხვა მხრივაც გამომაჩინებელ ძეგლთან შეხვედრით, უთუოდ ლიტერატურულ გზას გვიჩვენებს, *via armenica*-ს ამ შემთხვევაში. ასევე ითქმის სხვა ბევრის შესახებაც. ახალი მანკ, რომელსაც ქართული თარგმანი სხვა ცნობილ თარგმანებთან თუ ორიგინალურ ძველ ძეგლებთან მიმართებით გვაწვდის, შემდეგია: გ ე ლ ი (ველყოფა), გ უ რ კ ნ ე ა და ქ ლ ე მ ა ან ქ ყ ლ ე მ ა. ჩამოთვლილთაგან პირველი—გ ე ლ ი ანუ მ გ ე ლ ი—საკუთარი სომხურ სიტყვად ითვლება, ხოლო გ უ რ კ ნ ე ა-სა და ქ ლ ე მ ა-ქ ყ ლ ე მ ა-ს სომხური შესატყვისები: *ფრქს* თუ *ფფიქს* და *ამქს*-ის ეტიმოლოგია ჯერ უტყნობია.<sup>1</sup>

ქართულ ტექსტში მოიპოება (თუმცა მცირე რაოდენობით) ისეთი უცხო სიტყვებიც, რომლებიც საზოგადოდ სომხურშიაც იხმარება (ანდა პირუქუ სომხურში გვაქვს ისეთი უცხო სიტყვები, რომლებიც ქართულშიაც იხმარება), მაგრამ ისინი საგულებელი კორესპონდენციით კი არ არიან წარმოდგენილი, არამედ მათი სინონიმები. ესენია:<sup>2</sup>

1. ბაგინი—*მხხანს*: „და ვა გამოვიდეს ბაგინისა მისგან კერპთაჲსა“ (135<sub>12</sub>) „*ნს ქსანს ზიყა ჩ მხხნს კიიენს*“ (441<sub>14</sub>).
2. დალიკი—*ათხანს*: „და ხელისაგან დაჯდა მეფე იგი დალიქსა მას“ (153<sub>19</sub>) „*ნს ჩ ქაიქანს ზათხაქ კათხნჩ*“ (465) და სხვაგანაც...
3. როქიკი—*ჩაყჩი*: „რწნი მირეწვიდეს მე დღისა როქიქსა“ (147<sub>13</sub>) „*იი რ ქარბქჩნს ჩნბ ირ ღათ ირქ ფაყჩქნს ჩამ*“ (457<sub>13</sub>).

<sup>1</sup> მათი ეტიმოლოგიისათვის პროფ. პ. ა. პარიანის *ჰაქჩქნს სრქათასკანს რაჲა-ქანს*-ით (მხრქანს 1926-1932 წ.) ვხვდებით დანაწევრებულს.

<sup>2</sup> ზოგიერთი მათგანის შესახებ ზემოთაც შევნიშეთ.

4. ფოლოცი—სურა: „ფოლოცი ესე მარმარინოფენილნი (133<sub>28</sub>) „სურაჲ კდაკათასკჲ“ (439<sub>19</sub>).
5. ადართილქის—აზნაურება: „იგინი ზესკენელ ზეგარდამო შობილ იქმნნეს აზნაურებითა“ (138<sub>10</sub>) „*ზიფა ქსრათის ხეის ბნიოქ კადართიქის*“ (445<sub>17</sub>).
6. ფანაჲ—საფასე: „ლტებისა საფასენი“ (140<sub>33</sub>) „*ართილბილქისანს ფანაჲ*“ (446<sub>33</sub>).
7. მსხეხსაჲ—ქმნული: „დამოქიდა იგი აერთა თვნიერ კაცობრივისა ეკლოვ-ნებისა ქმნულთა“ (140<sub>18</sub>) „*ს სრარბ ფსა კიფა არანფ მსხეხსაჲქჲ არიხსიქი მაროქი*“ (148<sub>13</sub>).

დასასრულ სომხურზე დამოკიდებულების ერთ-ერთი ნიშანი უნდა იყოს სომხურის მიხედვით ნაწარმოებ: ერთი სახელის კნინობითი სახეც. ეს არის: „შვილაკი“, რომელიც სომხური იოქსაკ-ის შესატყვისად არის ქართულში: „ნაც-ვალ შვილაკისა მაგის ჩემისა“ (158<sub>13</sub>) „*ქიჩასანსაკ იოქსიქი ქიქი*“ (472<sub>10</sub>).

ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნული მომენტი (ა. მცდარად წაკითხვა თუ გაგება სომხურისა, რაც იჩენს ზოგჯერ თავს ქართულში; ბ. სახელის მაწარმოებელი აფიქსი სომხურის წაბადვით და გ. ლექსიკა) გვგონია, რომ საკმაოდ საკმარისი საბუთია დავსაყენათ: ქართული ტექსტი „ფილექტიმონის წამებისა“ სომხურიდან არის ნათარგმნი.

როდისაა თარგმნილი ქართულად ზემოაღნიშნული ძეგლები? ამჟამად ძნელია პასუხის გაცემა ზედმიწევნით. პირველის შესახებ: თუ გავიხსენებთ იმას, რომ მისი ავტორი იესები კესარიელია, რომლის შრომაც (ძ.უ შრომები) ქართულად ყოფილა თარგმნილი ჯერ კიდევ იოანე ათონელის წინ, „უწინარეს მრავლისა ეამისა“, როგორც ეს ჩანს ექვთიმე ათონელის ზემორე მოყვანილი ცნობიდან (გვ. 334), შეგვიძლია ვთქვათ, რომ X ს-ის უწინარეს უნდა იყოს ნათარგმნი. ამას გარდა ორივე ძეგლის ენობრივ მხარეს არქაულობისაკენ მივყავართ. ამ მხრივაც გვგონია, რომ ისინი აღრეული ხანისა უნდა იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, VIII-IX ს.ს.-ბის უწინარესი, როდესაც სომხურ ლიტერ. სამყაროსთან მკიდრო კავშირი სუფევდა. „ფილექტიმონის წამება“, როგორც პროფ. ა. შანიძის აქვს შენიშნული (ჯერ არ გამოუქვეყნებია), ხანმეტობის კვალსაც, ვადანაშთსაც, კი ატარებს ერთგან.



## პართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები

„მრავალთავის“ ზივირთა თავის წყარო<sup>1</sup>

### III. მარტკლობა თეკლაძის

მორიგი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ძველს მრავალთავშია დაცული და ქვემოთ ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს, არის «მარტკლობა თეკლაძის».

მარტილობის წიგნის უძველესი ნუსხა XI საუკუნის ერთერთ მრავალთავს შემოუნახავს<sup>2</sup>. ხელნაწერი ნუსხა ხუცურითაა შესრულებული, წააგავს რამდენადმე პერგამენტზე ნაწერ სხვა, მასზე უფრო შედარებით მეტად ცნობილს, ე. წ. პარხალის მრავალთავის ხელნაწერს (საქართ. მუზ. ხელნაწ. A № 95). ჩვენი ნუსხა ნაწერია ქალაღზე და ამ მხრივ იგი ერთი უძველეს ნიმუშთაგანია ჩვენამდე მოღწეული ქალაღზე ნაწერი ხელნაწერებისა<sup>3</sup>.

ხსენებულ ხელნაწერ კრებულში დაცული «თეკლას მარტვილობის» ტექსტი ძველი ხელნაწერის გადანაწერი ნუსხაა. ამას მოწმობენ ის ცთომილებანი, რომლებიც აღმოცენებული არიან მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკულ ნიადაგზე, გადამწერის უგულისხმიერობისა და დაუდევრობის გამო. ამის სამოწმოდ ერთი მაგალითიც კი საკმარისია. ერთ ადგილს მარტილობის წიგნში ვკითხულობთ: «აღექსანდრე, რამეთუ მძლავრი იყო, ეწია და შებმა უყო და მოიხილა თეკლას ურაკპარაკსა მას შორის» (ნ. გვ. 108, 18). «მოიხილა თეკლას» არაა მართებული გამოთქმა. ვადამწერს «მოიხილა-ში» უმართებულოდ აქვს წარმოდგენილი დედნის «მოეხვა». ეს რომ ასეა, ამას მარტილობის წიგნის გვიანდელი დროის ერთი სხვა ნუსხაც მოწმობს. იქ იკითხება: «შეიხვია იგი». «მოიხილა» დამახინჯებულად ამოკითხული მოეხვია ან მოეხვა-ა და, რაც საგულისხმოა, მრგლოვანი დაწერილობისა («ე» წაკითხულ იქნა «ი»-დ, ხოლო «ე» თუ «ჟ»-«ლ»-დ, ბოლოსაც «ა» მოდიოდა და ამრიგად გაჩნდა «მოიხილა»-ც). ასეთი და სხვა

<sup>1</sup> ნ. დასაწყისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, გვ. 329—347, 1937 წ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმით არის დამუშავებული წინამდებარე ნაკვეთიც.

<sup>2</sup> საქართ. მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდი № 341, გვ. 167—197.

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძე—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, «მომომხილველი» I, გვ. 280 (ტფ. 1926 წ.).

მსგავსი ხასიათის შეცდომების არსებობა არც გადამწერისათვის ყოფილა შეუძრავი. იგი მას თავის ნახელაუში ეგულება. თავის თავსაც გადამწერი არ უტყუროს როგორც გაწერთნილ მწიგნობარ მუშაკს. ეს კი იმ მოსახსენებლიდან ჩანს, რომელიც ჩვენი ტექსტის ბოლოს არის დართული თვითონ გადამწერის ხელით: «ლოცვა ყავთ იოვანესთჳს უცბად მჩხრეკალისათჳს და დაკლებული ყოველი შემინდევთ».

უცბად მჩხრეკალ<sup>1</sup> იოანეს გადანაწერში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მრგლოვანი ხელით შესრულებული ხელნაწერის გადანაწერი ჩანს, ზემორე აღნიშნული მაგალითი ერთეული შემთხვევისა არ არის. შეიძლება კიდევ რამდენიმეს დასახელება. ასე მაგ.:

1. ნუსხაშია „იტყოდა“, უნდა იყოს „იცოდა“: «რამეთუ არა იტყოდა პავლს გორციელად» (გვ. 92, 5). აქაც მერმინდელ მოგვიანო დროის ნუსხაში (A № 643) უფრო სწორი წაკითხვა გვაქვს: „არა იცოდა მან პაულე გორციელთა ბილეთთა“ (შდრ. სომხ. *գի ոչ ճանաչէր նա գլխად ի մարմնով*).

2. ნუსხაშია „დიდებასა“, უნდა იყოს „დედებასა“: «და დაუკრდებოდა სარწმუნოებაჲ იგი მისი, უფროსლა რაჲამს ხედაენ მრავალსა დიდებასა, რომელნი შევლედ პავლსა» (გვ. 95, 3). მერმინდელი ნუსხა „დიდებასა-ს“ ნაცულად მართებულად ხმარობს: „დედებასა“-ს (შდრ. სომხ.: *և զարմանայր ընդ*

<sup>1</sup> „მჩხრეკალს“ გადამწერი ზმირად ეძახის ხოლმე თავის თავს ქართულ ძველ ხელნაწერთა მოსახსენებლებში. სიტყვა „მჩხრეკალი“, აკად. ივ. ჯავახიშვილის მართებული აზრით, „ჩხრეკა-საგან“ არის ნაწარმოები. „ჩხრეკა“ მკვლევრის განმარტების თანახმად (ნ. ივ. ჯავახიშვილი — ქართ. დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ. 1926 წ., გვ. 51). „ქექქას“ ნიშნავს. რადგან მეგრული „ჩხრეკა“ თბრას ანუ გათბრას ნიშნავს „ამიტომ, — დასძინს ავტორი — საფიქრებელი ღებება, რომ ჩხრეკა წერითი ხელმოწერის ძველი, წარწერათა გამოყვანის აღსანიშნავად განკუთვნილი, ტერმინი უნდა იყოსო“. ხელნაწერთა მინაწერ-ანდერძებში მოხსენებული ჩხრეკაჲ და დეჩხრეკაჲ ა.ე. მკვლევარს „არასათანადო წერის, ან დამწერელისაგან თავმდაბლობით თავის ნაწარმის დასაბასათებლად და აღსანიშნავ ტერმინად“ მიაჩნია. მაგრამ ისეთ გამოთქმებში კი, როგორიცაა — „ჰაჲად ჩხრეკაჲ“ და „უცბად ჩხრეკაჲ“ — „ჩხრეკაჲ“ წერას ნიშნავს, „თორემ ცუდად წერის მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, ჰაჲად ჩხრეკაჲ ხომ ორი ერთნაირი, სიტყვის გამეორება იქნებოდა“ო (იქვე, გვ. 52).

სხვაობს რაითმე ტერმინი „მჩხრეკალი“ ჩვეულებრივ გავრცელებულის „მწერალისაგან“, თუ ისინი ურთიერთის თანაფარდი არიან, ძნელია გადაწყვეტით თქმა, რადგან ქართული მასალა ამომწურავად არ არის შესწავლილი.

წარმოების მხრით ფარდი ტერმინი ქართული „მჩხრეკალისა“ სომხურში *գիրակա՛ն*-ია, ხოლო ბერძნულში *γραμματικῆς*. სომხური *գիրակա՛ն*, რომელიც *գիրել* „ჩხრეკა, ქექვა-საგან“ არის ნაწარმოები, ბერძნული *γραμματικῆς*-ს ეტიმოლოგიის ზეგავლენით გამოუმუშავებულ ტერმინად ითვლება სომხურს სამეცნიერო ლიტ.-ში და ისიც ბერძენოლოგი სკოლის მიერ (VI—VII სს.—*Ε. Διοφαντῆς Φραγκισκῆς*... გვ. LXXII—LXXIII). ადრე ამ ტერმინის მაგიერად სომხურში *գրու՛մբիւն* (მწიგნობრობაჲ) იხმარებოდა. უცხო და ქართულ ტერმინთა მსგავსი წარმოება უნებლიეთ გვაკარაულებინებს ისეთ შესაძლებლობას, რომ ეგების მათ შორის ფუნქციონალური მსგავსებაც სუფევდეს და „მჩხრეკალი“ „სამწიგნობრობაში“ გაწერთნილი ისეთ პირი იყოს, რომელიც თუ მწერალ-გამომთქმელი არა, მწერალ-გამმართველი მაინც იყოს თავისი ნაწერისა, ისე რომ იცავდეს ფინს სისწორეს, შესაძლოა რომელიმე სკოლის ნორმების მიხედვით. ამის დადასტურება თუ უარყოფა ქართული მასალის ჯეროვან შესწავლაზე დამოკიდებული...

*ნადასათი ზიკა. მანსალანჯ ექ თხსანჯე რაგიამ სკანაკა ექ მთასსქნ ათ შალკი).*

საფიქრებელია, რომ იიანე უცბად-მხბრეკალი ძველ ნუსხას შეარყევდა არა მარტო ზოგიერთი სიტყვის ცუდი ამოკითხვით, რომელიც გრაფიკულ განურჩევლობას თან სდევს ხოლმე, არამედ ორთოგრაფიითაც. ამის არა ერთი და ორი შემთხვევა გვაქვს ჩვენს ძეგლში. აქ ერთი და იგივე სიტყვა ხშირად სხვადასხვანაირად არის დაწერილი. მაგ.: ოდესმე || უდესმე (92, 20—92, 19); თხოვილ || თხუვილ (94, 24—95, 13); არს || არის (95, 21—95, 27); ცოლად—ცულ (95, 18; 103, 24) და სხ. (ნ. დაწვრილებით ვარიანტებში). აქ, ცხადია, ერთერთი ძველი სახეა, რომელიც მას დედანში მოეპოებოდა, ხოლო მეორე—მისი დროინაა. მთლიანად მისი დროის მართლწერაზე გადაწერილი არ გადასულა.

მაგრამ ზოგიერთი სხვა ტექსტისადმი, რომელიც მის მიერ გადაწერილ კრებულშია შესული, ეს არ ითქმის. მაგ., კრებულის 551—559 ფურცლებზე წარმოდგენილი ტექსტიდან, რომელიც შეიცავს «წმიდისა თეოდორეს ცხოვრებას», ჩანს, რომ რომელიმე ასეთი მოვლენა შემთხვევითი კი არაა, არამედ სისტემური ხასიათისაა. ასეთია მაგ., უი დიფთონგის გამოხატვა ორი ნიშნით. თუ რომელსავე სხვა მის მიერ გადაწერილს ანდა ამდროინდელ გადანაწერ სხვა ნუსხებში, ეს დიფთონგი ჩვეულებრივი ჟ-თია წარმოდგენილი, აქ უკვე იგი ჟ-ის სახით გვაქვს. აქედან ნათელია, ჯერ ერთი ის, რომ გადაწერილი გარკვეული სკოლის ტრადიციების დამრღვევა და მეორეც ის, რომ იგი მისდროინდელი საერო ძეგლების მწერალთა ნორმების უარყოფელი არ არის. ამასთანავე უკანასკნელისადმი მიდრეკილება გადაწერის მოღვაწეობის ხანის განმსაზღვრელობაა. ასეთი მოვლენა მხედრული ხელით ნაწერ XI ს-ის ძეგლებს ახასიათებს. ამიტომაც სწორად მიგვაჩნია იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც ხელნაწერს XI ს-ად მიიჩნევენ<sup>1</sup>.

«თეკლას წამებისა ტექსტს მოგვიანო დროის ხელნაწერებშიაც ვხვდებით. მათი ერთი წყება ხსენებული უძველესი ნუსხის ტიპისაა (საქართ. მუზ. ხელნაწ. A ფონდის № 643, S ფონდის № 2451), ხოლო მეორე<sup>2</sup> სხვისაა; იგი დამოუკიდებელია, ცალკე რედაქციას წარმოადგეს. უკანასკნელი წარმოქმნის მხრით პირველზე აღრინდელი არა ჩანს. ენობრივი მხარე და შინაარსობლივი რეალობები სავსებით ასხვავებს მათ აღმოცენების დროის მიხედვით. ამრიგად, ჩვენს სიძველე თსაცაეებში «თეკლას მარტვილობისა ორი დამოუკიდებელი წიგნი, ორი ურთიერთისაგან განსხვავებული რედაქცია, არსებობს. მეორე რედაქციას აქ ჩვენ არ ვეხებით. ამჟამად ჩვენთვის უფრო საგულისხმოა პირველი.

პირველი რედაქციის მოგვიანო დროის ხელნაწერები თითქმის თანხედენილია უძველესი ნუსხისა. ისინი მის გადანაწერ ცალგზად შეიძლებოდა მიგვეჩინა, რომ ერთი დაბრკოლება არ გველობებოდეს წინ. ეს ისაა, რომ ეს მო-

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, «მიმოხილველია I, გვ. 280.

<sup>2</sup> საქ. მუზ. A ფონდი № 70 და სხვა მრავალია. № 70-ში იგი დასათაურებულია შედგენიარად: «ლუწლი წმიდისა და დიდებულისა და კუალად მძლისა პირველმოწამისა თეკლასისი» (ფ. 416—429).

გვიანო დროის ხელნაწერები ალაგ-ალაგ ზედმეტ ან დანაკლის ადგილებს შეიცავენ. შედარებით მეტია დანაკლისის შემთხვევა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ძირითადი ხელნაწერი, საიდანაც ისინი მომდინარეობენ, ჯერ კიდევ ძველ დროს ყოფილა ამ მხრივ განსხვავებული ჩვენი ნუსხისაგან. შეიძლება პირველადი ჩვენი ნუსხა არც კი იყოს, არამედ მათი ხელნაწერი დედანი და ზედმეტი ადგილები, რომლებიც ჩვენს უძველეს ნუსხას მოეპოება, ინტერპოლაცია იყოს. ხოლო რაც შეეხება ზოგიერთი მცირე ადგილების დაკლებას, ეს გადაწერის, «უცბად მჩხრეკალის» იოანეს «მჩხრეკალობის» შედეგი იყოს. ასეა თუ ისე, ჩვენი ძველის დღეს ცნობილი უძველესი ნუსხა და მოვიანო ნუსხეზე, მიუხედავად მათი მოცულობის სრული თანუხვედნობისა, მაინც ერთი საერთო დედნისაგან მომდინარეობენ.

«თეკლას მარტვილობა» მოიპოება სომხურადაცა და ბერძნულადაც. მარტვილობის სომხური, ისე როგორც ბერძნული წიგნიც გამოცემულია. წამების სომხური წიგნის გამოცემულს: იგი ბერძნულისათვის შეუდარებია და ზოგიერთი თვალში საცემი სხვაობა სქოლიოებში აქვს მოყვანილი. სომხურ ტექსტს ჩვენ ერთერთ ძველ სომხურ ხელნაწერშიაც ვიცნობთ. ეს ხელნაწერი «მრავალთავსა» (*მარტიანო*) წარმოადგენს, რომელიც 1204 წ. არის ტყავზე გადაწერილი, და ლიტერატურაში ცნობილია მეშის მრავალთავის სახელწოდებით<sup>1</sup>. იგი დღეს ერევნის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (№ 78). მარტვილობის ტექსტს აქ უკირავს ფურცლები: 546—557. იგი სავსებით თანხვედრაშია გამოცემული ტექსტისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გამოცემულთან შედარებით ზოგიერთ უძველეს ორთოგრაფიულ მომენტს, რომლითაც საზოგადოდ ხასიათდება ამ კრებულში შესული მასალა. ჩვენთან მოყვანილი ტექსტი ორთოგრაფიულად მასთან არის შეფარდებული.

«თეკლას მარტვილობის წიგნი» უძველეს თარგმანად ითვლება სომხური აგიოგრაფიული ლიტერატურის ისტორიაში. V ს-ის პირველი ნახევრისად მიჩნეულ ძველთა შორის ნ. აკინიანის მარტვილოლოგიურ ნაწარმოებთა შორის მოქცეული აქვს «თეკლას მარტვილობაც»<sup>2</sup>. ხოლო ნორაირ ბიუზანდაცი ს ეს ძველი ამ ეპოქის მოღვაწეთა პირველი დასისაგან გამოსულ ნაწერთა რიცხვში აქვს შეტანილი<sup>3</sup>. ამასთან უკანასკნელი იმასაც შენიშნავს, რომ იგი თარგმნილია სირიულიდან და ერთგვარი მსგავსებაც მოეპოება მარტვილობის ამ წიგნს კორიუნის ნაწარმოებთანა.

როგორც ზემოთყვანილიდან ჩანს, «თეკლას მარტვილობის წიგნის» შესწავლის საქმე სომხურში ქართულთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. იქ

<sup>1</sup> *ქაქე* და *ქლაქერანიძეს* სრულ, *ნაორნაირ გოგხაჯე* ქ *ნაორნაორავ*, *ნაორ* *მ.* *ქხხხაქ*, 1874, გვ. 513—531.

<sup>2</sup> ილ. აბუღაძე, ქართ.-სომხ. ფილოლოგიური შტუდიები: მრავალთავის ზოგიერთი თავის წყარო, ტფილ. უნივ. შრომები VI, 1937 წ., გვ. 330 (შენიშვნა), 332—3.

<sup>3</sup> *ნორაირ* *მ. ბიუზანდაცი*, *ნაორნაირ* *მ.* *ქხხხაქ*, 1934, გვ. 47.

<sup>4</sup> *ნორაირ* *მ. ბიუზანდაცი*, *ნორაირ* *მ.* *ქხხხაქ*, 1900, გვ. 28.

ტექსტი გამოცემულია; გამომცემლის მიერ ზოგადად მიიწვევება შედარებული ბერძნულთან<sup>1</sup>; განსაზღვრულია ასე თუ ისე ძეგლის სომხურად თარგმნის დრო და ნაჩვენებია წყაროც, საიდანაც იგი მომდინარეობს სომხურში. სრულიად საწინააღმდეგო სურათი მოგვეპოვება ქართულში. არ არის გამოცემული ტექსტის არც ერთი რედაქცია; არ არის შედარებული სხვა ენებზე არსებულ ამავე მარტივლოზის ტექსტებთან; არაა, ცხადია, გარკვეული არც დრო მისი ქართულად წარმოქმნისა და არც წყარო, საიდანაც ეს ძეგლი უნდა იყოს თარგმნილი. არც ისაა გადაწყვეტილი, თუ რა მიმართება სუფევს მარტივლოზის ამ წიგნსა და რომელსავე ქართული ორიგინალური ლიტერატურის ამავე ხასიათის ნაწარმოებთა შორის. ეს არა მარტო ჩვენი ძეგლისადმი ითქმის, არამედ საზოგადოდ მრავალი ანალოგიური ქანრის ნაწარმოებთა მიმართ, რომლითაც მდიდარია ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურა, ეს ერთერთი მნიშვნელოვანი დარგი ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა.

ქართულად შენახული «თეკას მარტივლოზის წიგნები», როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი რედაქციისა არიან. ერთდროული აღმოცენებისა ისინი არ არიან. პირველადია ის ტექსტი, რომელიც უძველეს ნუსხასა და მის მიმხრობ ზოგიერთ მოგვიანო დროის ხელნაწერს დაუცავს და ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს. მეორე რედაქცია, რომელიც უმეტესწილად რამდენიმე ნუსხით არის აგრეთვე შენახული, ენობრივი ხასიათის მაჩვენებლებით პირველთან შედარებით მოგვიანო დროისაა. ამავე ნიშნულობით იგი ბერძნულიდან ჩანს თარგმნილი. სომხური მარტივლოზის წიგნის გამომცემლის მიერ საპირისპიროდ სქოლიოებში მოყვანილი ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი ბერძნულისა კვლავ მოგვეპოვება უცვლელად ქართული მარტივლოზის წიგნის მეორე რედაქციაში. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ეს რედაქცია ბერძნულიდან მომდინარეა ქართულში.

რადას წარმოადგენს პირველი რედაქცია?

პირველი რედაქცია, როგორც ვთქვით, რამდენიმე ნუსხითაა ჩვენამდის მოღწეული. როდესაც მათ შორის უძველესს, XI ს-ის ნუსხას, ვადარებთ სომხურს, დიდ თანხედენილობასთან ერთად სხვაობასაც გვაწვდის იგი. სხვაობა შემხვედრ ადგილებში თუ ცალკეული სიტყვების ან ფრაზების სხვანაირ წაყითხვაში მდგომარეობს, სამაგიეროდ ტექსტის ბოლო ნაწილში ქართულის სიჭარბესთან გვაქვს საკმე (ნ. გვ. გვ. 115—119; ქართულის ზედმეტი ადგილები სქოლიოებშია გატანილი). საწინააღმდეგო სურათს ვიღებთ, როცა სომხურ ტექსტს ამავე რედაქციის ქართულ მოგვიანო დროის ხელნაწერ ნუსხებებს ვადარებთ. დაკლებულობა ან სიჭარბე აქ ახლა თითქმის აღარ შეინიშნება, მაგრამ ცალკე სიტყვებისა და ფრაზების სხვანაირობა შედარებით მატულობს. ხოლო კველადფერი ეს იმას მოწმობს, რომ ქართული უძველესი ნუსხა, რომელიც მრგლოვანი ხუტურით ნაწერი დედნისაგან გადაწერილი აღმოჩნდა (ნ. ზემოთ გვ. 71), პირვანდელი სახით არ არის შენახული, იგი რამდენადმე გავრცობილია. რაც შეეხება მოგვიანო დროის ნუსხებს, ისინი, მართალია, ერთნაირ მოცულობას

<sup>1</sup> ამ მხრით შდრ. აგრეთვე *წ. ა. ლ. გ. ხ. ი. ა. ზ., ქართული ქართული და ქართული* (სტრუქტურა, VI, 460—464, შენიშვნები, *ქსნსხიქ*, 1813.

ამქლავნებენ, მაგრამ ადგილ-ადგილ უძველესთან შეფარდებით ცალკე სიტყვებისა და ფრაზების მხრით, უნდა ვიფიქროთ, გადამწერთა ხელში შეცვლილი არიან. ამრიგად, ქართული და სომხური ძეგლები თანაბრად სხვაობენ ბერძნულსაგან, ხოლო ერთნაირი მოცულობითა (პირველი რედაქციის მოგვიანო დროის ნუსხებს თუ მივიღებთ მხედველობაში) და ტექსტის თითქმის მთლიანი თანხედენილობით ერთიანივე წყაროდან მომდინარეობენ. სომხურისათვის წყაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (ნ. გვ. 74) სირიულია მიჩნეული. მაშინ ქართული, თუკი ბერძნულად სხვა რომელიმე მისებრი რედაქცია არ არსებობდა, იმავე წყაროდან იღებს თავის სათავეს.

უშუალოდ მომდინარეა თვითეული ამ ენებზე შენახული და თანხედენილი მარტივობის წიგნი. სირიულიდან, თუ ერთი მთვანე მგორის საშუალებით არის წარმოქმნილი, ეს არის ახლა ჩვენი მორიგი საკითხი. ამ საკითხს ქართულისა და სომხური ტექსტების ერთიმეორესთან დაპარისპირებითი და გამოწვლილივით შესწავლა გადაწყვეტს, კერძოდ კი რომელიმე non sens-ი, რომელიც აღმოცენებული აღმოჩნდება რომელიმე ადგილის ჯეროვანი გაუგებრობის ნიაღვრე. ასეთი რამ, მართლაც, აქ შეინიშნება. იგი ქართულს მოეპოება.

1. პაელე მოციქულის ქადაგებით მოხიბლული თემეროზის დანიშნული, თეკლა, პაელეს ერთი ნაცნობის სახლის სარკმელს არ შორდება, უჭრი აქვს მიპყრობილი მისი ქადაგებისათვის. ამ სურათს ასე გადასცემს თემეროზის სასიღედრო თავის სასიძოს: «აჰა ესერა სამი დღე და სამი ღამე არს, არა განეშორების სარკუმელთა ერთთა მთვანე, არცა ჰამს, არცა სუამს კაცისა მისთჳს (B: კაცისა ვისთჳსმე), არამედ თუალ უგანი და განჩუბრებული (B: განლიგებული) ხედავს კაცსა ვისმე ერთსა»... (*ახა აჲს ხერჳს თიჳღ ჳნ ჳ ხერჳს გიჳხერ ირ იჳ მსჳსჳს ჳ აჲსთჳსანჳს მჳიჳღ, იჳ ილჳს ჳ იჳ დმჳს ჳ იჳ კაჳსანჳს ანთჳს, აჲს გჳჳს ჳ მჳსრჳს ხერჳს აჲსთჳსანჳს ჳ აჲს დმჳს ჳ იჳ კაჳსანჳს*...).

თუ დაუუკვირდებით ქართულს, შევნიშნავთ, რომ გრამატიკულად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შინაარსობრივ რალაც დისინანსი შეაქვს ხაზგასმულ სიტყვებს: «კაცისა მისთჳს». ამ კაცს, ე. ი. პაელეს, ქვემოთ აცნობს თემეროზს მისი სასიღედრო. ასე წარმოდგენა ჯერ უცნობი პირისა (კაცისა მისთჳს) უჩვეულოა. პირველად ხსენების დროს იგი წესიერად არის მოცემული იქვე, ცოტა ქვემოთ: «ხედავს კაცსა ვისმე ერთსა უცხოსა». მოყვანილ ციტატში რალაც არა ჩანს თავის რიგზე. სომხურთან დაპირისპირებით ირკვევა, რომ «კაცისა მისთჳს» მცდარი თარგმანია სომხურისა: «*ს იჳ კაჳსანჳს ანთჳს*»-ისა. უკანასკნელი კი ნიშნავს: «არცა აღდგების მიერ». ამას თუ ჩავსხამთ მცდარად გადმოცემულის «კაცისა მისთჳს»-ის ნაცვლად, ვითარება სწორდება: «არცა ჰამს, არცა სუამს, არცა აღდგების მიერ», ე. ი. განუშორებლად სარკმელთან არისო. ფრაზის, *იჳ კაჳსანჳს ანთჳს*-ს, თარგმნის დროს ქართულად მთარგმნელს ანგარიში არ გაუწევია ნამდვილი ვითარებისათვის, არამედ შეუფერებელი სიტყვა-სიტყვაობით გადმოუღია. მათნჳს ჳმნად კი არაა გაგებული, სახელდობრ აწმყოს მესამე პირის ფორმად *კაჳსანჳს* («აღდგომა») ჳმნისა, არამედ სახელად. იგი დაწყებითი ბრუნვის (ablatif) ფორმად არის მიჩნეული *აჲს* («აჲს») სახელისა. ასეთმა მცდარმა გაგებამ მგორე სიტყვის «*ანთჳს*»-ის უჯერო გაგებას შეუწყო ხელი.

იგი ზმნისზედად (adverbe) კი არა, არამედ მსაზღვრელი ნაწევრის მონაცვლედ იქმნა წარმოდგენილი, რაც მართლაც ასეთ ხოლმე, თუ ის სახელის დაწყებითი ბრუნვის ფორმასთან მოდის.

ნონსენსისებრია მეორე შემთხვევაც. მარტილობის წიგნის დასაწყისში ავთოგრაფი ამბობს: «თანამოგზაურად შეუდგეს [პაულეს] დემა და ერმოგინე, პილენძის-მოქმედნი და მკედელნი, რომელნი საესე იყვნეს სიღრმითა მანკიერებითა და მდიდრად იტყოდეს და შესცხრებოდეს პაულეს, ვითარცა საყუარელსა თუსსა» (*მლიქ ანსკსაქ ენუ ზამა ზხმასა და ზერძიღსნესა აყნაჲაფიერებ და ჯარქნუქ ირ ქ ხინ ქაიქილქხამეც, მხზაფანხინ და ქაახხინ ენუ ჳააღიქს ქერს ენუ აქრქიქ ქერხანუ*). ყველაფერში თანხედენილობაა, მხოლოდ ხაზგასმული «სიღრმითა მანკიერებისადათა» და «ქაიქილქხამეც» არ ხედებიან. *ქაიქილქხან* -- «აღრევა, შფოთი, აღძრვა, შეძრწუნება, შეზრუნება»-ა. არც ერთი ამათვანი ქართულად მთარგმნელს არ გამოუყენებია. ჩანს, სომხურის იმ ნუსხაში, რომელიც მთარგმნელს ჰქონია ხელთ, *ქაიქილქხამეც*-ის ნაცვლად სხვა რამ არსებულა. თუ რა აზრითაა ნახმარი ქართულში «სიღრმითა მანკიერებისადათა», ამას ერთი სხვა ანალოგიური ადგილი ნათელს ჰქვენს. ეს ადგილია: «ხოლო დემა და ერმოგინე მკედელნი იგი, რომელნი საესე იყვნეს ზაკუვეებითა (B: ზრზინებითა), თანა შეუდგეს თემეროზს და პრქუესს» (*ჩაკ ზხმასა და ზერძიღსნესა ჯარქნუქ ირ ქაიქილქხამეც ქ ხინ, მათხან აა ზა და აახან*—99, 32): აქ თითქმის ერთიდაიგივე კონტექსტია. ორივეგან აღნიშნულია, რომ დემა და ერმოგინე აღსაესე იყვნენ *ქაიქილქხამეც*-ითო, რაც პირველ შემთხვევაში გადმოცემულია «სიღრმითა მანკიერებისადათა»-თი, ხოლო მეორეში — «ზაკუვეებითა»-თი (v. ზრზინებითა-თი). უკანასკნელი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ აქ სომხურს დედანში ქართულად მთარგმნელს უნდა ჰქონოდა, ანდა ამოეკითხა — *ქორამანსილქხამეც*, რაც, მართლაც «ზაკუვეებითა»-ს ანუ «ზაკუვეარებითა»-ს ნიშნავს. აქ ეს სიტყვა მარჯვე შესატყვისით, ერთივე სიტყვით, გადმოიღობია, ხოლო პირველ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვით გადმოიღობია ეს კომპოზიტი: *ქორ* (=ღრმა) + *მანსილქხან* (=მანკიერება) — «სიღრმითა მანკიერებისადათა». ამრიგად, ეს ორივე შემთხვევა ნათლად ამტკიცებს, თუ ამ თანხედენილ ტექსტთაგან რომელი რომელზეა დამოკიდებული. ქართული სომხურზე ჩანს დამოკიდებულნი, იგი მის თარგმანს წარმოადგენს.

სომხურიდან თარგმნობას უნდა მოწმობდეს აგრეთვე ის ადგილიც, რომელიც ქართულში წარმოდგენილი ჩანს სხვანაირად. დედნის ერთი სიტყვის გრაფიკულ ნიშნაზე მეორენაირად წაკითხვის გამო ამ სიტყვის თარგმანი არ ხვდება მას, რაც სწორად წაკითხვის შემთხვევაში იყო მოსალოდნელი. ეს სიტყვაა — *იერიგ*, რომელიც *აერიგ*-ად წაკითხვით (ი და ა გრაფიკულად მსგავსი ასოებია) გადმოთარგმნილია «წმიდათა»-დ. წინადადება, სადაც ეს სიტყვა იხმარება ასეთია: «მამო (მიმართუაა ღმრთისადმი), რომელმან შეჰქმენ ცა და ქუეყანაჲ, შენ ხარ მამაჲ წმიდათაჲ» (*ჯაკ ირ აერერხ ერქისა და ერქიქსა, და ჲილხა ჲაკი იერიგ*). შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ვითარება სომხურში უფრო სწორადაა წარმოდგენილი, ვიდრე ქართულში. მის მსგავსთა და თავის

თავზე თეკლას «ობოლი» (*იპრ*) უფრო ეთქმოდა, ვიდრე «წმიდა» (*სილრა*). ამ-რიგად, ეს მომენტიც იმის მანიშნებელია, რომ ქართული ტექსტი სომხურიდან არის ნათარგმნი.

სომხურზე დამოკიდებულების დამამტკიცებელ ერთერთ საბუთად სხვა მონაცემებთან ერთად შესაძლოა მივიჩნიოთ აგრეთვე მასთან საერთო ხმარების სიტყვების არსებობაც ჩვენს ტექსტში<sup>1</sup>; ეს მაშინ განსაკუთრებით, როდესაც შემთხვევათა უმეტესობა ორივე ტექსტში თანხვედნილად არის წარმოდგენილი. შემთხვევების უმცირესობა, სადაც ყოველთვის უკანასკნელი პირობა დაცული არ არის, იმას მოწმობს, რომ ქართულში მოსალოდნელი ფონეტიკურად მსგავსი საბადლო სიტყვა ან განსხვავებული შინაარსისაა ქართულში და მით არის გამოწვეული გადახრა, ანდა მოსალოდნელი ფონეტიკურად მსგავსი სიტყვის ნაცვლად ქართულს მოეპოვება სხვა უფრო მარჯვე სიტყვა, რომელიც უფრო ბუნებრივია ქართულისათვის. ხოლო ის ამბავი, რომ საერთო ხმარების სიტყვა ქართულშია იქ, სადაც სომხური საბადლო არც გვევარაუდებინებდა მას, იმას მოწმობს, რომ ასეთი სიტყვები ქართულისათვის შემთხვევითი კი არ არის, არამედ მკვიდრი.

#### ქართული და სომხური ტექსტებით შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვებია:

1. [ჰ]ამბორი—*ჰამრიკი* თეკლა... ჰამბორს უყოფდა (v. ჰეუცნიდა A)—*ჰსიკი ჰამრიკერი* (101, 32); შეიტკბო იგი და [ჰ]ამბორს უყოფდა (v. აკოცებდა მას—B)—*ჰჩიკს არჩხალ ჰამრიკერი გზა* (120, 23).
2. ამენ—*ამჷნ*<sup>1</sup> უკუნიით უკუნისამდე, ამენ—*კაქთხხანს კაქთხჩე, ამჷნ* (124, 14).
3. აპრამი—*აყოღრამ*<sup>1</sup> ზოგნი აკუმეველს საკუმეველსა (v. საკუმეველთა) აპრამსა—*ს ღჷსჷს [არქანსჩინ] ხილსა აყოღრამსა* (117, 11).
4. ატიანი—*ათხანს*<sup>1</sup> ლალატყვეს ატიანსა (v. ატიანსა B) მას წე—*რიიღჷ რარბჩინ ათაჷჩ ათხანს* (109, 21).
5. ბილწი—*აქიღ*<sup>1</sup> რაფთა გიქსნე თქუნ... ბილწებისაგან—*ღჷ... ჩ აღბიქსნს სრხეჩე* (100, 26); შეიქმოდა მის თანა ბილწებასა—*იღ კამჷღჷ ათხნღღღ ჷს აღბიქსჩინ* (110, 28).
6. ზუარაკი—*ღიღარასკ*<sup>1</sup> მიდგან მელა (v. მე B) ორნი (abs. A) ზუარაკნი (v. კურონი B)—*ხნ ჯმ სრკიღ ღიღარასკღ* (117, 20); მობმად სცნა ზუარაკნი იგი (v. ძნელნი A)—*სთ აბსღ ღღიღარასკან* (118, 1)...
7. თარგმანი—*ქარღმან*<sup>1</sup> სიტყუათა უფლისათა მოძღურებათა მათ და გამოთარგმანებათა (v. მოძღურებითა გამოუთარგმანებდა B)... მიუთხრობდა მათ—*ღამხნათხილან ღქარღარასთიქჩინს ს ღქარღმანთიქჩინს... აყათჷღ ჷიიღ* (91, 17).

<sup>1</sup> შტრ. წინა ნაკეთი: «ქართ.-სომხ. ფილ. შტუდიები», ტფილ. უნივ. შრომები VI, გვ. 346.

8. თეატრონი—*ქტაოინ* წარწყმილეთ უგუნური ეგე შორის თეატრონსა მავას—*კიოლსტე* *განმართ* *ქ მქ* *ქტაოინიქ* (103, 32); რაეამს უეუე (v. და რაეამს B) შეაყენეს (v. მოიყენეს B) მვენი იგი თეატრონსა მას—*ქერს მართ* *გადანდ* *ქ ქტაოინ* (110, 5) და სხ...

9. კეისარი—*კაიარ* და გვრგვნი იგი საკეისრო... მოხეთქა—*ღ ყასან* *გოსქ* *ღკახხერაკერა*... *ნანქ* *ქ ნანან* (108, 33); მიჰვალა გვრგვნი იგი საკეისრო—*ღსქე* *ყასან* *კახხერაკან* (110, 26)...

10. კიც—*კიყ* იყო იგი... წარბითა შეკიცულ—*კანსაკიყ* (92, 17).

11. პილენძი — *აქინა* პილენძის-მოქმედნი და მველენი—*აქინაფორბ* *ღ რარჩხ* (91, 6).

12. ტაძარი—*თანარ* ტაძარ ღმრთისა ითქუნენ — *კიხხეჩ* *თანარ* *სათობი* (93, 16).

13. ურაკპარაკი—*რეაყარაკ* და მირბიოდა ურაკპარაკად—*ღსჩახხელ* *ქ რეაყარაკან* (97, 16); მოხვა (v. შეიხვია) თეკლას (v. იგი) ურაკპარაკსა მას შორის—*გჩრქ* *არქ* *ქ მქ* *რეაყარაკან* (108, 18).

14. ქალაქი—*გაღად* მი-რამ-ვილოდა პავლე იკონია ქალაქსა—*ქერს ხლსა* *ხრქარ* *ღადღი* *ქქინჩინ* *გაღად* (91, 3) და სხ...

15. ქერობინი — *ქსრიქ* ზის საყდართა ზელა ქერობინთასა — *ნათი* *კაქი* *ქ გხრიქ* (123, 15).

16. შანფური — *ჯამიორ* აჭურვებდეს იგინი შანფურთა (v. შანთსა B). *ღხილღინ* *გჯამიორან* (118, 6).

17. ქეშმარიტი—*ჯმარჩი* და ცნან... სიყუარული ქეშმარიტებისად (v. ქეშმარიტისად)—*ბანჩეხ* *გინ*... *ჯმაროიქსან* (101, 4). სრულიად დაემტკიცებოდეს და განქეშმარიტდებოდეს — *ქიქ* *ნასათსხ* *ღ* *ჯმაროიქს* (122, 7).

18. ხეარტი—*ქასარო* და მოართუა [წულშან] ხუთი ჯუგზა პური და ხეარტი—*ღხხერ* *ნიგ* *ყასთანხან* *ჩჩნ* *ღ* *სკანსი* *ნაგ* *ღ* *ქასარო* (107, 15).

ბ. ტექსტებით ალაგ-ალაგ შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვებია:

1. ზარი—*ა* იყოს მათ ზელა *ზარი* და შიში—*ხეჩეჩ* *ქ* *ნთას* *ა* *ღ* *ღ* *ხრქიქ* (101, 2); *ზარი* განჰვალა ყოველსა მას ქალაქსა—*გიღაგ* *ამნანან* *გაღად* (118, 23).

2. ეამი—*ტამ* მომიჯნენ მე (v. ქშ A) მვეალი ესე შენი ამას ეამსა—*ქიხ* *გაღად* *ქინ* *ღი* *ქ* *ტამი* *ღ* *კაქამიქ* (114, 16);

ეამი არს ნათლისღებისად—*ტამანან* *ღ* *მღრთიქ* (115, 28);

მას ეამსა აღიესო გულისწყრომითა—*კან* *ქ* *ტამ*... *ქ* *სიღ* *გამამარ* (97, 15);

მაშინ აღიმალა ჯმად ოსი—*კან* *ქ* *ტამ* *ხერაღ*... *გჯან* *ქიქ* (100, 17);

ღროდ მიეტა სიდღერსა მას მისსა—*ტამი* *ღ* *თილსა* *ტამათი* *ხიღ* *ნამ* *გიღანან* *ქიქ* (98, 23);

მუნთქუესვე ახლდა (აღღა—ბ) თეკლა—*ნიქ* *ტამან* *კარხალ* *ქიღ* *ყარაკი* *ჩხიქ* (111, 27).

3. მოგვ—*მიძ* წარმოითრით (წარმოითრინით B) მო გ ვ ეგე—*ქარუხნებ* *ქაიძე* (99, 27);

წარწემილე გრძნეული ეგე—*ჰიროლანტე ქაიძე ქაიძე* (103, 18).

4. სასტიკი—*ასასტიკ* წვშად სასტიკი ზეცით (abs. B) გარდამოვიდოდა—*ანბარს ასასტიკ ქერქერ ჩხვიჯი* (105, 16);

ლაუწლი დიდ არს—*შათხრაძამ ასასტიკ ჭ* (107, 21).

5. ტანჯვა—*თანჯეს* იწვეს გუემად და ტანჯვად შეკარისა—*თანჯესტან* *ფინაყანს* (102, 13).

#### ბ. ტექსტობრივ მოხალოდნელი საერთო ხმარების სიტყვები:

ა) ქართულშია მხოლოდ, სომხურში არაა:

1. ამბობი—*აგინიკ* ამბობი კველისაჲ (v. ზახილისაჲ B) შეიქმნა—*ხელ* *აღინიკ აფაფაქი* (113, 16).

2. ხისტნი—*ილქიხნ* მიდგან მელა ორნი ზუარაკნი ხისტნი—*ხნ ჯამ ხეკილ* *ფილარაქდ ილქიხნ* (117, 20).

3. *მხჩხან*—ბაგინი: ერქუნ თელას ბაგინის მძუარტუველ კერპთა—*ყარ* *ფუნდ* *ფჩხელ* *მხჩხანსკოყოილ* *ფჩხნ* (110, 25).

ბ) ქართულში მოხალოდნელის ნაცვლად სხვაა:

1. *ჩიერეხელ*—ავზებული: რადამცა შეავდეს ცეცხლსა მას აღვზებულსა—*ფი ხუც* *კაფეს* *ქ ქერაქ* *ჩიონ* *ჩიერეხელი* (105, 4).

2. *ფილ*—ტბა: იხილა მუნ ტბად ერთი—*ხთის* *ფილ* *ქი* (115, 26).

3. *ჩასაკ*—ასო: იყო იგი ასოვთა მდაბალ (v. მდგამ B)—*ჯაქი* *ჩასაკა*. (92, 15).

4. *ჩიქიქ*—სტჯრაკი: ზოგნი აკუმევედეს საკუმეველსა სტჯრაკეთასა (v. სტრ-გისთა B)—*ქესან* [არქანხჩნ] *ქიონსკა* *ჩიქიქა* (117, 10).

5. *მხბაილ*—ჰაეროვნება (?): რამეთუ ერიდებოდე ჰაეროვნებასა სილაშისა მისისასა (abs. A)—*ფი დანფიხტი* *ქ მხბაილ* *ფანსკილქხნ* *ჩიონ* (96, 32).

6. *ზუან*—სასწაული: მსგავსად სასწაულისა მის—*ღასთ* *ზუანსან* (92, 12); მოესწავა სასწაული ხილვისა მის—*თილსა* *ფზუანსან* *თხილხანს* (92, 3).

7. *ყარხედას*—კუართი: აღიწადა ჰავლე კუართი თჯი—*ხჩან* *ყარღი* *ფარხედასან* *ქარ* (106, 2).

8. *ყათილ*—ნაყოფი: არა ვხედავ თქუნ თანა ნაყოფსა სიმართლისასა—*იჯ* *თხასანსამ* *ქ ჰხე* *ყათილ* *არფაროლქხან* (93, 1).

9. *თიჩამ*—ნათესავი: არცა ნათესავი ჩემი მახლავს (v. მიხილავ B) ვინ ზურგად—*იჯ* *იფ* *კაფყათიჩამ* *ქამქ* *კაქ* *ქ ქიქილსა* *ქამ* (112, 25).

მთლიანად თუ ნაწილობრივ შემხვედრი სიტყვები (18+5=23) თითქმის ორჯერ მეტია მათზე, რომლებიც ასეთს მოკლებული არიან (3+9=12). ვიმეორებ, რომ ასეთი ვითარება, სხვა იმ ნიშნებთან ერთად, რომლებიც ერთი ტექსტის შეორისაგან მომდინარეობას ამკლავებს, მოწმობს მას, რომ ქართული სომხურზეა დამოკიდებული, მისგან არის ნათარგმნი.

მთლიანად თუ ნაწილობრივ შემხვედრ საერთო ხმარების სიტყვათაგან უმეტესი წილი უცხოური წარმოშობისაა<sup>1</sup>: ირანულია—7 (ა 5; 11, 12, 13; ბ 2, 3, 5); ბერძნულია—4 (ა 2, 8, 9, 15); სირიულია—5 (ა 3, 6, 7, 14, 16); მკვიდრი სომხურია—3 (ა, 1, 4; ბ 4); უცნობია—4 (ა 10, 17, 18; ბ 1). წინათაც გვითქვამს და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ მრავალი ამ სიტყვათაგანი ძველ ქართულ ორიგინალურსა თუ თარგმნილს ლიტერატურაში გვხვდება. ისინი ფეხბოკიდებული უნდა ყოფილიყვნენ ქართულ ენობრივ საღაროში ჩვენი ძეგლის გაჩენამდისაც. მათი თანაბარი ხმარება სომხურში სრულიად არ მოწმობს იმას, რომ ისინი ყველა სომხურიდან ან სომხური გზით შემოვიდნენ ჩვენში<sup>2</sup>. საგულისხმო და ცალკე საკვლეფია, თუ რა გზით არიან ისინი შემოსული ქართულში, მაგრამ ეს სხვა ძეგლთა მონაცემებთან ერთად გაირკვევა მხოლოდ. მათი ტექსტობრივ თანაბარი ხმარება კი იმას მოწმობს, რომ მათი ასეთი შეხვედრილობა დედნით (ამ შემთხვევაში სომხურით) არის გამოწვეული.

სომხურიდან თარგმნა ჩვენი მარტვილობის წიგნისა არ არის უცხო რამე და არაჩვეულებრივი ამბავი. ძველმა სომხურმა და ძველმა ქართულმა მწერლობამ გარკვეულ პირობებში აგიოგრაფიისა, თუ სხვა რომელიმე სფეროში მწერლობისა, ერთიმეორისაგან გადაღებული ესათუის ძეგლი სხვაც იციან. შესწავლის დღეიანდელ საფეხურზე გადმოღების მეტი შემთხვევა გვაქვს სომხურიდან ქართულზე. მაგრამ ასეთი ქართულიდანაც რომ წარმოებდა სომხურზე ამის სამოწმოდ რამდენიმე შემთხვევის დასახელება შესაძლებელია. ერთი ასეთია „დიონისე არეოპაგელის ცხოვრება“<sup>3</sup>, ხოლო მეორე—„შუშანიკის მარტვილობა“ იაკობ ტურტაველისა, რომლის საკმაო ოდენობის ფრაგმენტები დატულია სომხურს მერამინდელს გადანაკაზმ რედაქციებში „მარტვილობის წიგნებისა“, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევია<sup>4</sup>.

„თეკლას მარტვილობის წიგნის“ სომხურიდან ქართულად თარგმნა ამჟამად მთავარი რიგის საკითხად არ მიგვაჩნია (ესეც, რასაკვირველია, თავისთავად საინტერესოა), არამედ ის, რომ „თეკლას მარტვილობა“, რომელიც სომხურიდან არის გადმოთარგმნილი, როგორც ირკვევა, მეტად ძველი თარგმანი ჩანს.

ქართული თარგმანის სტილი და საზოგადოდ ენა დიდად მოგვაგონებს „შუშანიკის მარტვილობას“, რომელიც იაკობ ტურტაველის კალამს ეკუთვნის. მოკლე-მოკლე დიალოგებით, მოკვეთილი ფრაზებითა და ნაკლები რიტორიკით

<sup>1</sup> ამ საკითხის გარკვევისათვის პროფ. პრ. ა. ქარიანის *Հայերէն սքանաթանքն զայսօր*-ით (ერევანი 1926—1932 წ.) ვებოძმდვანელობდი.

<sup>2</sup> შდრ. «ქართ.-სომხ. ფილოლ. შტუდიები», ტფილ. უნივ. შრომები, VI, 1937 წ. გვ. 346.

<sup>3</sup> P. Peeters, *Analecta Bollandiana*, XXXIX, გვ. 277—315, Bruxelles 1921; ნ. ავრეთე ჩემი წერილი: «რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები (წინასწარი ნარკვევი)» ენ ი მ კ ი ს «მ ო ა მ ბ ე» III, გვ. 123 და შმდ.

<sup>4</sup> იაკობ ტურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი: ქართული და სომხ. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ. 1938.

იგი ძალზე ჩამოჰკავს ქართული ორიგინალური მწერლობის ხსენებულ უადრინდელეს ძეგლს. ამ ორი ძეგლის ზოგიერთი ცალკეული სურათიც კი სათანადო გამოთქმებითურთ ეხმაურება ერთიმეორეს. ასეთია, მაგალითად, «თეკლას მარტილობითა»:

„ლუაწლი დიდ არს და შენ კმნულ-კეთილ ხარ, ნუ უკუე სხუად რაიმე განსაცდელი მოიწიოს შენ ზედა უძვრს პირველისა და შენ ვერ დაუთმო მათ“ (107, 20).

ხოლო «შუშანიკის მარტილობითა»:

„ლუაწლსა დიდსა შესვლად ხარ, დედოფალო, ეკრძაღე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუ უკუე მტერმან ვითარცა სრსულმან სამოყვარი პოოს შენ თანა“ (III, 11<sup>1</sup>).

დაახლოებით ერთნაირი სურათია აქ გადმოცემული. ასევე მსგავსია მოწამეთა პასუხიც მზრუნველთადმი:

„შენ ბეჰელი იგი ქრისტესი მომეც მე და განსაცდელი მე არა შემეხოს“ (თეკლა, 107, 25).

„ხუცეს, და მეცა დიდსა ლუაწლსა განმზადებულ ვარ“ (შუშანიკი—III, 14). სიტყვიერი სიახლოვე აქ იმდენად არა ჩანს, მაგრამ მომდევნო ადგილში, სადაც სამაგიერო პასუხია მზრუნველობისა, ეს მსგავსება აშკარაა:

„ჰრქუა მას პაულე: «შენ ხოლო სულგრძელ იყავ და მიიღო უკუე, რომელსა იგი შენ ითხოვ“ (თეკლა, 107, 28).

„და მე ვარქუ მას: «ეგრეთ არს, მენე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“ (შუშანიკი, III, 15).

ახლობელი ადგილია აგრეთვე:

„სამოსელი და ოქროდ დიდძალი... მიუძღუნა თეკლას. ხოლო თეკლა მოიღო სამოსელი იგი... და მიუძღუნა პაულეს“ (თეკლა, 122, 25).

„მიუძღუნაო სამკაული ესე მისი?“ (VII, 27—შუშანიკი).

„ყოველივე მომიძღუნა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან“ (შუშანიკი—VII, 38).

ცალკეულ გამოთქმების მსგავსებასთან ერთად ამ ორ ძეგლს შინაარსობრივი ნათესაობაც ახასიათებს. შუშანიკის დასჯის საბაზად პიტიახში ცოლობისაგან განდგომას ასახელებს. ასევე თეკლას სამსჯავროში წარდგინებისათვის ერთერთ ბრალად საქმროს (თემეროზის) უარყოფაა წარმოდგენილი.

ხსენებული ორი მარტილობის წიგნის ურთიერთთან კავშირი აღნიშნულ მომენტთა გარდა უხვად მსგავსი ძველი სიტყვაზმარებითაც დასტურდება. მათ აღნუსხვას აქ არ გამოუვლდებოთ. ძველი ლექსიკა, რომელიც თეკლას ქართული მარტილობის წიგნს საზიარო აქვს შუშანიკის მარტილობის წიგნთან, ცალკე ნიშნით გვაქვს გამოყოფილი ტექსტზე დართულს საგანგებოდ შედგენილ ლექსიკონში.

<sup>1</sup> ი ა კ ბ ც უ ნ ტ ა ე ე ღ ი—მარტლობა შუშანიკისი... ტფილისი 1938.

«თეკლას მარტილობის წიგნი», საზოგადოდ, სათანადო ლიტერატურაში და, კერძოდ, ქართულში, ორიგინალურსა თუ თარგმნილში, გამოუხმაურებელი არ დარჩენილა. მასზე მითითებას ჩვენ უძველესი დროიდანვე ვხვდებით. «ევესტათე მცხეთელის „მარტილობის წიგნის“ ერთი ადგილი, სახელდობრ ლოცვა ეესტათესი, სადაც ლეთის მიმართ ნათქვამია, რომ შენ შეიწყნარე ლოცვა „პირველ მოწამეთაჲ, რომელნი პირითა მახვლისაჲთა მოსწყდეს... რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მჭეტთა მიერ შეიკამნეს სახელისა შენისათჳს-ო“<sup>1</sup>, ერთგვარი მითითება უნდა იყოს ჩვენი მარტილობის ძეგლზე. ვინაიდან სწორედ თეკლას სჯიდან დაწვითა და სხვადასხვა მხეცების მიტევებით.

თეკლას ხსენებას ძველი ქართული სასულიერო პოეზიის დარგშიაც ვხვდებით. კრებულში, რომელიც მიქელ მოდრეკილს ეკუთვნის (X ს.), ერთგან ნათქვამია:

„... თეკლას და ფებრონიას... ერთობით შეეასხმიდეთ“-ო (გვ. სნლ) ?.

ქილ-ეტრატის ხელნაწერშიაც (IX ს.) ცალკე საგალობლები აქვს დადებული თეკლას: „თღესა სეკდემბერსა: კდ:“ (საქ. მუზეუმის ხელნაწ. H ფონდი № 2123, ფ. 259 v.—262 v).

თეკლაზე მითითება ნათარგმნ ძეგლშიაც არის და, რაც მთავარია, სწორედ ჩვენი ძეგლის უძველესი წიგნის სახით და არა მერმინდელით,—ბერძნულ-ილიდან ნათარგმნით. ეს თარგმანია „სახისმეტყველი“:

„წმიდანი ივლტოდეს დიდისაგან ეშაპისა... თეკლა თემეროსისგან განერა“ (TP по Арм. Гр. Фил. VI, XX 54)

თეკლას ქმრის სახელი რომ თემეროს ფორმითაა აქ, იმას მოწმობს, რომ უძველესი წიგნია აქ „თეკლას მარტილობისა“ გამოყენებული და არა მერმინდელი. მერმინდელში ეს სახელი „თამარ“-ის სახით არის ნახმარი.

ნათესაობრივი კავშირი, რომელიც თეკლასა და შუშანიკის მარტილობის წიგნებს ატყვიათ, იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ იგი ამრავლებს ქართლის, უკეთ—ქვემო ქართლის უძველესი შემოქმედებითი წრის ნაყოფს და ამდენად მეტ შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ დაახლოებით მაინც დავახასიათოთ ენობრივად ამ წრის შემოქმედება<sup>2</sup>. ამას გარდა ეს ძეგლი ერთი იმ დოკუმენტთაგანაცაა, რომლითაც შესაძლოა წარმოდგენა შევიქნათ სომხურიდან შესრულებული ძველ თარგმანთა შესახებ. ისინი, როგორც ცნობილია, შესრულებული არიან ძველად ქვემო ქართლსა და ტაო-კლარჯეთში, მაგრამ რა დამახასიათებელი ან ერთს ან მეორე წრეში აღმოცენებულ ძეგლთათვის, ჯერ კიდევ ზედმიწევნით გაუმიჯნელ, ვითარებაში, სრულიად არაა ნათლად

<sup>1</sup> გვ. 93, ს. კაკაბაძის გამოცემა: «სისტორიო კრებული», წიგნი III. ტფ. 1928.

<sup>2</sup> პ. ი ნ ვ რ ო ყ ვ ა, „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“, 1913 წ. ტფ. 1913.

<sup>3</sup> პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ქართლში წარმოშობილად მიაჩნია აგრეთვე სომხურიდან შესრულებული თარგმანი „წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ თედოროსი და იელიანოსი და ევბულოსი და მალკაიოსი და მოკიოსი და სალამონისი“, რომელიც ჩვენი ხელნაწერის (H 341) მიხედვით გამოსცა P. Peeters-მა (Anal. Bolland. t. XLIV, fasc. 1 et. 2 Brux. 1926). თვით გამოცემელი და ტექსტის გადამწერი R. Blake ხსენებული წამების წიგნის წარმოშობას ტაო-კლარჯეთს მიაწერენ (ნ. „მომომხილველი“ I, გვ. 281).

წარმოდგენილი. ეს გარემოება კი მეტად ზრდის ჩვენს თვალში ჩვენი ძველის მნიშვნელობას და გვაიძულებს სწორედ გამოვაქვეყნოთ იგი სომხურ ტექსტთან ერთად.

იმ ძირითად მომენტებზე პასუხის გაცემა, რომელიც ჩვენი ტექსტის შესწავლამ უნდა მოგვცეს, ჯერ კიდევ წინასწარი ხასიათის სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს. ამიტომ, ცხადია, რომ ამომწურავ პასუხთან ქვემოთ ვერ გვექნება. საქმე, ამ თავით მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ შენიშვნებსა და დაკვირვებას თუ შევძლებთ წარმოვადგინოთ ტექსტთანა და მის ლექსიკასთან დაკავშირებით.

შენიშნულია<sup>1</sup>, რომ სომხურის ქართულ ძველ თარგმანებს ბევრ შემთხვევაში დედნის ზედმიწევნელობა უკეთ აქვთ დაცული, ვიდრე სომხურის ხელნაწერ ნუსხებს. ამიტომ ადგილების გასამართავად ქართული ძველი თარგმანები საიმედო საყრდენს წარმოადგენენ სომხურისათვის. არა თუ შებღალული ადგილების აღსადგენად გვაძლება ქართული, არამედ ბნელი ფრაზებისა თუ სიტყვების ჯეროვანი გაგებისათვისაც.

თეკლას სომხური მარტივობის წიგნს მოეპოება რამდენიმე სიტყვა, რომელთა ხმარება სხვაგან სადმე ჯერხნობით დადასტურებული არ არის. ასეთი სიტყვების შინაარსის დასადგენად საზოგადოდ სხვა ენებზე არსებულ ანალოგიურ ძველს მიჰმართავენ ხოლმე. სომეხ გამომცემელსა და ლექსიკოლოგებსაც ჩვენი ტექსტის ამ სიტყვების შინაარსის ნათელსაყოფად ბერძნულისათვის მიუმართავეთ. მაგრამ, რადგანაც ბერძნული ტექსტი არა ჩანს იმ რედაქციისა, რომელსაც სომხური წარმოადგენს, ამიტომ როგორც ქვემოთ ვნახავეთ, ზედმიწევნით ვერც კი განუსაზღვრავთ ისინი. ახლა კი, როდესაც სომხურის მსგავსი რედაქცია ქართულ ძველ თარგმანში აღმოჩნდა, მათი შინაარსის დადგენა, ცხადია, საძნელო აღარ უნდა იყოს.

ასეთია—*ფილქ*. კონტექსტი, რომელშიაც იგი იხმარება, შემდეგია: *«ქერს ხთხ ვჴადღიჳ ყჩ ფაქრ, აქრ ჯაჭ ჯასასკა, ჩხრადანფიქრ, ფილქ ქხრადიქნ, კარქ ფქ, ხაქქმხხასკ, კანასკჩე, ილჯე ხერკანაფიქნ ლ ქჩ ჯრ ჯორადღნ თხანჩ ლ იფირძღხამქ»* (92, 12). ქართულში საბადლოა:

„და ვითარცა იხილა პავლე, მო-რაჲ-ვიდოდა, რამეთუ იყო იგი ასოჯთა მდაბალ, თმითა ლულარქნილ, ყუ რ ი თ ა განცქეულ, კირ დრეკილ, გრემან თუალითა, წარბითა შეკიეულ, ცხვრ გრძელ და საცხე მადლითა ღმრთისადათა“.

*ფილქ*-ის ხმარება სხვა რომელსამე ტექსტში სომხურისა არაა დამოწმებული. ბერძნული ტექსტის მიხედვებით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სხვანაირი რედაქციისაა, მარტივობის ტექსტის გამომცემელი<sup>2</sup> შესაწყნარებლად მიიჩნევს *ფილქ* შესაწოროს *ფილქ*-ად, რაც „მუხლის თავსა თუ კოქს“ ნიშნავს. *ჯაქჩქნ არმასთასკან რაიარან*-ის მიხედვით კი *ფილქ* იმავე ბერძნულის დახმარებით *სრილქ*-ად, ე. ი. „წვივად“ არის განმარტებული (F, 292). *ფილქ ქხრადიქნ* ასეთ ვითარებაში, ერთი მხრით „მუხლ-მცირე“, ხოლო მეორე

<sup>1</sup> Н. Марр, ТР., книга VI: Физволаг, предисловие, гл. VIII.

<sup>2</sup> *ქარქ* *ლ ქკარქ*. *სრქე*, II, 514 (შენიშვნა),

მხრით — წვიგ-მცირე გამოდის. ქართული უძველესი და თანხედენილი თარგ-მანი *ჟიღ*-ის საბადლოდ აყურს ხმარობს; მაშასადამე, *ჟიღ ქხრაფიჯა* — „ყურ-მცირე-ა“, ან როგორც ქართულს ტექსტშია: „ყურითა განცქეულ-ი“. „განცქეული“ სიტყვა-სიტყვითი საბადლო არა ჩანს სომხური *ქხრაფიჯა*-ისა; იგი, როგორც ერთგან ვარიანტშია (92, 24) წარმოდგენილი, „გაცქერილი“ უნდა იყოს, ხოლო უკანასკნელი კი ზომიერზე ნაკლებობით, „მცირე“-ობით თუ იყო გამოწვეული. ასეა თუ ისე, „განცქეული“ *ქხრაფიჯა*-ის შინაარსობლივი შესატყვისია და არა სიტყვა-სიტყვითი.

კონტექსტისაგან დამოუკიდებელიც შეიძლება კაცს *ჟიღ* ქართულ „გუგა“-სთან დაეკავშირებინა. მაშინ „ყურ-მცირე“-ს ნაცვლად „გუგა-მცირე“ გვექნებოდა. „გუგა“ სომხურად *გუგ* არის. თითონ *გუგ* კი, რამდენად მისი ეტიმოლოგია სომხურში უცნობია, თუ ქართულ „ბიბლოს“ დაუკავშირდებოდა, „ყური“ გამოვიდოდა. ამრიგად ფონემურად მსგავს სიტყვებს შორის შინაარსობლივ კონტრასტი აღმოჩნდებოდა: „გუგა“ (თვალი) — *ჟიღ* (ყური) და „ბიბლო“ (ყური) — *გუგ* (თვალი). შესაძლოა თუ არა ასეთი რამ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ *ჟიღ* კი მანაც ქართული ტექსტის ჩვენებით „ყური“ ჩანს სომხურისათვის და არა „მუხლი“ თუ „წვივი“.

ქართულშიაც მოგვებოება ისეთი იშვიათად ხმარებული სიტყვები, რომელთა შინაარსის კონკრეტულად დადგენა სომხურის შემწეობით შესაძლებელია. ასეთებია:

1. კ ი რ ი:

ზემორე მოყვანილ ციტატში პავლე მოციქულის შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო „კირ დრეკილ“. სომხურში ამ გაზონათქვამის შესაბამისად გვაქვს — *კარქ ფტქ ზტქ* სომხური ლექსიკონების განმარტებით „*ბილ*“-ია, ე. ი. „მრუდე“, ანუ როგორც ჩვენი ტექსტი ამბობს — „დრეკილ-ი“. რაღაა „კირ-ი“ მისი საბადლო *კარქ* სომხურ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც — „ანკესი (საბათი — ნემსკავი), ფეხი, ფეხის ძარღვები (საბათი — შეშაძარღვი), ან წვივი“. სომხური ტექსტის გამომცემელი და *Արմ. բառ-ի կարქ ფტქ*-ს ბერძნულთან შეფარდებით *კირაქარქ*-ად, ე. ი. „ბარკალ-მრუდედ“ თუ „ბარკალ-დრეკილად“ განმარტავენ. ამრიგად, მათი მიხედვით ხსენებულ კონტექსტში *კარქ* „ბარკალია“ — ფეხი მუხლიდან თქომდის. საბას თავის ლექსიკონში მოეპოება როგორც „კართი“, ისე „კირ“-იც, „კირნი“-ს სახით. მათი განმარტება მასთან თითქმის ერთნაირია, სამოწმოდ კიდევ ბიბლიის წიგნები აქვს დასახელებული: „კირნი — კისერი, თუ შეშაძარღვი“ [შდრ. „კართი — შეშაძარღვი (+სადრეკისა A)“ და „კართი — ნემსკავსაც ჰქვანა“]<sup>1</sup>. აკად. ნ. მარს, რომელსაც „კირნი“ შეხედრია იპოლიტეს ქართულ თარგმანში („კურთხევათა მათჳს იაკობისთა, ვითარ იგი ათურმეტნი ნახპეტნი აკურთხნა“, 300<sup>1</sup>, 11)<sup>2</sup> და იგი Pl. t.-ად

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ. 1928 წ.

<sup>2</sup> H. Mapp, TP, III, გვ. XLVL

მიაჩნია, განმარტებული აქვს, როგორც — „жилы“. მართალია, ამ სიტყვის სომხუო საბადლოს — *ჭარქ*-ს — ასეთი მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ იგი ჩვენს ტექსტში არც „ძარღვია“ და არც „კისერია“. იგი „ფეხს“ აღნიშნავს; „წვივი“ უნდა იყოს, რადგან მასთანაა დაკავშირებული სწორედ „შეშაძარღვ“-ც. სვანურში, როგორც პროფ. ვ. თოფურია ამ აგვიხსნა, „ჩლიქის“ აღსანიშნავად ეს სიტყვა დღესაც იხმარება თურმე.

## 2. კიცვა.

ძველ ქართულში იშვიათად ხმარებულ სიტყვათაგანი, რომელიც ზემომოყვანილ ციტატაშივე გვხვდება, არის „კიცვა“-ც, „წარბითა შეკიცულ“-ის სახით. „კიცვა“-ს ხმარება დამოწმებული აქვს აკად. ნ. მარს იპოლიტესთანაც (ნთარგმ. ქებაჲ ქებათაჲსაჲ, გვ. 20, 38, 43—44) და განმარტავს სრულიად მართებულად, როგორც „*связать, привязать друг к другу (хвостами)*“. აკად. ნ. მარი მას სომხ. *կցել — կից*-ს უკავშირებს. *კიց* სომხურში კომპოზიტებში ჩანს. იქ მისი მნიშვნელობა ძველი ქართულით „მოღვამი“-თ არის გადმოცემული (მაგ. *Աჭուսակից* — საყდრისა მოღვამი). „შეკიცული“, მაშასადამე, „მიღვმულს“ ან „გადანასკულს“ ნიშნავს<sup>1</sup>. ეტიმოლოგია *კიց*-ისა უცნობია სომხურში. თუ „კიცვა“-ს შესატყვისი ძირი ქართველურ ანდა კავკასიურ ენებში აღმოჩნდება, მაშინ იგი შესებებული იქნება სომხურის მიერ. ყოველ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ მას სათანადო ძირი ინდო-ევროპულ ენებში არ უჩანს.

მარტვილობის ტექსტის სხვა იშვიათი ხმარების სიტყვათაგან საგულისხმოა კიდევ:

## 3. საქსუსალი (var. საქუსული):

„და... თეკლა მოხუხევის მას [=პაელეს], ვითარცა საქსუსალი ქსელსა“ (96, 18). — *ხლ მხკე ყათი გნიკალ ქერს საყან ვითაქანქლ*:

„ქსელი“ ნაქსოვი ან „საქსოვარია“ (საბა). საქსოვარს რაც ეხვევა, ექსოვება, მაშასადამე, ის საქსუსალ = საქუსულ<sup>2</sup>-ია. საბას ლექსიკონის ერთ ხელნაწერს, რომელსაც მისი საქუთარი ხელი ატყვია, როგორც რედაქტორისა, „საქსუსალის“ სომხური სატყვისი *საღუნ*, ან როგორც იქაა „ასპ“, „დეგის“ შესატყვისად აქვს მოყვანილი. ხოლო დგომი განმარტებულია, რომ „არს, რომელი საქსუსალა შინა დაყრილია და ხან ქვეშეთსა ქსელსა ზედეთ აიყვანს და ხან ზედათასა ქვეშეთ ჩაიყვანს საზედაოს გასავლებად“. იქვე „საზედაო“ განმარტებულია, როგორც „ქსელში გასავლები ძაფი“<sup>3</sup>. ამრიგად, საქსუსალი საქსოვი დაზვის ნაწილია.

## 4. ხავარტი:

„მოართუა ხუთი ტუეზაჲ პური და ხავარტი და წყალი“ (107, 14) *მხხერ ნიგა ყათანასასკნ ჩრუკ ზკანასკ ზაგ კ ქადაყოფ და... ღიღ*<sup>4</sup>.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანს „კიცვა“ ცალკე არა აქვს შეტანილი ლექსიკონში, მაგრამ „შეკიცული“ კი მოგვთმობს; განმარტებული აქვს, როგორც „წარბ-ახუელი“; ჩანს, რომ ჩვენი გამოთქმა — წარბითა შეკიცული“ ჰქონია საბას ხელთ, როცა ეს სიტყვა შეუტანია ლექსიკონში. „წარბთან“ იგი „ახუელად“ განუმარტავს, რაც სწორი არაა.

<sup>2</sup> საქ. მუხ. ხელნაწ. H ფონდის № 95.

სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს ეს სიტყვა „ხავარ-ტა“-ს სახით. განმარტებული აქვს, როგორც—„ხასი, ყრდელი“; ზემოხსენებულ ხელნაწერში კი როგორც—„უშუნი“<sup>1</sup>; შებღალული ვარიანტიდან თუ ნუსხიდან ჩვენი ძეგლისა საბას მოყვანილი აქვს ჩვენთვის საინტერესო ეს სიტყვა „ხავარტი“-ს სახითაც: „მოართვა ხუთი პური ხ ა ე რ ა ტ ი და წყალი“. აქ ისე ჩანს, თითქოს პურის სახელწოდებათაგანი იყოს ხავარტი, მაგრამ იგი აქ შერყენილი ტექსტიდან მომდინარეა და ამატომ საბას უქირს განმარტების მოცემა, რის გამო უამისოდ აქვს დატოვებული.

*სადაცა*-ი სომხურში *სადა* ძირისაგან გამოჰყავთ, რაც „ხაო“-ს ნიშნავს, და რომლის ეტიმოლოგია უცნობია. *სადაცა* „მწვანილელული“ ან „მხალია“-ო. ამრიგად როგორც საბას განმარტება, ისე სომხური ახსნაც ამ სიტყვისა ერთნაირია. იგი „მხალს“ ნიშნავს. ასეა სწორედ ბერძნულიდან მომდინარე ამ მარტვილობის ქართ. ძეგლში ეს სიტყვა მოცემული. რა მხალია „ხავარტი“? როგორც აკად. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი არკვევს (საქ. ეკონ. ისტ. II, გვ. 210—214), იგი საღათი ყოფილა. ამისთან „ხავარტი“ პ.-ც. მკვლევარს ძველი ხმარების სახელწოდებად მიაჩნია.

5. ს ე ფ ე კ ა ც ი :

„მოვიდეს სეფეკაცი იგი და მიუღეს თეკლა კელთაგან ტროფიმსთა და მიიყვანეს იგი თეატრონად...“—*ეს სიქსი აყათანჩი, აიქი ... გმსკე ქ ძხიავი სქიქინსაკ აქიქილ ს.ათარან ქ ქქაათარან...* (113, 40).

„სეფეკაც“-ს სომხური კონტექსტით *აყათანჩი*(*რ*) უდრის. *აყათანჩი* ჩვეულებრივ კი ნიშნავს: „კაბუქს, წულს, ახალგაზრდას, ყრმას“, ზოგჯერაც—„მონას“, ე. ი. მსახურს. ყველა ამ მნიშვნელობით მას მართლაც ვხვდებით ჩვენს ტექსტში, მხოლოდ „მონა-მსახური“-ს შემთხვევაში იგი „სეფეკაცით“ არის გადმოცემული. „სეფე“ აქ ან მთავრის სასახლეს ანუ კარს ნიშნავს, ანდა იგი *ახაჩასიან*-ის შესაბამისი ქართული „საკუთარი“ უნდა იყოს. „სეფე“ თუ აქამდის ისეთ კომპოზიტებში გვხვდებოდა, როგორიცაა „სეფეწული, სეფექალი“, ახლა ისიც ირკვევა, რომ არსებულა მისით შედგენილი სხვანაირი კომპოზიტები, რაც სამეფო თუ დიდებულ-მთავრის გვარის წევრობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ მათთაგანის ნება-სურვილის აღმსრულებელზე, მსახურ-საკუთარზე<sup>2</sup>.

*აყათანჩი*-ს შესატყვისად რომ ნაირნაირი შესაბამისობანი გამოიყვინა ქართულში, იმის მანიშნებელიცაა, რომ მთარგმნელი სათანადოდ გაწვრთნილი პირია. იგი კარგად ფლობს ენებს და შემთხვევის შესაბამისად კიდევ გადმოაქვს არა შეზღუდვლის ლექსიკური შესაძლებლობით, არამედ ფართო გამოყენებით. ამის მოწმობას ჩვენი ტექსტი ხშირად ააშკარავებს.

<sup>1</sup> ამ ხელნაწერით „ხავარტას“ სომხურ შესატყვისად მიწერილი აქვს „ხავარტ“, ხოლო „უშუნს“—„ხავარწი“-ი.

<sup>2</sup> პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს „სეფეკაცი“ ხმარება „სამეფო მოხელის“ მნიშვნელობით შენიშნული აქვს ოთხოვეის ქართულ თარგმანის უძველეს ვერსიებში, დასაბულებულ ადგილს სომხურში *ყაჩანა*-ი (ნ. „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, გვ. 27—28).



მარტვლობაჲ თუკლადსი

თმძხთი  
(ქართული და სომხური)

### ზიზოქლიბანი:

A — საქ. მუზეუმის H ფონდის ხელნ. № 341.

B — საქ. მუზეუმის A ფონდის ხელნ. № 643.

M — ერევნის სახ. მუზეუმის ხელნ. № 78.

P — ნაბეჭდი ტექსტი — *‘სარე და ყყაყარ... 1874 წლ.*

1. ფრჩხილებში ჩასმულია ის სიტყვები, რომლებიც ურთიერთიან მიმართებით ტექსტებს ზედმეტად მოეპოებათ.

2. დაშლილად წარმოდგენილია ის სიტყვები, რომლებიც ტექსტებს ურთიერთისაგან განსხვავებული აქვთ.

**წამებაა წმიდისა თეკლასი<sup>1</sup>: კ<sup>2</sup>:  
 წათმობენ ქარიც სერიც მსიქსაჲ აგაქსიჲ ჟ<sup>3</sup>ი<sup>4</sup>**

მი-რა-ე-ვი-ლო-და<sup>5</sup> პავლე<sup>6</sup> იკონია ქალაქ-სა<sup>7</sup> შემდგომად დევნულებისა მისისა<sup>8</sup>, თანამოგზაურად<sup>9</sup> შეუდგეს დემა<sup>10</sup> და ერმოგინე, პილენძის-მოქმედნი და<sup>11</sup> შვედლენი, რომელნი სასვე იყვნეს სი-ღ-მ-ი-თ-ა-მ-ა-ნ-კ-ი-ე-რ-ე-ბ-ი-ს-ა-ე-თ-ა; მდიდრად იტყოდეს და შესცხრებოდეს<sup>12</sup> პავლეს<sup>13</sup> ვითარცა საყუარელსა თვისსა. ხოლო პავლე<sup>14</sup> ხედვი-და მადლთა მათ<sup>15</sup> წყალობისა ქრისტეს-თა<sup>16</sup> და ზაკულებით არა<sup>17</sup> ეტყოდა მათ<sup>18</sup> მიმართ<sup>19</sup>, არამედ ჰყუარობდა მათ<sup>20</sup> სწორად. და ეგოღენ ჰყოფდა<sup>21</sup> სიყუარულსა (მათდა მიმართ<sup>22</sup>), ვითარ-მედ ყოველთა (მათ სიტყუათა) უფლისა-თა მოძღვრებითა გამოუთარგმანებდა<sup>23</sup>, (სიტყუათა და) შობათა მათ<sup>24</sup> და გა-მ-ო-ც-ხ-ა-დ-ე-ბ-ა-თ-ა<sup>25</sup> საყუარელისა<sup>26</sup> მისისათა მიუთხრობდა<sup>27</sup> მათ. და გა-ნ-ს-უ-ს-ე-ნ-ე-ბ-და მათ<sup>28</sup> სიმდიდრითა ქრის-ტესითა<sup>29</sup>, მოასწავებდა<sup>30</sup> მათ სიტყუათა,

კაცი ერთი იყო მუნ, რომელსა სახე-ლი ერქუა ონესიფორე. ესმა (რა<sup>29</sup> მას), ვითარმედ პავლე იკონია<sup>30</sup> ქალაქელ მო-ველს, მიეგებოდა მას სახლეულითურთ

*ქერს ხესალ ხერწაჲრ წაღოთა ქიკი-ნიჩინ ჟაღად ქით ზაღბანაჲგ ჯღრიგ, ს ქიღქ ანსესალ ღნუ ზამა ზხმას ს ჯხრნიღხნსა აღნაღაღორბ ს ჟარ-ქნუღ, იორქ ხინ ჯიოიქილქ ხამაქ, მხბარანხჩნ ს ჯიასხჩნ ღნუ წაღ-ღოთი ქერს ღნუ სჩრესლქ ჯღრხანგი სღ წაღოთა ზაქერ<sup>16</sup> ჯ ჯიორი იღორ-მილქხანს ჴრქითთიქ. ს კხეღქღქ ჯნუ იღ ჴნუ აქო<sup>17</sup> ღნუ ზიოთ, აქ სჩ-რქერ ღნოთა ზასარაქაგი სღ აქსაქს აჩრქერ<sup>18</sup> იოქეს ღქ ღამნსათხანს ღქღარღაქხთილქჩნს ს ღქღარღამ-ზილქჩნს ს ღქნიღნღნს ს ღქაქრილ-ქჩნს<sup>19</sup>, იოქეს სჩრესლქ აქათმქერ ზიოთ სღ ზანღიღესანქერ ღანაქჩნსა ზი-ოთ მხბლქხამარს ჴრქითთიქ, ს გიღ-ესანქერ ღანსქღ ქხ იოქეს აქათნს-გაღ ზამა;*

ვითარ-იგი ვანეცხადა<sup>28</sup> მას.

*ისქ აქერ მქ ხერანხქი ათიღს ოწხ-სჩქიორი<sup>3</sup> ოღაღ ქხ წაღოთა ღაქ ქიკინიჩინ ჟაღად, ხღ ღნუ ათაღ ზი-ორა, ღნათანხაღ ს ღქნიანხაღ კნაღ*

<sup>1</sup> თეკლასი A. <sup>2</sup> აგაქსიჲ ჟ-ქ abs. P. <sup>3</sup> მი-რა-ე-ვი-ლო-და B. <sup>4</sup> პავლე A. <sup>5</sup> ქალა-ქად B. <sup>6</sup> მისისა] მის B. <sup>7</sup> თანამოგზაურად B. <sup>8</sup> დემეს B. <sup>9</sup> და abs. B. <sup>10</sup> შემცხრებოდეს A. <sup>11</sup> პავლეს A. <sup>12</sup> + მიმართ B. <sup>13</sup> ქესთა A. <sup>14</sup> არა] რეცა B. <sup>15</sup> მათდა მიმართ] მათ B. <sup>16</sup> ზაქერ P. <sup>17</sup> მათ abs. B. <sup>18</sup> ვეგოღენთა ჰყუარობდა B. <sup>19</sup> სიყუარულსა მათდა მიმართ abs. B. <sup>20</sup> მოძღვ-რებთა მათ და გამოთარგმანებთა B. <sup>21</sup> მათთა B. <sup>22</sup> + მათ H. <sup>23</sup> სიყუარულისა B. <sup>24</sup> მოუ-თხრობდა B. <sup>25</sup> და განსუსენებდა მათ abs. A. <sup>26</sup> სიმდიდრითა ქესთა A. <sup>27</sup> და ასწავებდა B. <sup>28</sup> გამოეცხადა B. <sup>29</sup> რა abs. B. <sup>30</sup> პავლე იკონია A. <sup>31</sup> ქართული ჰგენება უფრო სწორი გვგონია, სომხურშიაც ასე უნდა ყოფილიყო—*ქაღაღქ*. <sup>32</sup> ქართულისებრ სომხურშიაც *ქაოთ-ნილქჩნ* უნდა ყოფილიყო.

და ზენონით<sup>1</sup> ცოლით მისით შეწყნარებად პავლსა<sup>2</sup>, რამეთუ მიეთხრა ტიტეს მისთვის<sup>3</sup> და მოესწავა სასწაული<sup>4</sup> ხილვისა მის პავლსისაჲ<sup>5</sup>, რამეთუ არა<sup>6</sup> იცოდა მან<sup>7</sup> პავლემ<sup>8</sup> კორციელად<sup>9</sup> გარნასულიერად<sup>10</sup> ხოლო. და მივიდა და დადგა მებოძირთა<sup>11</sup> მათ თანა<sup>12</sup> სოფლისა გზისათა, რომელი იგი მივიდოდა<sup>13</sup> ლუსტრად<sup>14</sup> ქალაქად. (და<sup>15</sup>) დგა<sup>16</sup> და ელოდა მას<sup>17</sup>. და<sup>18</sup> განიცდიდა (ყოველთა) თანაწარმავალთა გზისათა<sup>19</sup> მსგავსად სასწაულისა მის, რომელი იგი მოასწავა<sup>20</sup> ტიტე<sup>21</sup>. და ვითარცა იხილა<sup>22</sup> პავლემ<sup>8</sup> მორაგ-ვიდოდა, რამეთუ იყო იგი ასომთა მდაბალ<sup>23</sup>, თმითა ლულარქნილ, ყურიითა განკეულ<sup>24</sup>, კირ ღრეკილ<sup>25</sup>, გრემან<sup>26</sup> თუალითა<sup>27</sup>, წარბითა შეკიკულ<sup>28</sup>, ცხვრ გრძელ<sup>29</sup> და საექე<sup>30</sup> მადლითა ღმთისაჲთა<sup>31</sup>, ოდესმე<sup>32</sup> ეგრე ჩან ვითარცა კაცი<sup>33</sup>, ოდესმე ანგელოზისა სახედ<sup>34</sup> გამოჩნდის იგი.

ვითარცა<sup>35</sup> (მოიწია) პავლემ<sup>8</sup> (და) იხილა ონესიფორე<sup>36</sup>, განიხარა ფრიად. და ჰრქუა მას<sup>37</sup> ონესიფორე<sup>38</sup>: „მშუღობაჲ შენ თახა პავლემ<sup>8</sup>, მოციქულო მის კუროთხელისა (მოძღურისაო!)<sup>39</sup>“ ჰრქუა მას პავლემ<sup>8</sup>: „მშუღობაჲ შენ თანა<sup>40</sup> ონესიფორე ყოვლით სახლით შენითურთ!<sup>41</sup>“ ხოლო<sup>42</sup> დემა და ერმოგინე<sup>43</sup> აღიყენეს გულისწყრომითა და მრავლითა შურისგებითა<sup>44</sup> განსქდებოდეს და ეტყოდეს მას<sup>45</sup>: „და ჩუენ არა მის<sup>46</sup> კუროთხელისანი<sup>47</sup> ე არ თ<sup>48</sup> და ეგვევითარად არა მოგუკითხენ<sup>49</sup>“. მიუგო მათ<sup>50</sup> და ჰრქუა<sup>51</sup>: „(მის გამო არა მოგუკითხენ<sup>52</sup>),

ჩარიც ხანგრძბ' (ხქინ რნუ არაჲ ჳალკოი) რნფონხლ ვნა, ვანფი ყათმხალ ჯრ ზოგა შჩათი, კ თოლხალ ვნაზანს თხახანს ჳალკოი, ვი ოკ ნანაჯერ ნა ვჳალკოი მარმნიი, რაჲ ივკლი მჩანს: ვივალ ხლავ ნა ჰ ნანაყარაჲქვს აიღოთაჲნ ირ ხერქაჲრ ჰ ჰლათრია ვაჲ, ჲარ ჰ საყათერ ნამა. კ რნუ აჲთიქ ირ ხერქ ქინს კ ვაჲქნ' რაჲქერ ჲათ ზუანთენ, ვირ თოლხალ ჯრ ნამა შჩათი: ჰერს ხთხა ვჳალკოი ვი ვაჲქერ, აჲრ ჲოჲი ნათამა, ნერადანფორ, ვივკ' შჩრადიჲ, ჲარქ ვქლ', ჰამაქ მხახს, კანამქვ, ოლხკ ხერქანაჲქვ, კ ქი ჯერ ჲირაჲდ ნხანს კ იღირამლქამარ. ხერხმს ხრსქერ ჰერს ვაჲარ, კ ხერხმს ჰ თხახლ რეჲთაჲქი

ჰერს ხთხა ჳალკოი ვწახიქიროს, ილრახ ხელ კიჲ: მსქ ვნა მწახიქიროს. ილიქინ რნუ ვხვ, ჳალკოი, თათხალ ჲარსხიქონა: მსქ ვნა ჳალკოი. ილიქინ რნუ ვხვ კ რნუ ამნსაჲნ რნათანხალკ' ვი, მწახიქიროსა: ჰსქ ჰხამას კ ჲერმიგნხსა ქი ხეხს ვამამარ, კ რადიამ ვქნილ ხერქბანსხის კ თხახს ვჳალკოი. იქსჲ რ ჰ ხაჲ ჲარსხიქონ' ვი აჲქაჲქი იღიქინ ოკ ხერხკ ხთორ მხვ: შთ ყათამაჲქანსი ჳალკოი კ თხახ (ვნითა). იჲანფი ოკ თხახანსი ჰ ვხვ ყთილკ არღაროლქხანსა: მსქ ვნითა

<sup>1</sup> ზენონითურთ B. <sup>2</sup> პავლსა A; პავლსთვის B. <sup>3</sup> რ მიეთხრა ტიტეს მისთვის abs. B. <sup>4</sup> + მისთვის B. <sup>5</sup> პავლსსა AB. <sup>6</sup> არა B. <sup>7</sup> იცოდა მან იტყოდა A. <sup>8</sup> პავლს A. <sup>9</sup> კორციელითა ხილითა B. <sup>10</sup> სულითა B. <sup>11</sup> მებოძირთა A. <sup>12</sup> თანა abs. B. <sup>13</sup> მივალს B. <sup>14</sup> ლუსტრად A, ლუსტრა B. <sup>15</sup> და abs. B. <sup>16</sup> დადგა A. <sup>17</sup> მას abs. A. <sup>18</sup> და! მხედვიდა და B. <sup>19</sup> ყოველსა წარმავალსა გზისასა B. <sup>20</sup> მოესწავა B. <sup>21</sup> ტიტე A, ტიტეს B. <sup>22</sup> + მან B. <sup>23</sup> მღვამ B. <sup>24</sup> ცხვირ განკეკილი B. <sup>25</sup> დაღრეკილ B. <sup>26</sup> გერმან B. <sup>27</sup> + და B. <sup>28</sup> შეტკიკულ B. <sup>29</sup> ცხვრ გრძელ abs. B. <sup>30</sup> + იყო B. <sup>31</sup> + რამეთუ B. <sup>32</sup> ოდესმე A. <sup>33</sup> + და B. <sup>34</sup> ანაჲ B. <sup>35</sup> და ვ' ა B. <sup>36</sup> ონესიფორე A. <sup>37</sup> + პავლ B. <sup>38</sup> abs. B. <sup>39</sup> პავლს A. <sup>40</sup> abs. B. <sup>41</sup> შენ თანა შენდა B. <sup>42</sup> ყოვლითურთ სახლელთით შენით B. <sup>43</sup> abs. A. <sup>44</sup> დემეს და ერმოგონეს B. <sup>45</sup> შურითა B. <sup>46</sup> მას abs. A. <sup>47</sup> მისივე B. <sup>48</sup> კრებულისანი B. <sup>49</sup> ვიყვენითა B. <sup>50</sup> მოგუკითხენ A; + ჩუენ B. <sup>51</sup> მათ მას ონესიფორე B. <sup>52</sup> + მას B. <sup>53</sup> + თქვენ B. <sup>54</sup> ვაჲდ მ. <sup>55</sup> ვქლ მ. <sup>56</sup> ვნახხახა მ.

რამეთუ არა ვხედავ თქვენ თინა ნაყოფსა სინმართლისასა“. და<sup>1</sup> პრქუა მათ ონესიფორე<sup>2</sup>: „იყვენით თუ<sup>3</sup> რაჲ,<sup>4</sup> თქუენცა შემოვედით ჩემდა და განისუენით“. და ვითარცა შევიდა პავლე სახიდ ონესიფორსა<sup>5</sup>, იყო სიხარული დიდი სახლსა მისსა<sup>6</sup>. მუჯლნი მოიდრიკენს<sup>7</sup> და თაყუანის სცეს. და აღდგეს და და ვითარცა დასხდეს<sup>8</sup> პურის<sup>9</sup> კამად. მაშინ იწყო პავლე<sup>10</sup> თხრობად სიტყუათა მათ ღმრთისათა კეშმარიტებისათს<sup>11</sup> სულსა წმიდისა და აღდგომისათს მკუდართაჲსა<sup>12</sup>. და თქუა: „ნეტარ იყვენენ, რომელთა დაიმაძხვენენ ეორცნი<sup>13</sup> თუნისიწმიდით, რამეთუ იგინი ტაძარ ღმრთისა ითქუნენ<sup>14</sup>. ნეტარ იყვენენ, რომელთა დაიტანჯნენ თავნი თუნისი (სიწმიდისათს), რამეთუ მათ ღმერთი იხილონ<sup>15</sup>. ნეტარ იყვენენ, რომელთა შეურაცხ ყონ (გულისთქუმაჲ) ამის სოფლისაჲ, რამეთუ იგინი სათნო იყვენენ ღმერთსა. ნეტარ იყვენენ, რომელთა ესხნენ ცოლ და რეცა არა ესხნენ, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ. ნეტარ იყვენენ, რომელთა აქუნდეს შიში ღმრთისაჲ გულთა შინა მათთა, რამეთუ იგინი ანგელოზ წოდებულ იყვენენ. ნეტარ იყვენენ, რომელთა (ეშინის და) ძრწოიან<sup>16</sup> სიტყუათაგან (ღმრთისათა<sup>17</sup>), რამეთუ მათ უწოდის<sup>18</sup> ღმერთი. ნეტარ იყვენენ, რომელთა შეიყუარონ სიბრძნის<sup>19</sup> იგი იესუ<sup>20</sup> ქრისტესი<sup>21</sup>, რამეთუ იგინი ნაშობ ღმრთისა იწოდნენ<sup>22</sup>. ნეტარ იყვენენ, რომელთა დაიმაზრონ ბეჟედი<sup>23</sup> ნათლის ღებისაჲ<sup>24</sup>, რამეთუ მათ განისუენონ

*მნახაქიროსა, ესქნ ჩეგე ჩნუ<sup>ა</sup> ხსკად ქათონს ქმ გოდ სს, ს ზანფეროდჲ; სს ჩერს ხმით ჳალისი ქათონს<sup>ბ</sup> მნახაქიორაქ<sup>ა</sup> ს ხელს (ანუ) იღრაქილქის მხბ, ბონრ ხეხაქლთაგჩს კაგაღქს, ს კარხან<sup>ა</sup> ნათის გღაგნი*

განტეხეს პური.

\*წინა ნაკვეთები იხ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, გვ. 329—347; ენიჭ-ის მოამბე, VIII, გვ. 78—136; ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, გვ. 111—144; ამავე ინსტიტუტის მოამბე, V, გვ. 85—102 და ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1966, გვ. 171—236.

<sup>1</sup> ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: მრავალთავისა ზოგიერთი თავის წყარო: IV. მარტულობა ორმეოცთაჲ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 111—144.

<sup>2</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით: ძეგლი ქართული ენის კათედრის შრომები, V, თბ., 1959, გვ. 99—111.

თითქმის ასეთივე ზედწერილით შესულია ეს ნაწარმოები პარხლის მრავალ-თავშიც, რომელიც გაბრიელ პატარაის მიერ არის გადაწერილი პარხალს და ხელის მიხედვით X ს-ის ბოლოსა თუ XI ს-ის დამდეგისა უნდა იყოს: „საკითხავნი წმიდათა მარხვათანი. თქუმული მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“. უკანასკნელი, რვეულის დაკარგვის გამო, ნაკლულევანად არის მოღწეული. გადარჩენილია მხოლოდ ერთი მეშვიდედი ნაწილი. ტექსტი გამოქვეყნებული არაა.

ერთიცა და მეორეც, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტი, ცნობილია აკად. კ. კეკელიძისათვის, რომელსაც ისინი აღუწესახეს თავის შრომაში: „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“<sup>3</sup>.

იოანე ოქროპირის ხსენებული ნაწარმოების დასახელებულ ტექსტთა წარმომავლობის შესახებ არც აკად. კ. კეკელიძეს, რომელსაც, როგორც აღენიშნეთ, მოხსენებული აქვს ისინი თავის ზემოთ აღნიშნულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში, და არც აკად. ა. ჟანიძეს, რომელსაც გამოცემული აქვს ის „სინური მრავალთავში“, არაფერი მოეპოვებათ. მხოლოდ ე. გ. ართია, რომ სინური ხელნაწერების თავის აღწერილობაში ხსენებულ თხზულებასთან დაკავშირებით მიათითებს ბერძნულ დედანზე მინის პატროლოგიის მიხედვით (PG 49, col. 305—314)<sup>4</sup>.

რა მიმართებაშია ქართული რედაქციები იოვანე ოქროპირის აღნიშნული ნაწარმოებისა მითითებულ ბერძნულ დედანთან ან სხვა რომელიმე ენაზე შექმნილ თარგმანებთან, ვიმეორებ, კვლევის საგნად დღემდის არავის გაუხდია: გამორკვევა კი დასმული საკითხისა ქართული ფილოლოგიის გადაუღებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან „ქართული მრავალთავები“, სადაც ეს თხზულება შედის, გამოსაცემად მზადდება.

იოანე ოქროპირის „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“ ძველიდანვე არის წარმოდგენილი სომხურ მწერლობაში, ამ ნაწარმოების ქართული ვერსიის რაობისა და წარმომავლობის შესწავლას ჩვენ, პირველ რიგში, სომხურად დაცულ თარგმანთან თუ თარგმანებთან მიმართებით ვიწყებთ.

სომხურ ენაზე, მსგავსად ქართულისა, იოანე ოქროპირის ხსენებული თხზულების ორი რედაქციაა დაცული. ორივე გამოცემულია<sup>5</sup>. გამოცემულს ერთი მათგანი, რომელიც, როგორც ის გამოცემის დასაწყისშივე შენიშნავს, ბერძნულს უფრო ემზრობა, ძირითადად და ამავე დროს პირველ თარგმანად მიაჩნია, ხოლო მეორეს, რომელიც ასომთავრულადაც (*სრქაჲსაჲ*) კი ყოფილა მოღწეული, მის გადასაკეთებლად წარმოიდგენს. აი მისი სიტყვები:

„ქვემოთ მოთავსებულს, მართებული იქნებოდა, მეორე თარგმანი წოდებოდა, მას რომ განუხრელად და ზედმიწევნით აზრთა წყობა დაეცვა ზემოთ (მოთავსებულისა), რომელიც ეთანხმება ბერძნულ ორიგინალს. მაგრამ ცხადად ჩანს, რომ ის მის ლიტონად ნათქვამს (თუ მარტივისტყვა-

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში: ზეტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 3—114.

<sup>4</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, p. 79.

<sup>5</sup> Յովհաննու Մսեփեբեանի Կոտայնոցնուպոսի ხայկսկայսապետի ձառք. ՎՆՆԻՍԻԿ, 1860 թ., էջ 28—45.

ობას) წარმოადგენს აქა-იქ ჩამატებებით, თუმცა არც გვიანდელ ხანაში თხზულს, რომლის ასომთავრულად ნაწერი ერთი და ნუსხურად ნაწერი სხვა ოთხი ნუსხა არსებობს\*.

*[საიორს ხეხასუ მარქ ღრ სიციორქ ქარგიანოქჩინს კიჯი, ხქტ ანსი-  
თორ კ ნჯიჩი ოჯასი ქმასთიენ აყანერ ღნჯ ქსინიჯ ნამამაჯნ ხეხ-  
ლი ᦶნჯ კიჯ ქსაჯჩინს, აქ ქაქინაყაჲს ხრსქ ᦶქ აყარჯარანოქჩინს ღ ნიქს  
ნანჯქრბ ქასქლასიოქ ილჯღ—ილჯღ, ქტყტო კ იქ ქიქინ ᦶაროჯ კიქი-  
ნილბ, კორმს კიქ სიქსაქაჯჩი ᦶქჩინსქ მქ, კ აქ ჯიჯღ კიქორაჯჩიღღ].*

გასული საუკუნის 60-იანი წლების ასეთი შეხედულება, ეტყობა, შემდგომი ძალაში არ დარჩენილა. ნ. აკინიანს თავის ერთ-ერთ შრომაში („კლასიკური სომხური და ვენის მხითარიანთა სკოლა“), 1932 წ. გამოქვეყნებულში, იოანე ოქროპირის ხსენებული ნაწარმოების („მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“) სომხური ვერსიის რედაქციებიდან, გამოცემის მიხედვით, თითქოს მეორედ მისაჩნევი თარგმანი („ქვემოთ მოთავსებული“, ანუ სქოლიოში გატანილი) კლასიკური სომხურის პერიოდის (407—405 წწ.) თარგმანად აქვს გამოცხადებული<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, სომხურშიაც ორი რედაქციაა დაცული იოანე ოქროპირის ხსენებული ნაწარმოებისა. უძველესად დღეს ისაა მიჩნეული, რომელიც, როგორც გამომცემლის დაკვირვებიდან ჩანდა, მარტივად არის გამოთქმული. რა მიმართებაშია ამასთან მეორე, ამაზე დღეს სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არაფერია თქმული, მაგრამ, ჩანს, ძალაშია წინანდელი დაკვირვება გამომცემლისა. რომ ის ბერძნულიდან თარგმნილი და მისი ზედმიწევნითი მიმხრობი ყოფილა.

პირველი ზოგადი დასკვნა, რაც ქართულ-სომხური ტექსტების ერთმანეთთან შედარებიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ სინური მრავალთავის ტექსტი, რომელიც სრულად წარმოგიდგენს იოანე ოქროპირის ჩვენთვის საგულისხმოდ ნაწარმოებს, თითქმის ზედმიწევნით უჭერს მხარს სომხურის იმ ტექსტს, რომელიც გამომცემელს მარტივად გამოთქმულ და მეორე რედაქციისად მისაჩნევე თხზულებად წარმოედგინა, ხოლო ნ. აკინიანს კლასიკური სომხურის ხანის თარგმანად მიაჩნდა. რაც შეეხება პარხლურ მრავალთავში ნაწილობრივ გადარჩენილ ტექსტს, იგი შედარებით სომხურ იმ რედაქციას უფრო მისდევს. რომელიც, გამომცემლის აქმით, ბერძნულს ემხრობა ზედმიწევნით.

პირველი წყვილის ტექსტთა ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული სომხურიდან უნდა მომდინარეობდეს, მის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. პირველ რაგში. ეს ჩანს იმ nonsens-ებიდან, რომლებიც მთარგმნელს მოსდის დაუკვირვებლობის მიზეზით დაწერილობისა, სიტყვის ცუდად ამოკითხვისა და ფონემურად ჩამომგვან სიტყვასთან აღრევის გამო. ასეთებია:

1 „რამეთუ იგი (ნაყროვანებაჲ და მთრეალობაჲ) არს, რომელმან შეგუკრანა ჩუენ საყრველთა ნაყროვანობისაჲთა და მიგუტნა ჩუენ ქელთა ბუნებასა საღმობიერსა, გუუფლა და დაგვმორჩილნა ჩუენ ვითარცა ტყუენი დამონებულნი“ (100, 28—101, 2).

\* იქვე. გვ. 26

<sup>1</sup> ნ. ა. კ. ხ. ნ. ნ. წიასაკან ნიქსტენს ს. ქსინსაკან შქიქარსინ ᦶყიჯი. ქსინს-  
ნა, 1932, ღჯ 39.

მოყვანილი ნაწყვეტის შესაბამისად სომხურში იკითხება:

*«Զի նա է, որ կապხաց գმեզ ձեռակապօք և մատնեաց գմեզ ի ձևս բռնութեան աստից տիրեաց և հնազանդեցից ուլէս և զգերեալ ժառայս» (27, 15—17).*

ყველაფერი თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა ერთიმეორეს, გარდა ხაზგასმული სიტყვებისა. ქართულში უნდა გვექონოდა არა „ზუნებასა“, არამედ „მძლავრობასა“, როგორც ეს სომხურთან ერთად მეორე ქართულ (პარხლურ) რედაქციას მოეპოვება: „ქელთა უշუშართ შეგვკრავს მძლავრობითა მით ვნებთათაჲთა“. შეცდომა მომდინარეობს სომხური სიტყვის *բռնութեան*-ის *բռութեան*-ად წაკითხვის გამო.

2. „გვრგვონსან იქმენ, ვითარცა-იგი მოსე და ელია, თაენი იგი და მოწაფენი ძუელისა მის შჯულისაგანნი“ (101, 20).

ამასაც თითქმის ზედმიწევნითი შესატყვისი მოეპოვება სომხურში: *պասկին, որպէս Մովսէս և Նդիա գլուխք աշտարակաց ի հին կտակարանաց» (28, 14).*

აქ კი სომხური *«აշտარակաց»* („გოდოლ-სა“) წაკითხულია *აշակերთաց*-ად („მოწაფე-თა“) აგრეთვე დაუკვირებლობის ნიდაგზე, როგორც ამას ქართული მეორე (პარხლური) რედაქციაც მოწმობს („რამეთუ მოსტცა და ელიაცა გოდოლნი იგი ძუელნი წინაწარმეტყუელნი“).

3. „პირის-საცემელად ეშმაკთა დიდი საქურველი და შეწევნაჲ არს მარხვამ“ (101, 36).

სომხურით ამ წინადადებას შეეფარდება: *«ընդդէմ դիւսց մեծ հնարք օգնականութեան են պահք» (29, 10).*

ხაზგასმული სიტყვები აგრეთვე არ ფარავენ ერთმანეთს: „პარის-საცემელად“ *«ընդդէմ»*-ის დამახინჯებულ ამოკითხვის ნაყოფია. *«ընդդէմ»*-ში მართლაც *«դემ»* „პირი“-ა, საიდან გაჩნდა „საცემელად“, ნათელი არაა.

4. „არა თუ სიმრავლელ კორცთაჲ მათ რამე მძიმე იყო, არამედ ცოდვამ შეცოდებათა მათ“ (105, 7).

ამის სრული შესატყვისია სომხურში: *«Այ եթէ բնութիւն մարմնին չը ծանր, այլ լանցանք տեղաց...» (35, 2).*

ხაზგასმული სიტყვები კვლავ სცილდებიან ერთმანეთს. ქართულის „სიმრავლელ“ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ დედანში, ამ შემთხვევაში სომხურში, გვექნებოდა *«բազմութիւն»*. როგორც ჩანს, ჭეკონად ვერ ამოუკითხავს მთარგმნელს სომხ. *«բնութիւն»*, რაც აქ უნდა ყოფილიყო.

5. „რომელნი მრავალსა ცოდვასა წარგრაგნილ ცხონდებიან“ (105, 16).

ამის თითქმის ზედმიწევნითი შესატყვისია სომხურში:

*«Որք ընդ բազում մեղք հնազանդեալ կային» (35, 8).* იქ მთარგმნელს *«կային»* („არაინ, იყოფიან“) წაუკითხავს *«կხային»*-ად და ამიტომ მოუტია „ცხონდებიან“.

6. „გულისხმა-ყო და მოეგონა ძალი შეცოდებისაჲ მის“ (105, 23).

მისი ზედმიწევნითი ბადალია სომხურში:

*«գիտաց և ի միտ առ զկարիս մեղաց» (35, 15).*

აქაც დაუტყვირებლობის მიზეზით *«დკარქა»* („საკმარნი“) ამოკითხულია „ძალ-ად“, ე. ი. *«დკარქა»*-ად.

7. „მსივანებაჲ, ანუ ზარი ს-განკლანი კორცთანი, ანუ ბევრნი სიმ-რავლენი სალმობათანი — ნაყოვანებისაგან და ფუფუნებისაგან იტყვედ მკურნალნი“ (109, 15).

ამ ნაწყვეტსაც ზედმიწევნითი შესატყვისი მოეპოვება სომხურში:

*«Հայտմունս զգայրացմունս մարմնի և կամ բիւր ինչ աղխ բազ-մութեան աստից յօրկորստութենէ և ի փափկութենէ դննն»* (42, 13).

ხაზგასმული სიტყვები სცილდებიან ერთმანეთს. *«Հայրացմունս»*. („გან-რისხებანი“ თუ „გულის-წყებანი“) ამოკითხულია *«զարհორմունս»*-ად („ზარის-განკლანი“), რაც შეუფერებელია კონტექსტისათვის.

8. „ხოლო სარგებელი საგან შორს იპოენიან“ (109, 3i).

ამის საბადლოდ სომხურშია:

*«Այլ յօրնակահութենէ անսի հեռացსակը գտանին»* (43, 9):  
სცილდებიან ხაზგასმული სიტყვები იმის გამო, რომ *«յօրնակահութենէ»* („შეწევ-ნისაგან“) არის წყაიბთული *«յօգսութենէ»*-და („სარგებელისაგან“).

აღნიშნული ვითარების გათვალისწინების შემდეგ გასაგებია, რომ ქართულ ტექსტში ქართულ-სომხური საერთო ბმარების სიტყვები თითქმის ყოველთვის საერთო ძირითა თუ ფუძით არიან წარმოდგენილი. ესენია:

1. ავაზა-ი *«საღაყ»* 104,31 — 34,10<sup>8</sup>
2. ამბოხის აღღვინება *«ამբოხს»* 104,37—34,15.
3. ამენ *«ამენ»* 111,7—45,15.
4. მასპინძელი *«საყნჯას»* 104,33—34,12.
5. ბევრეული *«ბიւր»* 106,35—38,5.
6. სიბილწე *«ბილწ»* 104,3—33,5.
7. ბუნება *«ბუნ»* 107,28—39,19.
8. გეპენია *«გენ»* 102,30—30,19.
9. დევი *«დე»* 100,18—27,6
10. მოვანე *«მან»* 101,11—28,6.
11. ზარი: ზარ-განგა *«զարհორցուցանს»* 102,31—30,20.
12. მანქანა *«მან»* 105,35—36,8.
13. მუჭრაკი *«მურ»* 107,31—39,17.
14. ნავი *«ნა»* 104,27—34,8.  
ნავთ-სადღური *«ნაღ»* 101,14—28,9.  
მენავე *«ნაღ»* 105,37—36,8.
15. პატივი *«პატი»* 103,34—32,19.  
პატიოსანი *«პატი»* 101,31—29,5.
16. პატივი *«პატი»* 106, 22—36,18.
17. ეამი *«ეამ»* 103,4—31,6.
18. სასტება (სასტოოდა) *«სასტ»* 105,2—34,15.
19. სტომაქი (სტომაქსალპობიერი) *«სტო»* 109,28—43,6.

<sup>8</sup> პირველი ციფრები ქართული ტექსტის გვერდებსა და სტრიქონებს აღნიშნავს, მეორე — სომხურისას.

20. ტლავარი *თაყალაყ* 101,14 — 28,9.

21. უნასეული *ყნას* 104,18—33,20.

22. ქლაქი *ჟაყაჟ* 100,14—27,1.

აღნიშნული ქართულ-სომხური საერთო სიტყვებიდან ჩვენი ძეგლის ქართული ტექსტის გამომცემელს აკად. აკ. შანიძეს ცალკე აქვს განხილული „მუპრაჯი“; რომელიც სხვებთან ერთად, მისი თქმით, „ძალიან დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის ძველ პერიოდში“<sup>9</sup>. ამ სიტყვას საშუალო სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევს აკად. აკ. შანიძე<sup>10</sup>.

ამავე ენიდან არის შემოსული სხვებიც, როგორც მაგ.: ავაზაკი (1), აპბოხი (2), მასპინძელი (4), ბევრეული (5), ბუნება (7), დევი (9), მოვანე (10), ზარი (11), პატივი (15), ჟამი (17) და უნასეული (21).

დანარჩენი სიტყვები სესხებულია:

ან ბერძნულიდან — მანქანა (12) და სტომაქი (19),

ან ებრაულიდან — გეჰენია (8),

ანდა სომხურიდან — სიბილწე (6), პატივი (16), სასტება (18), და სხვ.

ჩამოთვლილთ გარდა, ქართულში გვხვდება ერთგან „მეშალილებაც“ (108, 17), რომელიც, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკად. აკ. შანიძეს, „შალილ-იდან“ (სომხ. *«ჯაჟიქი»*-იდან) არის წარმომდგარი<sup>11</sup>. ამ სიტყვის ადგილს სომხურში ნახმარია *«ჟიჯასხერ»*, ე. ი. „მძორთ თუ ხორცთ-მკამელობა“, სწორედ ის გამარტება, რომელიც „მეშალილობას“ მისცა აკად. აკ. შანიძემ. ცოტა ქვემოთ ეს სიტყვაც გვხვდება სომხურ ტექსტში (იგი ქართულში „ქორციით“ არის გადმოღებული):

*«ქი არხამჟ ჯაჟიქიწ ნირა ცეცხს ჯაჟასეცხს»* (41,6). შდრ. ქართ.: „რათამცა ჭამეს და განძღეს კორციითა და სისხლითა მისითა“ (108, 17).

მსგავსად ქართულ-სომხური საერთო ზმარების სიტყვებისა, თანხვედნილია ხოლმე სომხურთან ქართულის თხზული სიტყვები და ზოგიერთი იშვიათი გამოთქმა. ესენია:

1. ბრუქტეულეა *გლსაყაროქჩინ* 104,16—33,17.
2. დგანან და ყოფნიან (მტკიცედ იმყოფებიან) *კანს ჯ მანს* 103,36—32,21.
3. თანამოსაყდრე *აწიოასეც* 111,3—45,11.
4. კაცთმოყუარება *მარეასაქრიოქჩინ* 102,36—31,3.
5. მენავეთ-მოძლუარი *ნასაყასთ* 105,30—36,3.
6. მწეცის(ა)-სახე *ყაყანასხერყ* 107,25—39,11.
7. მძიმედ-აღმომცემელი *ბანრაროღს* 109,17—42,14.
8. ნათ-სადღური *ნასაარონეჟასთ* 101,14—28,9.
9. სტომაქ-სალმობიერი *ბანრასათამიჟ* 109,28—43,6.

<sup>9</sup> აკაკი შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, V, თბ., 1959, გვ. 320.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 327.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 332—3.

10. ტვრთ-მძიმე *ბანრაყჩინ* 105,17—35,10.
11. უფლის-მოყუარე *სირასტერ* 104,30—34,9.
12. ფრთემალე *ხრაცაქს* 102,18—30,8.
13. წყლით-განსივება *ჯრფიყოსქინ* 109,14—42,12.
14. ქელმწიფება *ბინრას ცხხელ* 106,35—38,6.
15. ქელოვანთ-მოძღუარი *ნარსარაყსთ* 110,34—45,5.

ძეგლის ენაში მოიპოვება მეტად იშვიათად ხმარებული სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მთლად ნათელი ვერ ხდება, რადგან არ ვიცით, მოიპოვებიან თუ არა ასეთები სხვაგან სადმე ქართულ წყაროში, რომლებთანაც შეიძლება დღეს მათი შეწამება. აი ზოგიერთი მათგანი:

1. აღმურვილ-ი:

კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება, ქართულში ასეთია: „დიდი იგი სიმრავლემ აღმურვილი დიდისა მის და სავკრეელისა ქალაქისა ნინეველთაჲსა“ (102, 15). ამის შესაბამისია სომხურში: *«მრავალქცე და ქსანიჩნაღანჯ ღწჩნტაგლიე ღყარამანაქს და მხბ ჟაღაღა»* (30, 4). „აღმურვილს“ სომხური *«ქსანიჩნაღანჯ»* შეესატყვისება. ეს სიტყვა კი სომხურში „არეულ, უწესრიგო სიმრავლეს“, „ბრბო-ამბოხს“, „დაბალ ფენას“ ნიშნავს. აქედან „აღმურვილი“ თითქოს „არეულ-დარეულ (მასას)“ უნდა ნიშნავდეს.

2. ქელს-ქელ:

ამ სიტყვის შემცველი კონტექსტი ასეთია ქართულ ტექსტში: „რადთა ქელს-ქელ გუემნეს“ (102, 29). სომხურში კი ასე იკითხება შესატყვისი ადგილი: *«მქმქ ქათაჯაფიჯნ არაყეტ»* (30, 18). როგორც ვხედავთ „ქელს-ქელ“-ს *«ქათაჯაფიჯნ»* — „წინააღმართ“ ეფარდება. არც აქ ვართ დარწმუნებული, რომ „ქელს-ქელ“-ს *«ქათაჯაფიჯნ»* წინააღმართ უდრიდეს, რადგან ეს გამოთქმა სხვაგან არსად შეგვხვედრია. შედარებით გვიანდელი ხანის (XI ს-ის გასულიდან) ტექსტებში აქა-იქ „ქელს-ქელ“ გვაქვს. მაგრამ ის „მაშინვე“-ს, „მეყსეულად“-ს ან „ჰყის“-ს აღნიშნავს.

3. სასტოლად:

ეს სიტყვა ამ ფორმით სომხურ ტექსტში *«სასტორ»*-ს ესწორება, რაც ნიშნავს „სტუქსავდა-ო“. კონტექსტს მართლაც ეგუება ეს შინაარსი: „არამედ თვთ თავადი უთქუმიდა და სასტოლად“ (105, 2), შდრ. სომხური: *«Ալ ինքնին սպառնար նաև սաստոր»* (34,17).

4. მოუთუალველი:

ეს სიტყვა სომხურში *«არამარ(ხ)»*-ით არის წარმოდგენილი. „მო-თუალ-ვა“-ს „მო-უ-თუალ-ველ“ შედგენილობითაც კი უნდა ეფარდებოდეს სომხურს *«არამარ-ჩხლ»*-ს; ყოველ შემთხვევაში, ასე ანალიზებდნენ მას Brosset და ნ. მარი თავის დროზე, რასაც სხვები სხვანაირადაც შლიან. კონტექსტი, სადაც ის იხმარება ქართულში, ასეთია: „რამეთუ მაგათ ერთი ეგე სული არა უდებ-გყვეს და არცა მოუთუალველ და შეურაცხ“, რაც სომხურში ასეა წარმოდგენილი: *«მქ ფიჯა»*,

*ასტე და ივ ქაანს ძიქი ივლიქ ანჱიქჷმ ათნხნს და ივ ვაქი მარგე არამამარჩნს და ანჱიანხნს*;

სხვათა შორის, გვერდით მდგომი სიტყვა „შე უ რ ა ც ხ“ აგრეთვე სინონიშია „მოუთუღაველ“—ისა, ისე როგორც სომხურში უკანასკნელის გვერდით მდგომი *«ანჱიანხლ»* არის *«არამარჩხლ»*—ისა.

ჩვენს ძეგლს ენის მხრით სხვაც, არანაკლებ საინტერესო, მომენტი ახასიათებს. მასში ერთგან აშკარა ხანმეტური ფორმა გვხვდება: „ტიროლა მწარედ, არა თუ უღბად ვითარ ხ უ ნ და, არამედ დღითა გულს-მოდგინებითა“. ერთგანაც კიდევ, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო ასეთი ფორმა, მაგრამ „ხ“ პრეფიქსი „ხოლო-ღ“ არის გახსნილი გადამწერთა მიერ და ამით ნამდვილი სახე მიჩქმალული აღმოჩნდა. აი ეს ადგილი: „რამეთუ სივლტოლაჲ მისი ვითარცა კაცისაჲ ხოლო იქმნებოდა, ხოლო აღსარებაჲ მისი ვითარცა წინაწარმეტყუელისაჲ“. „ხოლო იქმნებოდა“—ს წინა სახე, რომ „ჩიქმნებოდა“ უნდა ყოფილიყო, ეს ნათლად ჩანს კონტექსტის სომხური ზედმიწევნითი შესაბამისით: *«ძი ქაქოსათ ნორაჲ ჯერს ვმარგეიქ ქხნერ, და ქოსათიქანოქჩანს იოყჷს ვმარგარქს»*. ყოველ მხრივ თანხვედნილ სომხურ შესატყვისს „ხოლო“—ს ბაღალი არსად მოეპოვება.

ხანმეტი ფორმების გადმონათებით, ბუნებრივია, ძეგლს ადრეული სალიტერატურო ქართულის საფეხურს მიაკუთვნებს; იგი V—VII სს-ის თარგმანად უნდა მივიჩნიოთ. ხანმეტური ფორმების გადავარდნის გამო ეს ძეგლი, როგორც მოსალოდნელი იყო, 864 წლის სინურ მრავალთავში შეცვლილი სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს მართლაც ასეა ორიოდ შემთხვევის გარდა. ამასთან ერთად ასეთ ცვლილებას ისიც ემატება, რომ გადამწერთა დაუკვირვებლობით ქართული სიტყვები ზოგან ცუდად არის ამოკითხული და, მაშასადამე, სინურ ნუსხაშიც გადმოსული. ასე მაგ., ადრე წერებულა „სიმრთელე“, სინურ ნუსხაში კი შემოსულა „სიმართლე“; ყოფილა „მავალთა“, გვაქვს კი „მრავალთა“ და სხვ.

ასე წყდება წარმომავლობის საკითხი სინურ მრავალთავში დაცული იოანე ოქროპირის ნაწარმოებისა „მარხვისათჳს და იონაჲსათჳს“. რა წარმოშობისაა ამ ნაწარმოების მეორე ქართული რედაქცია, რომელიც მცირე ფრაგმენტის სახით შემოუნახავს პარხლის მრავალთავს?

ჩვენი ძეგლის პარხლური რედაქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთგვარად მიჰყვება იმ სომხურ ტექსტს, რომელიც სომეხ გამომცემელს ბერძნულის ზედმიწევნით თარგმანად მიანჩნია. როცა იოანე ოქროპირის ნაწარმოების ქართულ-სომხურ ამ მეორე წყვილის ტექსტებს ერთმანეთს ვადარებთ. ისეთ თანხვედნილობას, როგორც პირველი წყვილის ტექსტებს შორის შეინიშნებოდა, აქ ვეღარ ვამჩნევთ. სხვათაგან სიტყვათა წყობა, შინაარსობრივი დაცილება სიტყვებისა სავარძლობა, ისე როგორც მეტ-ნაკლებობა სიტყვათა. ფრაზებისა თუ წინადადებებისა ერთმანეთთან მიმართებით. Nonsense-ი თუ სადმე შეინიშნება (ერთგან, მაგ., „მთავარია“ „მოთვარის“ ნაცვლად), ეს მთარგმნელის შეცდომა კი არ არის, არამედ გადამწერისაა. ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები საერთო ძირისა თუ ფუძისაგან წარმოქმნილი სიტყვებით არ არიან წარმოდგენილი ქართულ-სომხურ ტექსტებში.

მეტად საგულისხმბოა ამ მხრივ ერთი შემთხვევა, რომელიც იოანე ოქრო-

პირის ნაწარმოების („მარხვისათვის და იონაჰსთვის“) ამ წყვილს მოეპოვება. სომხურ ტექსტში ერთგან, ვკითხულობთ: *«ქსაჲაჲყას სოჲაჲარსს ქან-საყასჲს ჯარქანხიქ»*. სომხურიდან მომდინარე ძველ რომელსამე თარგმანში ამ წინადადებაში დაცული ქართულ-სომხური საერთო სიტყვა *«სოჲაჲარ»* „ტალავარი“ არის ჩვეულებრივ გადმოცემული (ასეა, კერძოდ, ჩვენი ძველის პირველი წყვილის ტექსტებში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ). ასეთი შეხვედრა აქ არა გვაქვს, რაც მოწმობს (სხვა მხარეებთან ერთად), რომ ის სომხურზე დამოკიდებული არაა. *«სოჲაჲარ»* აქ გადმოცემულია არა „ტალავარი“, არამედ „შუვაგი-ით“, რომლის შემცველი წინადადება ქართულში ასეა წარმოდგენილი: „და შუვაგნი მათნი უდაბნოსა ზედა ყულროდ... აღდგენს“.

რა არის ეს „შუვაგი“, რა წარმომავლობისაა ეს ძველი ქართულისათვის მებრძოლი იშვიათი სიტყვა?

ამ სიტყვის ფიგურატიული მხარე, მის მნიშვნელობასთან ერთად. გულისყურს სომხურისაკენ მიგვაქცივინებს. სომხურს მოეპოვება *«ჲოჲაჲ»* სიტყვა, რომელიც დიალექტურ ფორმად ითვლება. მის ლიტერატურულ სახედ ძველ სომხურში *«ჲოჲაჲ»*-ს მიიჩნევენ. *«ჲოჲაჲ»* სომხურში „ჩრდილს“, „საჩრდილობელს“, გადატანით „მფარველობას“ თუ „პროტექციას“ აღნიშნავს, ხოლო *«ჲოჲაჲ»* ამითთან ერთად „პატივს“, „ღიღებას“ და „ბრწყინვალებას“.

სულხან-საბა ორბელიანი იცნობს „შუვაგი-ი (შუვაგი-ი)“ სიტყვას და განმარტავს, რომ ის არის „თავის საფარი საჩრდილოდ“ („თავისაფარი, შუვაგ“ B). მანვე იცის „შუვაგ“ სიტყვა; რომელიც, მისი მართებული აზრით, არის „შუვაგივე“ („საჩრდილობელი“ B). იცის, რასაკვირველია, „შუქი“ სიტყვაც, რომელიც მისი განმარტებით არის „შხისა, გინა სანთლის სინათლე განფენილი“<sup>12</sup>.

ქართულის „შუქი“ და „შუვაგ“ აკად. პრ. აქარიანი მიაჩნია სომხურიდან სესხებულად<sup>13</sup>. მასზე უწინარეს ამასვე აღნიშნავდნენ სხვებიც, მაგ., დ. ჯუბინაშვილი<sup>14</sup>, იუსტ. აბულაძე<sup>15</sup>.

ქადაგან სწორია აკად. პრ. აქარიანი, როცა ქართ. „შუქ“-თან ქართულზე „შუვაგ“ აქვს დაკავშირებული. დ. ჯუბინაშვილის ლექსიკონით ხელმძღვანელობდა უპირატესად სომეხი დიდი ენათმეცნიერი, როგორც ის ამას აღიარებს „თ-ერთ თავის წერილში, რომელიც მან უძღვნა სომხ. *«გეგხასკ»*-ისა და ქართ. ილეგის“ ფალაურიდან მომდინარეობის საკითხს<sup>16</sup>, რაც პირველად ჩვენ აღვნიშნეთ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ ფურცლებზე<sup>17</sup>. მისთვის რომ უ. ჯუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“ მიეწოდებინა „შუვაგი“, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბას მოეპოვება თავის ლექსიკონში, რომლითაც დიდად დავალებულია ის, აკად. პრ. აქარიანი

<sup>12</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, ლექსიკონი ქართული, ავტორგრაფულა ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1966, გვ. 307—309.

<sup>13</sup> ჯ. Ա ճ ա ռ ի ս ի ն, Հայերեն օրմասուական բարարան, Երևան, 1926—1932, IV, 439.

<sup>14</sup> დ. Ջ Յ ի ն ա ջ Վ ի լ ի, Կարտულ-რუსულ լեզվիկոն, ՏԻՃ., 1887.

<sup>15</sup> Յ. Յ. Նաթես ანუ მეფეთა წიგნის ქართული ევრსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბ., 1916, გვ. 841.

<sup>16</sup> Հ. Ա ճ ո ի ս ի ն, Armeniaca, იქვე, № 5, էջ 26.

<sup>17</sup> Ի. Աբուլաძე, «Գეგხას» բարի ստուգաբանությունը. «Ֆიզիკალური Հայկական ԽՍՌ-ԳԱ», № 1, էջ 105—106.



дан, а другой фрагментарно сохранившийся в рукописи конца X века (в Пархальском многоглаве), печатается впервые в нашем сборнике (см. стр. 144). В двух переводах предлежит названный памятник и в армянской письменности. Оба они изданы. Сличение грузинских и армянских текстов выявило, что перевод текста, сохранившегося в Синайском многоглаве, сделан из армянской версии, принятой в армянской научной литературе как произведение классической эпохи. Грузинский перевод, по утверждению автора, должен быть отнесен к ранней эпохе грузинской письменности (V—VII вв.).

პართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები  
მრავალთავის ზომიერთი თავის წყარო

VIII. იოანე ოქროპირი, «გურიტიხათვა».

იოანე ოქროპირის «გურიტიხათვა» მხოლოდ ორ მრავალთავში მოიპოვება. ერთი დაკულია სინურ მრავალთავში 864 წლისა, ხოლო—მეორე ათონისაში (№ 11). პირველი გამოცემულია ა. შანიძის მიერ 1959 წ., მეორე კი ჭერხობით გამოუქვეყნებელია<sup>1</sup>.

სინურ ხელნაწერში ეს ნაწარმოები სათაურად ატარებს წარწერას: „მეორე ტქმული მისიეე ოქროპირისაჲ — გურიტიხათვს და წმიდისა ეკლესიისათვს“; ათონურ ნუსხაში კი მას შემდეგი სათაური მოეპოვება: „ტქმული მისიეე, გკრტიხათვს და სატფურებისათვს წმიდათა ეკლესიათა“. ამრიგად, ამ ორ ნუსხათაგან ერთსაც და მეორესაც (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) ავტორად ჰყავს დასახელებული იოანე ოქროპირი.

იოანე აღნიშნული ავტორად ამავე ნაწარმოების ძველ სომხურ ვერსიაში. იგივე პირი იხსენიება თურმე ავტორად ძველ ლათინურ ვერსიაშიც, რომელიც ითვლება ბერძნულის ერთ ადრეულ თარგმანად<sup>2</sup>. ბერძნულ წყაროს ანონიმურ ნაწარმოებად მიიჩნევენ დასავლეთში და მას აყენებენ იმ ნაწარმოებათა რიგში, რომლებიც იოანე ოქროპირს მიეწერება პირობით.

სომხურად ხსენებული ნაწარმოები ერთადერთი ნუსხით არის შემონახული, რაც მიაკვლია და სათანადო შენიშვნებით გამოაქვეყნა ცნობილმა სომეხმა ფილოლოგმა არისტაკეს ვარდანიანმა 1923 წელს. უნიკალური ნუსხა დაკულია ვენის მზითარიანთა კონგრეგაციის მატენადარანში (№ 2). სათაურად ეს ძეგლი ატარებს წარწერას: „*ნასასკასიჲ სორჲ კაწიოქიქ ხსიხესიოქ თხანს მიქანანოქ ქ თათრასქ ირ ქიყა ხეფიე იქინასკასქ ხსიხეს...*“ („სატფურებაჲ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ, უფლოსა იოვანესი «გურიტიხათვს», რომელი ქებათა ქებათაჲსაგან გადმოღებულ (არს) ეკლე...“). აქედან ნათლად ჩანს, რომ ეს სათაური ერთი ნაწილით ეხმაურება ათონური ნუსხის ზედწერილს („გკრტიხათვს და სატფურებისათვს წმიდათა ეკლესიათა“), ხოლო მეორით განსხვავებულია მისგან იმით, რომ აქ გაურკვეველად

<sup>1</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით: „ძველი ქართული ვნის კათედრის შრომები“, 5, 1959.

<sup>2</sup> Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos par R. P. Blake. Paris. 1932, p. 63.

<sup>3</sup> უასასკან მანრ ენაფიქნსჲ ს მხოფოქოსან ჩამსამოიოქიქნსჲ. P. ვიხე იქითოაქსა ჟ ა მ რ ე მ ს ხ ა ნ, ქ. თბილისი, 1923. ზე 121—141.

არის მოხსენებელი ნაწარმოებში ავტორი (უფალი იოანე), მაშინ როცა სინური მრავალთავის ზედწერილი ავტორს გარკვევით წარმოგვიდგენს („თქმული მისივე ოქროპირისაჲ“). სომხური ნუსხის ზედწერილის „იოანე“ სომხურ სამეცნიერო მწერლობაში ოქროპირად არის მიჩნეული<sup>4</sup>, რასაც ახლა ქართული ხელნაწერებიც ადასტურებს.

ჩვენი ძეგლის სომხური ტექსტის მიზართება ბერძნულთან საგანგებოდ აქვს შესწავლილი მის გამომცემელს, ცნობილ არმენოლოგს არ. ვარდანიანს. მისი დაკვირვებით, სომეხი მთარგმნელი თავისუფალია მონური მიმდევრობისაგან და ცდილობს ბერძნულის მეტად მარტივი და სადა გამოთქმები შეამკოს მრავალი მორთულ-მოკაზმულობით.

თქმულის სამოწმოდ საკმარისია რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუშის მოყვანაც კი. ასე მაგ.:

1. ბერძნული ტექსტი „მამრ გვირტს“ ბმბსაყიჯ ან მგრძეჯ შესაბამისი ფორმის სიტყვებით კი არ გადმოსცემს („მეუღლე“ და „მამრი“) არამედ წმინდა და მკვიდრი სომხური *ქაროტან* („მამალი“) სიტყვით.

2. ბერძნულისათვის მეტად ჩვეულებრივი *პაპ სზაჰი* („წყლისა თანა“) გამოთქმის საპირისპიროდ სომხურ ტექსტშია ფრიად ლამაზი გამოთქმა *ქი ხაჟა გხათი ირხე* („წარსავალსა სადმე მდინარეთას“).

3. ჰქლ თჳთ სთერემუნთ პრემუნთ სადა სიტყვის წაცვლად („მეგარსა ხესა ზედა“) სომეხი მთარგმნელი ხმარობს: *ხბქ ქ ჟარაჟირა, ხბქ ქ ჟარაძხრყა, ხბქ ქ ჟოჟა* („უკუეთუ კბოლის ჳეკსა, ანუ ნაპარლსა კლდისასა, ანუ ბუჩქსა“).

4. ასევე ბერძნული მეტად მარტივი და საკმაოდ სხვა აზრის მატარებელი ნაწყვეტი *εὶ καὶ πρὸς ἐχθρῶν ἐβᾶπλοῖν ταῦχθαι, εὶ καὶ πρὸς ἐσπέρων ὄρα ἐπεί, μὴ φθῆσιν* სომხურში გადმოცემულია კლასიკური ენის მთელი მომზიდვლობითა და მთარგმნელისათვის ჩვეული მხატვრულობით: *ანს ხბქ ქ ქათხ ქამანანსჰს ქ იოიღ ზარხალ ჰეჯ, ს გჰ სახეხბ ქქ ქ ქათხ საიარს ქ ქასანანს ჰარამ, აჟ ქ ს იჰგნს სს ხაჟაგხხალ ჰეხნ, სასკან მქ ხრქიჯე* („და თუ უკუანაესკნელსა ეამსა მოკლულ იყოს, და რასა ვიტყვოდი, ვითარმედ უკუანაესკნელსა დღესა აღსასრულისა მისისასა, არამედ სულნიცა თუ აღმოპკრთებოდიან, ნუ ეშინინ“)<sup>5</sup>.

აღნიშნულ ზოგიერთ შემთხვევასთან ერთად არ. ვარდანიანს არ გამოპარვია მხედველობიდან ისიც, რომ სომხურ ტექსტში ახალი ხმარების სიტყვები თუ გამოთქმები მოიპოვება. მისი შეხედულებით, ესენია: *აჟ საინს* 136, 170 (მდრ. ქართული: „დავადგრები“ 229,3): *ზასანაჟ ქნხი* 130,13 (მდრ. ქართული: „მოვიკლვი მფრინველისაგან“ 225,12). *ზიორსხეჟ მანსკონგ* 132,57 (მდრ. ქართული: „ახალნაეღლებულნი ყრმანი“ 226,17) და *გაჟ-გრაჟირიჟ გარგა* 129,4 (მდრ. ქართული: „ქმაე ტბილი მოწყლებისაჲ“ 225,4)<sup>6</sup>.

ასეთი ნიშანდობლივი მომენტების შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რას აჩვენებს ქართული ტექსტი, რომელიც დაუცავს სინას მრავალთავს და ა. შანიძის მიერ არის გამოქვეყნებული. მიუხედავად რიგზე.

<sup>4</sup> *ibid.* 125.

<sup>5</sup> ოქვე, 126 — 127.

<sup>6</sup> ოქვე, 127.

1. „მამრ გვრიტს“ ქართული თარგმანი სომხურისებრ წმინდა ქართული შესაბამისით — „მამლით“ — ვადმოსცემს, რაც სულხან-საბა ორბელიანის ახსნით „უფროსად ფრინველთა ზედა ითქმის“.

2. *პაპ ნმდოს*-ს საპირისპიროდ ქართულსაც ძსეთივე ლამაზი გამოთქმა მოეპოვება, როგორც სომხურს აქვს: „წარსავალსა მას თუ წყალთასა არს“ (მღრ. *ჩ ხაღა გხთივ იურხე*).

3. ასევე სომხურისებრ გამოთქმას ვხვდებით ქართულში ბერძნული ჰქლ τῶν στερειμῶν παρμῶν სანაცვლოდ: „ანუ კბოდის-პირსა, ანუ ნაპარლსა კლდისასა, ანუ ოლეთა ზედა“ (მღრ. *ახქტ ჩ ჟარაჟიოი, ხრქ ჩ ჟარაბხრყა, ხქტ ჩ ჟოღა*).

4. მოყვანილი ბერძნული ნაწევრები — *εἰ καὶ πρὸς ἐσχατέην δὲ ἀπλοῖην ταρχά-  
ναι, εἰ καὶ πρὸς ἐσπέραιν ἀρα ἐστί, μὴ φορεῖσθα* სომხურის თუ სრულიად შემხვედრს არა, მისებრ არა ნაკლებ მხატვრულ სანაცვლოს გვაწვდის: „მი-  
ლათუ-ვიხმე-წევხულ იყო აღსასრულისა თვისისა ეამთა და სულთა აღმოს-  
ლვად მიიწოდის, — და რაჲღა-მე უფროჲსი ვთქუა, — სულნი ღათუ  
აღმოჰკრთებოდინან... ნუვე წარჰკუეთნ საცოებასა“ (მღრ. *ახ. სქტ ქსთინ ტა-  
მანსაქინ ჩ იოღო ჯარხაქ ჯენ, კ ჯჩ' ასიხემ ქტ ქსთინ აიორნ ჩ ქაქ-  
ჯანჩ ჩიროი, აქ ქტ კ იჯიენ კა ხაღაიხხაქ ჯენხ, საკაყნ მჩ' ხრქტენ*).

ასეთი თანმიმდევრობა ქართულ-სომხური ტექსტებისა, ბერძნულის სა-  
წინააღმდეგოდ, სხვაგანაც არა ერთგან შეინიშნება. ბერძნულს დაცილებუ-  
ლი თუ მისგან გადახრილი მსგავსი ადგილები ნაჩვენები აქვს სომხური ტექ-  
სტის გამოძეგმელს სქოლიოებში. ამ ადგილები შეჯერება ქართულთან  
კვლავ ქართულ-სომხური ტექსტების ურთიერთმხარადაქერას ამჟღავნებს.  
მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს:

1. *ს. ქარიძან აწონხოს  
ხქტ ჩ ხაღა გხთივ იურხე არაბჩი-  
გი, აო გოშ გიოიქიქ ჩიროქ  
ქოქსაქ ქაღქაღაქი აო-ნა ჯასა-  
ხელი (5-8)*

„მიერთგან მამალი წარსავალსა  
მას თუ წყალთასა არს, რაჲამს ეს-  
მის კმაჲ იგი, სურვილითა მით მოწ-  
ყალებისადათა მოისწრაფის მოწვე-  
ნად მუნ“ (255—7).

[მღრ. ბერძნული თარგმანი: „და მამალსა თვისსა, რომელი წყალთა თა-  
ხა ძოვს, იბირებს და აღძრავს ფრენად და მისლვად მისა მეყსეულად“].

2. *ჩიქსა გენხ კ ანოგანხხ  
გდაგა ჩიქხანგი (9-10)*

„დაიდგნიან და იქმნიან ბულტ  
თუსი და გამოიზარდნიან მართუენი  
თუსნი“ (205,9).

[მღრ. თარგმანი ბერძნულისა: „ბუღეთა თვსთა დაიდგნიან და უშიშად  
დასხდებიან კუერცხთა ზედა და გამოიზარდნიან“].

3. *ს. ახიოქნ ხეხრიღ ნმანოღი*; „სიყუარულსა ემსგავსენით“ (225,16).  
(ბერძნულში შესაბამისი ადგილი არ მოიპოვება).

4. *იქ ხრქნაიორნ ტ, ჟანჯი  
ჩრქათოი ფაღოვ ჟრ ქრქჩივ, ქმა-  
გოგანჯრ მხე ხქტ აყს ჩნჯ ნჩქ  
ნჯანჩ ტ; (69-71)*

„რომელი-იგი ცით გამო იყო, რა-  
მეთუ ქრისტჲ მოსლვად იყო ზე-  
ცით და ამას გუაუწყებდა ჩუენ,  
ესე ნიში არს“ (226,28 — 30).

[შდრ. თარგმანი ბერძნულსა: „ითუგამოა გაზაფხული, ქრისტე, რომელი მოსლევად იყო ზეით“].

ბერძნულსაგან განსხვავებული ქართულ-სომხური ტექსტების წარმოდგენილ ადგილთა ურთიერთმხარდაჭერა ცხადად გვიკარნახებს, რომ ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს, — ერთი მათგანი მეორეზე უნდა იყოს დამოკიდებული. დასადგენია, რომელი — რომელზე?

არც ის მიგვაჩნია მთლად შემთხვევითად, რომ ქართულ-სომხურ ტექსტებს ერთსა და იმავე ადგილს (უმნიშვნელო გამოწაკლისით) მოეპოვებათ საერთო ხმარების სიტყვები. აი ისინიც:

1. *აფარაკ* 131,24 — მტილი 226,6.
  2. *აფამანჲ* 136,166 — ადამანტი 228,24.
  3. *აფამანჲსაკ* 136,165 — ადამანტიანე 228,23.
  4. *համուրել* 135,153; 136,167; 137,193; 138,229 — ამბორისყოფა 228,14; 228,25; 229,9; 229,34.—პირს-კოცნა (138,232—230,2).
  5. *ამէն* 141,294 — ამენ 231,7.
  6. *ხկեղხვი* 132,61 — 63; 135,147; 136,155; 136,180; 137,192 — 199; 140,287; 141,291 — ეკლესია 226,21 — 23; 228,9; 228,16; 228,35; 229,8; 229,14; 231,1; 231,4.
  7. *ხլეხასათჲ* 133,88 — ეკლესიასტე 227,1.
  8. *ქაქ* 135,131; 135,148 — ეა 227,30; 228,10.
  9. *թარգმანხელ* 140,269; 140,288 — თარგმანება 230,27; 231,1. გამოთქუმა (141,292 — 231,5).
  10. *կაყარნ* 135,135; 135,137 — კაპარკი 227,34; 228,1.
  11. *ნაჲ* 136,172 — ნავი 228,29.
  12. *ნარაყხთ* 133,82 — ნახბეტი 226,35.
  13. *ნիჲ* 132,71 — ნიში 226,30.
  14. *ძამანასკ* 132,60; 134,108 — ძამი 226,20; 227,16. რაემს 229,25 — *ჩერს* 138,215.
  15. *თიმა* 139,244 — ტომარი 230,10.
  16. *ფაღაღ* 136,178 — ქალაქი 228,33.
  17. *ფაროტჲ* 139,242 — ქარტა 230,8 — 9.
  18. *ფნარ* 140,282 — ქნარი 230,34.
  19. *იქსარ* 137, 183 — 184 — ცხოვარი 229,2 — 3.
  20. *նշարիտ, -ութիւն* 137,199; 138,231 — ჭეშმარიტნი, — ება 229,14; 230,1.
- ზემორე წარმოდგენილი 20 საერთო ხმარების სიტყვიდან ოთხია, რომ ზოსლოდნელი საერთო სიტყვის მაგიერ სინონიმით არის ასახული (1. *აყარაკ* — მტილი, 4. *համուրել* — პირს-კოცნა, 9. *թარგმანხელ* — გამოთქუმა და 14. *რაემს* — *ჩერს*), რაც უჩვეულო არაა სხვა ამგვარი ტექსტებისათვისაც.
- ერთსა და იმავე ადგილს კომპოზიტების ხმარებაჲ ქართულ-სომხურ ტექსტებში ავრთვევ, გვგონია, შემთხვევითი არ უნდა იყოს.
- კომპოზიტები სომხურში, ძველსაცა და ახალშიც, როგორც ცნობილია, ქართულთან შედარებით ადვილად იქმნება. სომხური კომპოზიტების საპირის-

პიროდ ქართულში ან ისევე კომპოზიტი გვხვდება ხოლმე (გაორკეცებული, ატრიბუტულ მსაზღვრელიანი ან მართულ მსაზღვრელიანი), ანდა მისი დანაწევრებული სახე კომპონენტების შინაარსის შეუცვლელად.

ჩვენი ძეგლის კომპოზიტებია:

1. *აფფჩ-აფფჩ* 131,50 — პირად-პირადი 226,11.
2. *აქსაქს* 131,49 — პირად-პირადი 226,11.
3. *ზორანჩიქ* 132,57 — ახალნათელგებული 226,17.
4. *ხრქჩი* 138,225 — ორგული 229,32.
5. *გაფერარარარ* 132,62 — ჯმა-ჰამო 226,23.
6. *ამიანასქ* 130,11 — მამლის-მოყუარე 225,10.
7. *ღარაჭირ* 130,1 — კბოდის-პირი 225,8.
8. *მარჯასქ* 133,61 — კაცის-მოყუარე 226,22.

სომხური ტექსტის კომპოზიტთა საპირისპიროდ ქართულს მათ სანაცვლოდ შემადგენელი ერთეულები ან ცალ-ცალკე სიტყვათა შეწყობით აქვს გამოცემული ანდა ერთი რომელიმე კომპონენტით თუ მისი ბადლით. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ:

1. *ასწაფჩქ* 134,104 — მდინარე წყაროა 227,12.
2. *გაღარარ* 130,13 — მოკლეა მფრინველისაგან 225,12.
3. *გაფერაფერიქ* 129,4 — ჯმა ტკბილი მოწლებსადა 225,11.
4. *არაფაქჩ* 139,245 — ქელოვანი 230,13.
5. *ხრქჩან* 132,65 — სმნიერი 226,25.
6. *გარანხერაქ* 139,252 — ძმალი 230,15.
7. *ქანჯაქაქ* 135,132 — დამწრწალი 227,31.
8. *ოსქნოი* 132,51 — ოქროვანი 226,14.

კომპოზიტების მსგავსად, რთული ზმნებიც უმეტესად ერთნაირი ფორმით არის ხოლმე ასახული ჩვენი ძეგლის ქართულ-სომხურ ტექსტებში, თუმცა იშვიათი არაა აქაც გადახვევები. ერთნაირად არიან წარმოდგენილი შემდეგი ზმნები:

1. *მოიან გარქანსქ* 137,208 — შებმის-ყოფა 229,19;
2. *ბაქს აიანსქ* 129,3 — ჯმის-ყოფა 225,4.

სომხური რთული ზმნის საპირისპიროდ ზოგან ქართულში მარტივი ფორმა გვაქვს:

1. *ასქ იანსქ' ასქ იანჩქ* 136,170 — მოელი 228,29;
2. *ასქ აიანსქ' ასქ აიანჩქ* 137,185 — დაადგრების 229,3.

იოანე ოქროპირის ნაწარმოების („გურგითისათჳს“) ქართულ-სომხური ტექსტების თითქმის ერთნაირი თანამიმდევრობა გვიპარნახებს, როგორც სხვადასხვა მომენტთან დაკავშირებით ზემოთაქ აღვნიშნავდით, ერთის დამოკიდებულებას მეორეზე. უეჭველი რამ, ტექსტობრივ ხელმოსაკიდებელი, მანიშნებელი იმისა, რომ ვთქვათ, ქართულზე იყოფს დამოკიდებული სომხური, ანდა პირუკუ, სომხურზე — ქართული, ვერ ვიპოვეთ. ისე კი ქართულ ვერსიას შემონახული აქვს სომხურთან წაერთო ზოგიერთი ნიშანი.

ერთ ასეთ ნიშნად, ჩვენი ვარაუდით, ის მიგვაჩნია, რომ მასში ერთგან გადატეხილია სომხურისათვის დამახასიათებელი ისეთი გამოთქმა, როგორცაა *կაყ მნაყ ფრაზაში: «Ան Նա անձկայ է նմին կայ Մնաყ»* („მისა მიმართ წადიერ არს და მას დგას და ელის“). საქმე ეხება დედადი კვირტის ერთგულებას მამლისადმი (გადატანით: ეკლესიისა ქრისტესადმი) დაქვრივების შემდეგ, როცა იგი „მისა მას სიყუარულსა და ერთობასა და დგრომილ არს და ელისო“, როგორც ესაა ნათქვამი ქართულში.

მეორე ნიშნად დამოკიდებულებისა ისიც გვგონია, რომ სომხურის კარნახით (ბერძნულში საბადლო არა ჩანს) ორგან ნახმარია ქართულში „ლ ა“ ნაწილაკი სომხური შორისდებულის „აჟტ“-ს მნიშვნელობით („აბა“, „მოდი“).

1. „ნიში არს კმისაჲ მის გურიტისაჲ, რომელი-იგი ისჲა. მო-ღ-ავის— მინოთ ჳმაჲ იგი გურიტისაჲ მის, რომელსა-იგი ჳნებაჲს სასმენელ ყოფად ჳმაჲ თვისი“ — *Ձայն տատրակին [որ] լսելի ხէզ [ქերկրի մերոմ այսաւր] աղէ լուխուց [և] մէջ ձայնի տատրակին, որ կամի լսելի ասնել մեզ զձայն իւր* (226,31—132,72):

2. „ძიღა მიემსგავსე ეზეკისა მეფესა, რომელი მიახნდა სიყუდილსა“.

სომხური ენის ჩვენების თანახმად თუ ვიმსჯელებთ, „ლ ა“ სომხურ *აჟტ*-ს („აბა“, „მოდი“) უდრის.

მსგავსი მოვლენები ქართული ვერსიის დიდ სიძველეს მოწმობს. სომხური ვერსია კლასიკური პერიოდის (V საუკუნის პირველი ნახევრის) შემოქმედებად მიაჩნია სომხურ ფილოლოგიას უმთავრესად ენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. რა დროს უნდა ეკუთვნოდეს ქართული?

სინური ტექსტი, რომელიც 864 წელს არის დანუსხული, გადაწერის წარმოადგენს, როგორც ამას ერთი ადგილი მოწმობს. გამოცემის 228 გვერდის მე-20 სტრიქონში წერია: „მ ძ ი ნ ა რ ე არს გული მისი“-ო, სადაც „მძინარე“ ხელნაწერისა ცუდად ამოკითხული „მძიმე“ ჩანს, როგორც ამას გვიმოწმობს სომხური — *«ժանրէ սիրտ նորս»* (136,161) და გვიდასტურებს ათონის წესხა. მაშასადამე, საანალიზო ნაწარმოები 864 წლის უწინარესისაა. ვინაიდან მასში არაბულსა და ახალი სპარსულს არც ერთი სესხებული სიტყვა არ იხმარება და გრამატიკული წყობაც არქაულია, ის ჩვენი მწერლობის ადრინდელ პერიოდს (V—VII სს.) უნდა მიეკუთვნოს.

გრამატიკულ წყობასთან ერთად ძველი არქაული იერის მატარებელია ლექსიკის მხრივაც. სამოწმოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მეტად იშვიათია ძველად.

1. *ო ლ ე*, სომხ. *թուի* (225,8—130,2), „ბუჩქი“ ჩანს, რაც ახლა ჩვენთვის ნათელს ჰფენს გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“-ის *ო ლ ე* ვ ა ხ ს: „მფრინველნი მკმობარნი და მტრიობალნი, რომელნი მისწრაფიედ მღნართა და *ო ლ ე* ვ ა ნ თ ა“ (146,4)<sup>7</sup>.

2. *მ ქ უ რ ი ნ ა* ე.ო. რომელიც ტექსტში იერემიაზე მითითებით არის მოყვანილი, სომხურით *ճպուռն*-ია (226,20—132,39), ე. ო. *ქ რ ი ქ ი ნ ა* (ci-

<sup>7</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთასა“, და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ X—XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოცემა... ილია აბულაძემ, თბ., 1964.

cada). იერემიასთან არც ათონურ ქართულსა და არც სომხურ ბიბლიაში (ზოპრაპისა) შესაბამისი არაფერი იპოვება. იგი ბაქართან გვხვდება მხოლოდ და, ჩანს, მასთან ერთად ჩვენი ძეგლის კუთვნილებაა. ამავე მნიშვნელობით 'მჭურინავი' გვხვდება გიორგი მთაწმიდლის თარგმანში ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“; უფრო აღრინდელ თარგმანში, რომელიც გიორგი ათონელს ჰქონია ხელთ, კი ე ვ კ ი ე ი ა. ასეთი ნიშნეულობებით, ცხადია, ახლა უფრო ნათელი ხდება „მჭურინავის“ მნიშვნელობა ძველად, კერძოდ «ბალავარიანში».

3. ძ მ ა დ ი სიტყვაც იშვიათად გვხვდება ძველად. სომხურით მას *հարսն-հղբար* შეესაბამება (139,250 — 230,15), რაც სძლის, ე. ი. საცოლის გამყოლ 'ძმობილს' ანუ 'მაყარს' ნიშნავს.

4. ს ა წ ე ვ ე ე ლ ი, სომხურით *սաժխ* (140,273 — 230,29), ე. ი. 'მზითველი'. კონტექსტიც ამას მოწმობს. სიძეს მიართმევენ სასძლოს ნათესაგები სხვადასხვა ძღვენს: „აწ მოვიდნენ ყოველნი თჳსნი მისნი წმიდანი თითოეულად სიძისა მის საწევენელად და მიართუმიდეს ყოველნი“.

5. ს ა წ ე რ ე ლ ი, სომხურით *գրիչ* (139,242 — 230,8), ე. ი. 'კალამია'. კონტექსტიც ამას გვიდასტურებს: „საჲმარ იყო მუნ ქართაჲ და შვიგნობარნი და საწერელნი“.

6. დ ა მ შ რ შ ა ლ ი (დამშრობა, სომხურით *խանդակաս լինել* (135, 147 — 228,10; — 135,138 — 208,2) არის 'გულდამწუარი' სიყვარულით თუ სიბრალულით. ერთგან ქართულში ამ სიტყვას დამატებული აქვს „დაწერტილი“, რაც ამხსნელ სიტყვად ჩანს მისა — „დამშროშალისა“. ასეთი გაგება უნდა ეფარებოდეს გამოთქმებს, „სიყუარულითა დამშროშალ იყო“ და „სიყუარულითა დამშროშებოდა“. ამასვე, გვგონია, მარჯვედ უკერს მხარს შეჰდევია ადგილიც: „დამშროშალ და დაწერტილ ვარ მე სიყუარულითა ღმრთისაჲთა, ვითარცა ის-რიითა“ (227,30 — 32). უფრო უკეთ ეს სომხური შესატყვისით ირკვევა: „*խանդակաժ ხմ ხი սիրիւն Աստուծոյ իբրև նետիւ*“

7. დ ა ღ ე ბ უ ლ ი, სომხურით *ժխանալ* და *նხրկեսալ* (133,84; 134,106 — 226,36; 227,14). 'შეღება/შეღებილია', რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ „დაღებული“ აქ „შეღებილს“ ნიშნავს.

ისეთია მოკლედ რაობა, წარმომავლობა და ადგილი იოანე ოქროპირის ნაწარმოებისა — „გურიტისათჳს“ — ქართულ მწერლობაში.

И. В. АБУЛАДЗЕ

ШТУДИИ ПО ГРУЗИНСКО-АРМЯНСКОЙ ФИЛОЛОГИИ  
ИСТОЧНИКИ НЕКОТОРЫХ ГЛАВ «МНОГОГЛАВА»:  
VIII. ИОАНН ЗЛАТОУСТ — «О ГОРЛИЦЕ».

(Резюме)

Названное сочинение, приписываемое Иоанну Златоусту, в грузинской литературе с ранних времен (IX в.) упоминается как подлинное

творение Златоуста. Древнейшим грузинским списком, в котором встречается это произведение, является Сипайский многоглав 864 года. Текстуальное изучение, анализ некоторых языковых данных и стилистических особенностей грузинской версии дает основание предполагать, что сочинение это было переведено на раннем этапе развития (V—VII вв.) истории грузинской литературы.

---

## სარჩევი

რედაქციისაგან	3
ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1938, 329—335.	5
I საქსენებელი სერგისისი იქვე, 335—337	11
II ფილექტიმონის წამება იქვე, 338—347	14
III მარტელობა თეკლასი აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტი- ტუტის მოამბე, VIII, თბილისი, 1940, 71—136	25
IV მარტელობა ორშეოცთა ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბილისი, 1962, 111—144	91
V სებერიანე გაბალოენელი: მოციქულთა საქსენებელი იგვე, V 1963 85—102	125
VI მარტელობა ანდრიანსი და ანატოლსი ქელი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965, 171—235	143
VII იოანე ოქროპირის „მარხვისათეს და იონასთეს“ მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბილისი, 1971, 18—28	209
VIII იოანე ოქროპირი, „გურგისათეს“ იგვე, II, 149—156	220

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ნ. ჟანაშია  
გამომცემლობის რედაქტორი ც. ჟიმშელია  
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჩავა

გადაეცა წარმოებას 18/VII.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII.1975;  
ქაღალდის ზომა 70 X 70<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 16,8;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,5;

ტირაჟი 1200;

შეკვეთა 2867

ფასი 1 მან. 65 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 3800060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Гипография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19